კოკოითი შპარგალკებით და უშპარგალკოდ A2

ფერადმა მილიონერებმა ბათუმში შემოუარეს A8

ავტომობილი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 29 ივლისი, 2004 წელი. №178 (727)

ფასი 50 თეთრი

# ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა

## საქართველოს კურორტები - სიმდიდრე, რომელიც ხალხისთვის დაკარგულია



*საქართველოს კურორტების შენობათა დიდი ნაწილი გაპარტახებულია და იქ ლტოლვილები ცხოვრობენ.*

*ზაფხული შვებულებების სეზონია, თბილისს კი მისი დადგომის ბევრი არაფერი ეტყობა. ტრანსპორტი ისევ გადატვირთულია, ქუჩები - ისევ სავსე. ერთია, ბავშვებმა სკოლების ეზოებიდან სახლების ეზოებსა და ქალაქს ჯერ კიდევ შემორჩენილ სკვერებში გადაინაცვლეს. ვისაც სოფელი აქვს, ცხელ ზაფხულს სუფთა ჰაერზე მაინც გაატარებს. არიან ისეთებიც, ვისაც შეუძლია ნამდვილი დასვენება მოიწყოს, მთელი კომფორტით - ფეშენებელური სასტუმროთი და გასართობი დაწესებულებებით, ზღვაზე თუ მთაში. სამწუხაროდ, მათი რიცხვი ცოტაა - იმდენად ცოტა, რომ ოთხმილიონნახევრიანი საქართველოს ფონზეც უმნიშვნელოდ გამოიყურება. ქვეყნის რიგითი მოქალაქეებისთვის კუთვნილი შვებულების სრულფასოვნად გატარება XXI საუკუნეშიც პრობლემად რჩება.*

მაკა ჭაიანი

იმ შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომელიც საქართველოს აქვს, ასე არ უნდა იყოს. თავისი ბუნებით, საქართველო კურორტების ქვეყანაა. დღეისთვის აქ 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია; თვალშისაცემად ბევრია სამკურნალო კურორტები. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იკურნება: კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ფტიზიატრიული, ალერგოლოგიური, ნევროლოგიური, გასტროენტეროლოგიური, ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნეფროლოგიური, უროლოგიური, დერმატოლოგიური დაავადებები. საქართველოს კურორტები განლაგებულია სხვადასხვა კლიმატურ ზონაში. ზღვის სანაპიროებზე ბანაობის სეზონი ხუთი-ექვსი თვე გრძელდება, ზღვის დონიდან 700-1000 მეტრზე ბალნეოლოგიური კურორტებია განლაგებული: წყალტუბო, ნაბეღლავი, ზვარე, ნუნისი, ბორჯომი, საირმე, უწერა, სურამი; 1000-1500 მეტრ სიმაღლეზე - სამთო კლიმატური კურორტები: აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ფაფა, მანგლისი; უფრო ზევით - ბაკურიანი, გუდაური, შოვი, ბახმარო, ლებარდე. ადგილები, სადაც წარმატებით მკურნალობენ ფილტვის ტუბერკულოზს, ბრონქიალურ ასთმას, სისხლნაკლებობას, გულსისხლძარღვთა დაავადებებსა და ნევროზს.

ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებები საქართველოს მოსახლეობისთვის, სამწუხაროდ, უცხო ხილი არაა. გაერთიანებული ერების განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული ჰუმანური განვითარების 2001-2002 წლების ანგარიშის მიხედვით, ჩვენი ქვეყნის

გაგრძელება A3 გვერდზე

## ეკონომიკა

### ძაღლის თავი აუქციონის დეტალებში იმალება

დღეს ყველაფერი თავიდან იწყება, "ღიად და გამჭვირვალედ", მაგრამ ბევრისთვის ბუნდოვნად. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისათვის პრივატიზაცია პოზიტიური მოვლენაა, გარკვეული სკეპტიციზმი მის დიდ ნაწილში მაინც არსებობს.

A4

## უცხოეთი

### ბოსტონში შეკრებილი დემოკრატები ხმას "მოსაწყენ" კერის მისცემენ



ზოგი მას უნიჭოს და მოსაწყენს უწოდებს, ზოგიც მოაზროვნედ და ინტელიგენტად მოიხსენიებს. თუმცა, დემოკრატები კერის შესახებ ერთ საერთო აზრს მაინც იზიარებენ: "საბედნიეროდ, ის ჯორჯ ბუში არ არის".

A5

## საზოგადოება

### "წყალკანალი" ჭარტიპარიების წინააღმდეგ



ავარიების ძირითადი მიზეზი გახდა მოპარული თუჯის ხუფების გარეშე დარჩენილ წყალსადენისა და კანალიზაციის ჭებში ქვა-ღორღისა და სხვა მასალების გაჭედვა.

A6

## სამართალი

### პანკისურ საიდუმლოებებს ფარდა მევლუდ ქიქიაშვილის სასამართლო პროცესზე აეხდება



A7

## ამინდი

| | 29/7 | 30/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 36 |
| ქუთაისი | 39 | 41 |
| ბათუმი | 38 | 40 |
| სოხუმი | 36 | 37 |
| ფოთი | 38 | 39 |
| თელავი | 34 | 35 |
| ზუგდიდი | 39 | 40 |
| გორი | 33 | 34 |
| ახმეტა | 33 | 34 |
| ჭიათურა | 38 | 39 |
| გაგრა | 34 | 35 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8910 |
| ევრო | 2.2747 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4346 |
| რუბლი | 0.0650 |

## სოფელ ერედვში ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*შინაგანი ჯარის ჯარისკაცი ნოდარ გველუკაშვილი უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც კონფლიქტის ზონაში ქართულ-ოსური სოფლების დაცვას ახორციელებდა. ოთხშაბათს იგი სახლში, გურჯაანის სოფელ ვეჯინში მიასვენეს. შინაგანი ჯარის ჯარისკაცი, 23 წლის ნოდარ გველუკაშვილი მოკლეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ოფიციალური პირები კომენტარისგან თავს იკავებენ, მაგრამ გარდაცვლილის ოჯახის წევრები გაჩუმებას არ აპირებენ, რადგან ვარაუდობენ, რომ ჯარისკაცი საეჭვო ვითარებაში მოკლეს.*

მკვლელობის შესახებ ინფორმაციები ნოდარ გველუკაშვილის სახლში გადასვენების შემდეგ ვრცელდება. მან პოლიციის აკადემიის დამთავრების შემდეგ, მუშაობა თბილისში, დაცვის პოლიციის ერთ-ერთ დაწესებულებაში დაიწყო. მოგვიანებით კი, სამსახურს შინაგან ჯარში აგრძელებს. სწორედ ამ დროს იძაბება სამხრეთ ოსეთში სიტუაცია და ნოდარ გველუკაშვილი ერედვში მიავლინეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "საწყალი კოკოითი"

გიორგი ასანიშვილი

*ედუარდ კოკოითი "მშობლიური" რუსეთის ხელისუფლების შანტაჟსაც არ ერიდება - ხომ ხედავთ, ქართველები 20 მილიონ დოლარსა და ვიცე-პრეზიდენტობას მთავაზობენ, ამიტომ, თუ კარგად არ მიპატრონებთ, შეიძლება, სულმა წამძლიოს და დავთანხმდეო. თუმცა, შანტაჟი რა საჭიროა! - ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა კრემლის გეგმებში ისედაც არ შედის.*

მოსკოვში გაკეთებული ხმაურიანი განცხადებით, კოკოითმა ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა განიზრახა: გარდა იმისა, რომ კრემლის თვალში საკუთარ თავს სოლიდური ფასი (პრეისკურანტი იხილეთ ზემოთ) დაადო, ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციასაც შეეცადა - სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის "სენსაციური" განცხადების "გაანალიზების" შემთხვევაში, ყველა "დარწმუნდება", რომ ოპონენტი პოლიტიკოსების

გაგრძელება A2 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ტერიტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელმოკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 რეგიონი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## პარლამენტი ეცდება, სავალუტო ფონდი გადაარწმუნოს

საქართველოს ხელისუფლება შეეცდება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები დაარწმუნოს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტით გათვალისწინებული გადასახადების შემცირება საქართველოს ეკონომიკას რეალურად წაადგება, ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან შეხვედრის წინ განუცხადა. **"სავალუტო ფონდი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა გადასახადების შემცირებას, თუმცა ყველანი დავრწმუნდით, რომ გადასახადების არშემცირების შესახებ ფონდის რეკომენდაციების შესრულებას შედეგი არ მოჰყოლია. საერთაშორისო საზოგადოებას გადასახადების შემცირება, შესაძლოა, უცნაურადაც ეჩვენებოდეს, თუმცა საქართველო ამჟამად ფორსმაჟორულ რეჟიმში ცხოვრობს და მის მოქალაქეებს ხელფასები საარსებოდაც კი არ ჰყოფნით,"** - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ და განმარტა, რომ საქართველოს მოქალაქის ხელფასის იმ რაოდენობის გადასახადით დაბეგვრა, როგორითაც დიდი ბრიტანეთის ან აშშ-ს მოქალაქეები იბეგრებიან, უბრალოდ, გაუმართლებელია. **"პარლამენტი თანახმაა, ჩატარდეს ექსპერიმენტი და გადასახადების შემცირებით საქართველომ კიდევ ერთხელ სცადოს საკუთარი ეკონომიკის აღორძინება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბიზნეს-კლიმატის გაუმჯობესებისათვის სათანადო პირობები შექმნას,"** - დასძინა მან.

გუშინდელი შეხვედრის დროს საუბარი 2004 წლის წლის ბიუჯეტის ცვლილებებსაც შეეხო. ბურჯანაძის თქმით, ფონდი დადებითად აფასებს ბიუჯეტის ზრდას, თუმცა მათი მთავარი მოთხოვნაა, რომ პარლამენტმა იცოდეს, კონკრეტულად რის ხარჯზე ხდება და რამდენად რეალურია აღნიშნული ცვლილებები.

*24 საათი*

## ნამატი თანხები ნაწილდება



*ზურაბ ჟვანია სამეთვალყურეო საბჭოებს ფეოდალურ წარმონაქმნად მიიჩნევს.*

ვახო ბესელიას ფოტო

ლელა მჭედლიძე

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელებთან შეაჯერა ის თანხები, რაც გაზრდილი შემოსავლებიდან ამა თუ იმ სფეროზე უნდა დაიხარჯოს. ჟვანიას თქმით, პრეზიდენტთან შეთანხმებული ეს ცვლილებები დასამტკიცებლად პარლამენტში უახლოეს ხანში შევა.

**"საბიუჯეტო შემოსავლები, ძირითადად, სამი მდგენელით გაიზარდა: საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე 84 მლნ ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები (პროკურატურისა და სხვა ძალოვანი უწყებების მუშაობის წყალობით) - 125 მლნ ლარით, და 61 მლნ ლარით პრივატიზებიდან შემოსული თანხებით,"** - განაცხადა ჟვანიამ. პრივატიზების კონტექსტში პრემიერ-მინისტრი გუშინ სამეთვალყურეო საბჭოს თემასაც შეეხო: **"ხელისუფლების მიერ დანიშნული ადამიანები, ვისი ფუნქციაც მთავრობის პოლიტიკის განხორციელებაა, სახელმწიფო საწარმოებს თავის საკუთრებად განიხილავენ, მიმართავენ საჯარო აქციებს, მიგზავნიან ისტერიულ წერილებს, სადაც აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ თუნდაც ზარაფხანის გაყიდვას. ერთგვარი ფეოდალური წარმონაქმნები ჩამოყალიბდა, სადაც ეს ადამიანები საკუთარი თავისთვის უზარმაზარი ხელფასების დანიშვნით და მანქანების ყიდვით არიან დაკავებული. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ხელისუფლება მასზე ფიქრობს და თუნდაც მიზერულ დონეზე დავალიანებას ისტუმრებს."**

ბიუჯეტის ნამატი თანხა, მთავრობას, ძირითადად, ორი მიმართულებით აქვს განაწილებული: ერთი - სოციალური, მეორე - ძალოვანი და სამართალდამცავი უწყებების. საერთო ჯამში, ძალოვანი და სამართალდამცავი უწყებების დაფინანსება 97 მლნ ლარით გაიზრდება. აქედან, თავდაცვის სამინისტრო დამატებით იღებს 25 მლნ, შინაგან საქმეთა სამინისტრო - 59 მლნ, უშიშროების სამინისტრო - 6 მლნ, იუსტიციის სამინისტრო და პროკურატურა 2-2 მლნ ლარს. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის კი დამატებით 3 მილიონი ლარი გამოიძებნა. "ბიუჯეტის დიდი ულუფა" ამ უწყებებში კონკრეტული რეფორმების გასატარებლად, ტექნიკური გადაიარაღების და, რაც მთავარია, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ასამაღლებლად არის გათვალისწინებული.

დანარჩენი თანხით კი მთავრობას უფრო შიდა დავალიანების დაფარვა სურს. ერთი თვის საპენსიო და მასწავლებელთა დავალიანების დასაფარად - 15 მლნ, განათლების და მეცნიერების სფეროში 2-2 თვის სახელფასო დავალიანების დასაფარად - 5,1 მლნ, კულტურის სფეროში სახელფასო დავალიანებისათვის - 1 მლნ ლარი და ა.შ. განსახლების პროგრამაზე დამატებით სამი მილიონი ლარი დაიხარჯება. ენერგეტიკის სფერო დამატებით 27 მლნ ლარით დაფინანსდება. საგზაო ფონდი - 20 მლნ-ით.

რაც მთავარია, ნამატი თანხა ჩვენს ხელისუფლებას საზღვარგარეთ ჩვენი საელჩოების დაფინანსების და საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევროების გადახდის საშუალებას აძლევს, რისთვისაც 4 მლნ ლარი გამოიძებნა.

## რუსეთის საავტომობილო საწყობს ქართველი და რუსი ჯარისკაცები ერთობლივად იცავენ

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უარყოფს რუსული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს თბილისსა და ვაზიანში, რუსეთის შეიარაღებული ძალების კუთვნილ ტერიტორიაზე ქართული სამხედრო ფორმირებები შეიჭრნენ და მხარეებს შორის შეტაკება მოხდა.

როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ვაზიანის ტერიტორიაზე მდებარე ცარიელი საავტომობილო საწყობი, მართალია, ჯერ კიდევ რუსეთის კუთვნილებაა, მაგრამ შედის იმ ობიექტთა ნუსხაში, რომლებიც საქართველოს უნდა გადაეცეს.

დაახლოებით, თვენახევრის წინათ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბში ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების სარდლობიდან შევიდა წერილი აღნიშნული ტერიტორიის ერთობლივი პატრულირების შესახებ.

"სწორედ ამ წერილის საფუძველზე, ტერიტორიაზე არსებული ქონების განიავების თავიდან ასაცილებლად, უკვე ერთი თვეა, გარე პერიმეტრზე პატრულირებს ქართული, შიდა პერიმეტრზე კი - რუსული მხარე", - ნათქვამია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

*მედია-ნიუსი*

## პარლამენტი სექტემბრიდან მუშაობის სტილს შეცვლის

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დახურულ კარს მიღმა პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეებს შეხვდა. როგორც ბურჯანაძემ განაცხადა, ეს სამუშაო შეხვედრა იყო.

"სექტემბრიდან მუშაობის სტილი უნდა შევცვალოთ. აქამდე პარლამენტს ფორს-მაჟორულ ვითარებაში უწევდა მუშაობა. სექტემბრიდან კი ფორს-მაჟორულ მდგომარეობა მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ და ამასთან, უნდა გავაკონტროლოთ პარლამენტის მიერ მიღებული კანონებისა თუ დადგენილებების შესრულების მიმდინარეობა", - აღნიშნა ბურჯანაძემ.

*მედია-ნიუსი*

## წინასწარი სამთვიანი პატიმრობა - ასლან აბაშიძესთან დაახლოებულ ბიზნესმენ ქალბატონს

ასლან აბაშიძის ხელისუფლების დროს მოღვაწე ბიზნესმენ ქალბატონს ნინო ალფაიძეს ბათუმის საქალაქო სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა.

ავიაკომპანია "აჭარის" დირექტორს ნინო ალფაიძეს ფინანსური პოლიცია 50 ათას ლარს ედავება. "ეს თანხა ავიაკომპანიას იმიტომ დაუგროვდა, რომ "იაკ-42" ტიპის თვითმფრინავი, რომელიც ექსპლუატაციაში ჰქონდა გადაცემული ავიაკომპანიას, სპეცრეისებს აჭარის მთავრობის დაკვეთით ახორციელებდა. აჭარის მთავრობამ ავიაკომპანიას თანხა არ გადმოურიცხა და, შესაბამისად, ვერც ავიაკომპანია გადაურიცხავდა ბიუჯეტს აღნიშნულ თანხას," - აცხადებს ალფაიძის ადვოკატი სიმონ ჩხაიძე. ადვოკატი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში აპირებს. ნინო ალფაიძეს შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორიდან მესამე საპყრობილეში დღეს გადაიყვანენ.

*ინტერ-პრესი*

## სოფელ ერედვში ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა

პირველი გვერდიდან

მან ოჯახის წევრები ბოლოს 12 ივნისს ნახა. **"იგი ყოველთვის მზად იყო, სამშობლო დაეცვა. როდესაც მას 12 ივნისს მოაკითხეს სახლში, რათა სამსახურში გამოცხადებულიყო, იგი უყოყმანოდ დათანხმდა, მიუხედავად მშობლების დაჟინებული წინააღმდეგობისა, რომ ცხინვალში არ წასულიყო,"** - გვითხრა გარდაცვლილის ბიძამ გივი მამულაშვილმა.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოფელ ერედვში იგი დაუდგენელმა პირმა მოკლა. **"ბავშვი მთელი ღამის განმავლობაში უპატრონოდ იყო მიგდებული და არავინ არაფერს გვაგებინებდა. ბოლოს კი ცხედარს თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივაგენით,"** - ამბობს გივი მამულაშვილი.

**"რა მოხდა, არავინ გვეუბნება. სად არის მთავრობა? იმ შემთხვევაში, თუ სიმართლე არ გაირკვევა, მთელი კახეთი დაირაზმება და ხელახალ რევოლუციას მოვაწყობთ,"** - ამბობენ გურჯაანელები და საქართველოს ხელისუფლებისგან სიმართლის გარკვევას დაუყოვნებლივ მოითხოვენ.

ნოდარ გველუკაშვილს ორი სასიკვდილო ჭრილობა აქვს მიყენებული - თავისა და ზურგის არეში.

**"მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, გამომძიებლები ახლაც კითხავენ მოწმეებს. მართალია, ექსპერტიზას დასკვნა ჯერ არ დაუწერია, მაგრამ ცხედარი ადგილზეც დავათვალიერეთ და ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გველუკაშვილს ჭრილობები თავისა და ზურგის არეში აქვს მიყენებული. უფრო დეტალურ ინფორმაციას, დასკვნის მიღებისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ მოგაწვდით,"** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა ცხინვალის პროკურორმა გურამ ბაბუცაძემ.

## რუსთაველის ქუჩა იერუსალიმის ჯვრის მონასტრამდე მიდის

*საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით ისრაელს ეწვია. "ისრაელი ჩემი შთაგონების ქვეყანაა," - ასე მიესალმა არსებობისთვის მუდმივად მებრძოლ ქვეყანას მიხეილ სააკაშვილი.*

**"ჩვენთვის ისრაელი არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება დემოკრატიული სისტემის, პლურალიზმის, ძალიან ცხარე კამათის, აზრთა სხვადასხვაობისა და შერკინების სიტუაციაშიც კი ფრიად სერიოზული კონსენსუსის მიღწევა მთავარ ეროვნულ საკითხებზე. როდესაც ერს ყველაზე მეტად სჭირდება ერთ მუშტად შეკვრა იმისათვის, რომ დაიცვას თავისი სახელმწიფო ინტერესები,"** - წარმოთქვა მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტ მოშე კაცავთან გამართული შეხვედრის შემდეგ. იქვე ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს ორმაგი მოქალაქეობის მიღება შესთავაზა.

**"თურქეთსა და რუსეთში მცხოვრებმა ქართველებმა უკვე გამოთქვეს ასეთი სურვილი. ორმაგი მოქალაქეობის მიღების პროცედურა ამჟამად უფრო იხვეწება ხელისუფლების მიერ,"** - თქვა მან.

თავის მხრივ, ისრაელის პრეზიდენტმა ებრაელი ხალხისთვის 26 საუკუნის მანძილზე გაწეული მასპინძლობისთვის საქართველოს გულითადი მადლობა გადაუხადა. **"ჩვენ საერთო წარსული და საერთო ისტორია გვაკავშირებს. ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალყურს საქართველოში ნოემბრის მოვლენებს. იმედი მაქვს, რომ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება,"** - თქვა მოშე კაცავმა.

ხიდი ქართველ და ებრაელ ხალხს შორის კიდევ უფრო მჭიდრო უნდა გახდეს - ასეთია ორივე ქვეყნის პრეზიდენტების პოზიცია. მიხეილ სააკაშვილი, მოგვიანებით, იერუსალიმის პატრიარქს ირინეოსს ეწვია, რის შემდეგაც იერუსალიმში ქართული ჯვრის მონასტერი მოინახულა.

პატრიარქთან შეხვედრას თავად მიხეილ სააკაშვილმა ძალზე საინტერესო უწოდა, რადგან მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ ამიერიდან ქართველ ბერებს ჯვრის მონასტერში ცხოვრების და წირვა-ლოცვის აღვლენის უფლება მიეცემათ.

პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, მიღწეულია, ასევე, შეთანხმება, რომ ჯვრის მონასტერში ქართული ფრესკების განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდება და არის დაპირება, რომ ამ საკითხში ჩაერთვებიან სპეციალისტები, მათ შორის, საქართველოდან.

აღსანიშნავია, რომ სპეციალურად საქართველოს პრეზიდენტის ჩასვლის პატივსაცემად, შოთა რუსთაველის ფრესკა, ჯერჯერობით გაურკვეველმა პირმა აღადგინა, თუმცა პირველსახესთან ფრესკას პრაქტიკულად საერთო არაფერი აქვს და ზოგიერთი ქართველი ექსპერტის შეფასებით, ამ "ღდგენამ" კიდევ უფრო დააზიანა რუსთველის გამოსახულება.

სააკაშვილის ვიზიტის პირველ დღეს იერუსალიმში გაიხსნა შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩა, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრამდე მიდის. **"იერუსალიმში არის პასუხი იმისა, თუ როგორ გადარჩა საქართველო,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ქუჩის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე.

გუშინვე, მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრა გამართა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრთან სილვან შალომთან და ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, ოპოზიციური პარტიის ლიდერთან შიმონ პერესთან.

*ნინო გომართელი*

## კოკოითი შპარგალკებით და უშპარგალკოდ

ამ ვიზიტისას ედუარდ კოკოითი ძველი "ბმვ"-დან "შევროლეს" ჩამუქებულშუშებიან დაჯავშნულ ჯიპში გადასვეს. ასეთი მანქანა "ფსბ"-სთან ახლო ურთიერთობებზე მიანიშნებს. "ინტერფაქსში", როგორც მოსალოდნელი იყო, სამხრეთ ოსეთის ლიდერი შპარგალკებით ავიდა და მათ წაკითხვას რამდენიმე წუთი მოანდომა. ბრალდებები, რასაკვირველია, ქართული მხარის მისამართით ისმოდა.

"26-27 ივლისს ქართველმა სამხედროებმა მონიტორინგის საშუალება არ მისცეს ეუთოსა და სამმხრივი კომისიის დამკვირვებელთა ჯგუფს, რადგანაც იქ ქართული საჯარისო ფორმირებები დგანან," - განაცხადა კოკოითმა. მისი მტკიცებით, ქართული მხარე სულ ახალ და ახალ პროვოკაციებს გეგმავს ვითარების კიდევ მეტად დაძაბვის მიზნით და საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მიჰყავს.

"შპარგალკის" წაკითხვის შემდეგ კოკოითმა თავი ასწია, ჟურნალისტებს მიაჩერდა და, რასაკვირველია, ისევ მისი და სხვა თანამდებობის პირთა მოსყიდვის ამბით დაიწყო, მაგრამ ლეგენდას ახალი გარემოება დაუმატა. **"ერთი რამე მაოცებს,** - განაცხადა კოკითმა, - **ამ ფაქტებს იანვარში ჰქონდა ადგილი, ივლისში კი ალაპარაკდნენ."** სინამდვილეში, ამ "ახალი ნიუანსით" კოკოითმა თავადვე ამხილა თავისივე ან მოსკოველი ინსტრუქტორების მიერ მოგონილი ტყუილი. საქმე ისაა, რომ ივლისში ისევ თავად კოკოითი ალაპარაკდა "ნოვიე იზვესტიას" ოსი ერონების ჟურნალისტთან და ინტერვიუში ცნობილი ფეხბურთელი ვლადიმერ გუცაევი დაადანაშაულა მისი მოსყიდვის მცდელობაში.

პრესკონფერენციაზე მან დაასახელა სხვა ქართველი ჩინოსნები და ყოვლად გაურკვეველი ამპლუის ადამიანები, რომლებიც ოსების მოსყიდვას ცდილობდნენ.

საერთოდ, პრესკონფერენციაზე აშკარად ჩანდა, რომ კოკოითი შეკვეთილ კითხვებს ხალისით პასუხობდა, ხოლო მოულოდნელი შეკითხვებისთვის "მზად არ იყო". შესადარებლად, რუსული და უცხოური მედიასაშუალებების რამდენიმე შეკითხვას და კოკოითის პასუხებს მოვიტანთ.

რადიო "გოლოს როსიი": **"ომის თავიდან აცილების მიზნით, თუ ხართ მზად სააკაშვილთან შესახვედრად?"**

ედუარდ კოკოითი: **"შეიძლება, ეს შეხვედრა შედგეს, თუკი საქართველოს პრეზიდენტი გადახედავს ადრე გაკეთებულ განცხადებებს, თუკი ქართული მხარე აღიარებს 1989 წელს მოწყობილ ოსი ხალხის გენოციდსა და მიიღებს კანონს რესტიტუციის შესახებ. მაგრამ დღეს არსებობს ორი საქართველო - ერთი, რომელიც დეკლარაციებს იღებს და ხელს აწერს, მეორე, რომელიც საკუთარ განცხადებებს არ ასრულებს** (აშკარად ჩანს რუსული ხელწერა)**. ცხადია, რომ ჩვენი კონფლიქტი მოლაპარაკებების გზით უნდა დარეგულირდეს, მაგრამ მე ეჭვი მაქვს, რომ სააკაშვილთან შეხვედრა შედეგს არ გამოიღებს."**

"იტარ-ტასი": **"ვისი მხარდაჭერის იმედი გაქვთ რუსეთში?"**

ედუარდ კოკოითი: **"რუსეთი მშვიდობის მთავარი გარანტია, იგი რეალურად აფასებს კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებას, როცა საქართველო ნაციონალიზმის იდეის გამოყენებით კონფრონტაციას ეწევა. ჩვენ ჩვენი სერიოზული წინადადებების პაკეტი უკვე გადავეცით რუსეთის დუმას და მათი დახმარების იმედი გვაქვს. რუსეთის პარლამენტი ჩვენს წინადადებებს სწავლობს. მესმის, რომ დამოუკიდებლობას ასე უცებ არავინ მოგვცემს. მადლობა რუსეთის ფედერაციას მოვლენების ობიექტურად გაშუქებისათვის."**

რადიო "ბიბისი": **"კი მაგრამ, ხომ იცით, რომ მსოფლიოში საზღვრების ცნება ხელშეუხებელია და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისო საზოგადოების მიერაა აღიარებული, ამაზე რას იტყვით?**

ედუარდ კოკოითი: **"ჩვენ ამაზე ჩვენი შეხედულება გვაქვს და ჩვენი მოსაზრებების, არგუმენტების პაკეტი."**

"24 საათი": **რადგანაც თქვენ ასეთი სიამოვნებით ასახელებთ ჩინოვნიკთა გვარებს, იქნებ იმ რუსი მაღალჩინოსნების გვარებიც დაგვისახელოთ, ვისაც მოსკოვში ხვდებოდით და მეორე შეკითხვა: განგვიმარტეთ, რა ისტორია შეემთხვა თქვენს "ჯიპს" სტავროპოლის მხარეში?**

ედუარდ კოკოითი: **"მოდით, მეორე შეკითხვიდან დავიწყოთ. ქართულ საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციები არ შეეფერება სინამდვილეს. მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამართლებული არ უნდა იყოს. ეს ჩემი დისკრედიტაციისათვის კეთდება. ჩვენ ვთავაზობთ ქართულ მხარეს, თავისი ენერგია და ფანტაზია ეკონომიკის სფეროს მიახმაროს და ნაკლებად იფიქროს პიარსვლებზე. რაც შეეხება ჩემს ჯიპს, არავითარი ისტორია არ ყოფილა და არც იქნება, ისევე როგორც არ არსებობს ჩემს 12 წლის უფროს შვილთან დაკავშირებული ისტორია, რომელიც თითქოს თბილისში იმყოფება. იგი პრეზიდენტის გვერდითაა."**

"უოლ სთრით ჟორნალი": **"რომელი უცხო სახელმწიფოები გიჭერენ მხარს?"**

ედუარდ კოკოითი: **"კონფლიქტი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორისაა. არის ქვეყნები, ვინც ჩვენ გვაღიარებენ."**

*რუსუდან ნიკურაძე*
*საკ. კორ. მოსკოვში*

## "საწყალი კოკოითი"

პირველი გვერდიდან

მოსყიდვა და მოქრთამვა ოფიციალური თბილისისთვის დამახასიათებელი სტილია. ამ ფონზე კი, კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდება კოკოითის, როგორც კრისტალურად პატიოსანი და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისთვის გულანთებული მებრძოლის პორტრეტი.

**"ოსი ხალხის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ფულზე არ იყიდება,"** - აკი განაცხადა კიდეც ცხინვალის დე ფაქტო პრეზიდენტმა გუშინ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე.

კოკოითის ჩანაფიქრს, შესაძლოა, მისთვის სასურველი რაღაც ეფექტი მოჰყოლოდა კიდეც, რომ არა ერთი გარემოება: პარლამენტარ ვლადიმერ გუცაევს კოკოითის "დავერბოვკება" შვიდი თვის წინათ უცდია, მაგრამ დე ფაქტო პრეზიდენტი ამის შესახებ დღემდე დუმდა - გამოდის, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან სავაჭროდ მზად იყო და "საიდუმლო საუბრის" გახმაურება მხოლოდ ბოლო მომენტში გადაწყვიტა.

ისე, ედუარდ კოკოითთან შეხვედრის ფაქტს ვლადიმერ გუცაევი არც უარყოფს და აცხადებს, რომ ამ შეხვედრის დროს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელმძღვანელს ცხინვალის საფეხბურთო კლუბის საქართველოს ჩემპიონატში ჩართვა შესთავაზა, მაგრამ ამ წინადადებაზე უარი მიიღო. გუცაევი იქვე დასძენს, რომ ის, როგორც ოსი ეროვნების საქართველოს მოქალაქე, ცხინვალის რეგიონში ხშირად ხვდება სპორტსმენებს, რათა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენას შეუწყოს ხელი. რაც შეეხება კოკოითისთვის 20 მილიონი დოლარისა და ვიცე-პრეზიდენტობის შეთავაზებას, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ასეთ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და ვარაუდობს, რომ ამის თქმა დე ფაქტო პრეზიდენტს საკუთარი რეიტინგის ასამაღლებლად დასჭირდა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ედუარდ კოკოითმა კიდევ ერთი გამაოგნებელი სიცრუე წამოროშა. მისი თქმით, საქართველოს სპეცსამსახურებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს დამკვირვებელთა შესვლა დაბლოკეს. არადა, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის საგანგებო წარმომადგენელი ჟელიუ ჟელევი, დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, 27 ივლისს ცხინვალის რეგიონში იმყოფებოდა, მაგრამ თბილისში დაბრუნებულს, "ეუთო-ს მისიის წევრთათვის ხელის შეშლის" გამო პროტესტის გამოხატვა, ეტყობა, "დაავიწყდა". სამაგიეროდ, თავად კოკოითს არ ავიწყდება, თუ რატომ არ შეუშვეს ქართველებმა ეუთო-ს მონიტორინგის ჯგუფი კონფლიქტის ზონაში. თურმე, **"ტყის მასივში იმყოფებიან შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც ქართულ და რუსულ ენებზე კი არა, არაბულად და ინგლისურად უკავშირდებიან ერთმანეთს".**

ისე, ცოტა საზოგადოებამაც უნდა გაანძრიოს ტვინი, ყველაფერს კოკოითი ხომ არ იტყვის - განა, ხალხი თვითონ ვერ უნდა მიხვდეს, რომ თუ სადმე კონფლიქტის ზონაა და არაბულად საუბრობენ, იქ აუცილებლად აღმოჩნდება ჩეჩნური კვალი? ცხადია, კოკოითი ამას მტკიცებულებით ფორმას არ აძლევს, მაგრამ მაინც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ახლო მომავალში ცხინვალის რეგიონში განლაგებულ რუს სამშვიდობოებს "ჩეჩენი ბანდიტები" დაესხმიან თავს და მათ სისხლისმღვრელ ბრძოლებში "ჩაითრევენ". მით უმეტეს, ვითომ სასხვათაშორისოდ, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე კოკოითმა ისიც განაცხადა, რომ ოთხშაბათს ღამით, ცხინვალის მიმართულებით ქართული მხრიდან ცეცხლი გაიხსნა.

**"ცხინვალის აღმოსავლეთით საბრძოლო შეტაკებაც მოხდა, მაგრამ, საბედნიეროდ, სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებიდან არავინ დაზარალებულა,"** - აუწყებს რუსულ მასმედიას ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მეთაური.

სხვათა შორის, კონფლიქტის ზონაში ოთხშაბათს ღამით მომხდარი სროლის ფაქტს ქართული მხარეც ადასტურებს. ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ სროლა სოფელ თამარაშენის მიმართულებით განხორციელდა. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, ოსები ისროდნენ როგორც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, ისე ტყვიამფრქვევებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან. ქართულ მხარეს "ნივთმტკიცებაც" აქვს: რამდენიმე ჭურვი ეზოებში აფეთქდა. ასე რომ, სხვა ყველა უბედურებასთან ერთად (ცრუპენტელეობა, პროვოკატორობა), კოკოითს ისიც სჭირს, რომ "მხარიც ეშლება" - "ვერ გაურკვევია", ვინ ვის ესხმის თავს.

ცხინვალის დე ფაქტო პრეზიდენტი მის "სამფლობელოში" ერთადერთ ნათელ წერტილად სვიატოსლავ ნაბზდოროვს ხედავს, რომელსაც ძალიან ემადლიერება. **"რუსი სამშვიდობოების სარდალი ნამდვილი პროფესიონალია. იგი მანდატის ფარგლებში მოქმედებს. მისი გადაყენების საკითხი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დადგეს,"** - თუ ოდესმე დადგება ნაბზდოროვთან განშორების დრო, კოკოითს ვერაფრით დაუჯერებია.

**"საწყალი კოკოითი, მიღებული დირექტივებისგან, ეტყობა, ისე დაიბნა, რომ აღარ იცის, რას ლაპარაკობს და ვერ ხვდება, ვისი მისამართით რა ბრალდებები წამოაყენოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კონტრაბანდის გადაკეტვით, მას საკუთარი შემოსავლის წყაროები გადაეკეტა. ალბათ, ამიტომაც არის, რომ რაღაც შეთავაზებები ელანდება,"** - გულწრფელად ებრალება პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს 20 მილიონი დოლარისა და საქართველოს ვიცე-პრეზიდენტობის უარმყოფელი, ოსი ხალხის "საამაყო შვილი".

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 2003-2004 წლების საგაზაფხულო გაწვევის დასრულებამდე სამი დღით ადრე, სამხედრო სავალდებულო სამსახურში უკვე გაწვეულია 6.600 წვევამდელი. აქედან, თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებში - 1.862, შინაგან ჯარში - 3.065, სასაზღვრო ძალებში - 1.033, სამთავრობო დაცვის სპეციალურ სამსახურში - 544. სამსახურის გადავადების 200-ლარიანი მოსაკრებელი 5.012-მა წვევამდელმა გადაიხადა, 39-მა კი - 2 ათასი ლარი, რაც სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან საერთოდ გათავისუფლების უფლებას იძლევა.

რაც შეეხება ალტერნატიულ სამხედრო სამსახურს, ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელის ანტონ ჭანტურიას ინფორმაციით, მათთან უკვე შესულია 25 პირის განაცხადი და საკითხი მათი თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, აგვისტოს პირველ რიცხვებში გადაწყდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საჩხერის სამთო-მსროლელი და კომანდოს ბატალიონები, რომლებმაც "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამა უკვე გაიარეს, ორკვირიან საველე სამხედრო წვრთნებს ამჟამად შიდა ქართლში მდებარე პოლიგონებზე ატარებენ. წვრთნების ამოცანაა მთიანი რელიეფის პირობებში ქვეითთა მართვა და კონტროლი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გუშინ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი სამი ელჩის კანდიდატურა განიხილა და მათ რიგგარეშე სესიაზე გატანას მხარი დაუჭირა. სლოვაკია - სლოვენიის ელჩის თანამდებობაზე ზაურ გამსახურდიას კანდიდატურაა წარდგენილი, ავსტრია-უნგრეთის ელჩის თანამდებობაზე - კონსტანტინე ჟღენტის, უზბეკეთი-ტაჯიკეთის ელჩის თანამდებობაზე კი - დავით ზალკანიანის. ელჩების კანდიდატურების განხილვისას ერთადერთი მოწინააღმდეგე სლოვაკია-სლოვენიის ელჩის თანამდებობაზე წარდგენილ ზაურ გამსახურდიას გამოუჩნდა. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა

## საქართველოს კურორტები - სიმდიდრე, რომელიც ხალხისთვის დაკარგულია

პირველი გვერდიდან



*პროფკავშირების კუთვნილ ოცამდე დასასვენებელ სახლში დღეს 11 ათასი დევნილია შესახლებული.*

მოქალაქეები არა ერთი და ორი დასახელების დაავადებით იტანჯებიან, მაგრამ ხელი არ მიუწვდებათ სამედიცინო მომსახურებაზე, რადგან ავადმყოფობას საქართველოში შეიძლება მოჰყვეს ოჯახის ვალში ჩავარდნა და სიღარიბე. ადამიანების ნაწილი ახერხებს ექიმის კონსულტაციის მიღებას, მაგრამ ვერ ახერხებს მკურნალობას, რადგან წამლის ყიდვის შესაძლებლობა არ აქვს. ამ ფონზე, რთულია ლოგიკურ მსჯელობას მიჰყვე, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კურორტების ლომის წილი პროფკავშირების ხელშია, გამოსავალი ამ ჩიხიდანაც უნდა იყოს. რა თქმა უნდა, პროფკავშირების ხელმძღვანელობის კეთილსინდისიერი მუშაობისა და საკუთარი სტატუსისადმი მათი ადეკვატური დამოკიდებულების შემთხვევაში. ამგვარი პირობით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, წელიწადში ერთხელ მაინც, ფაქტობრივად, მისივე ხელით აშენებულ სანატორიუმებში, პანსიონატებსა თუ დასასვენებელ სახლებში უნდა ახერხებდეს მკურნალობას, მით უმეტეს, რომ პროფკავშირულ საწევროს დღესაც იხდის.

1992 წლის 27 იანვრის მონაცემებით, საქართველოს პროფკავშირების კურორტთა საბჭოს ბალანსზე ირიცხებოდა 109 ობიექტი, მათ შორის - 80-მდე სანატორიუმი, პანსიონატი და დასასვენებელი სახლი. მათი დიდი წილი - 34 ობიექტი აფხაზეთის ტერიტორიაზეა, 15 - აჭარაში, 12 წყალტუბოში, 8 ბორჯომში, ორი - ონში, თითო-თითო სურამში, გურჯაანში, ბაღდათში, სენაკში, ჯავაში, ზუგდიდში, საჩხერესა და ჩოხატაურში. 1926 წლიდან მოყოლებული ეს ობიექტები გეგმაზომიერად შენდებოდა და რემონტდებოდა. საკურორტო და ტურისტული მეურნეობის განვითარების დონით საქართველო საბჭოთა კავშირში მესამე ადგილზე იყო, რუსეთისა და უკრაინის შემდეგ; 1990 წლამდე, შეფასებებით, ყოველწლიწადში ოთხ მილიონ ტურისტს იღებდა. რამდენ დამსვენებელს იღებს საქართველოს სანატორიუმები, პანსიონატები და დასასვენებელი სახლები დღეს, დაზუსტებით ვერავინ გეტყვით. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაში ეს საკითხი, ისევე, როგორც ბევრი სხვა, ბურუსითაა მოცული. ცნობილია, რომ ორგანიზაციის კუთვნილ ოცამდე სანატორიუმში დღეს 11 ათასამდე იძულებით გადაადგილებულია შესახლებული. რამდენად არის დატვირთული დანარჩენი ოცდაათამდე ობიექტი, შეგვიძლია ვივარაუდოთ.

## ფიცი, რომლის ბოლო გვაკვირვებს...

*საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, საკურორტო ობიექტების სახით, საბჭოთა პერიოდში სოლიდურ ქონებას ფლობდა. ამ ქონებას დღეს თვალშისაცემად აკლია ყველაზე ძვირფასი "მარგალიტი" - აფხაზეთის ზღვისპირა კურორტები, დღესაც ასე რომ იზიდავს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, თუმცა, პროფკავშირების დღევანდელი მემკვიდრეობა მაინც შთამბეჭდავად გამოიყურება. ერთადერთი, სადაც "პროფკავშირებს" საკუთრება არ გააჩნია ურეკი და ბაკურიანია.*

ნანა ყაველაშვილი

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების შპს "პროფკურორტის" დირექტორის ზურაბ ჩიკვილაძის თქმით, "პროფკავშირებმა" თავისი საბჭოური ქონების 60 პროცენტი და სისტემურობა შეინარჩუნა. **"დღეისათვის მთელ საქართველოში, ერთადერთი მოწესრიგებული საკურორტო სისტემა ჩვენ გვაქვს",** - აცხადებს იგი. შრომის სასახლის პირველ სართულზე "პროფკურორტს" საკუთარი, საკონსულტაციო ოფისი აქვს, სადაც მსურველს "პროფკავშირის" კუთვნილი სანატორიუმებსა და დასასვენებელი სახლების, ამ კურორტთა სამკურნალო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო თვისებების, დასვენების პირობებისა და ფასების შესახებ სრული ინფორმაცია უნდა მიაწოდონ. საგზურის შეძენაც იქვე ხდება.

"პროფკურორტის" დირექტორის ზურაბ ჩიკვილაძის თქმით, "პროფკავშირის" კუთვნილ დასასვენებელ სახლებსა და საკურორტო ობიექტებში, სხვებთან შედარებით, იაფი ფასებია. **"ჩვენ ვითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის დღევანდელ საარსებო მინიმუმს, ჩვენს სანატორიუმებსა და პანსიონატების პოტენციური დამსვენებლების სოციალურ მდგომარეობას და ვცდილობთ, მომსახურების ფასები და საგზურის ღირებულება მოსახლეობის ფართო ფენისათვის ხელმისაწვდომი იყოს. საგზურებისა და საკურორტო ბარათების ფასები, მომსახურების ხასიათისა და პირობების მიხედვით, დღეში ხუთიდან ოცდახუთ ლარამდე მერყეობს. დასვენებისა და მკურნალობის ღირებულება დამოკიდებულია პროცედურების რაოდენობასა და სახეობაზე; საგზურში შედის სამჯერადი კვების ხარჯებიც. განსხვავებული ფასებია სანატორიუმებსა და პანსიონატებში; ზოგან კი სეზონისა და თვეების მიხედვით იცვლება ტარიფი. მაგალითად, "საირმეში" ივნისში ერთი დღე - თვრამეტი, ხოლო ივლის-აგვისტოში ოცი ლარი ღირს. ამ თანხაში შედის ექიმის კონსულტაცია, ლაბორატორიული ანალიზები, სხვადასხვა პროცედურა, სამჯერადი კვება. ასევეა "ლიკანში",** - ამბობს იგი.

როგორც დავაზუსტეთ, ობიექტი, სადაც, "პროფკურორტის" დირექტორის სიტყვებით, დასვენება დღეში ხუთ ლარად შეიძლება, სულ ორია - "ბორჯომმედსერვისი" და "ბორჯომკურორტსერვისი". ამ თანხაში მხოლოდ საცხოვრებელი ადგილი შეგიძლიათ დაიკავოთ, მკურნალობა და, მით უმეტეს, კვება მასში არ შედის. რაც შეეხება, ობიექტური მიზეზების გამო, პრაქტიკულად, გაუქმებულ დასასვენებელ სახლებს, ოცამდე სანსატორიუმში დღეს 11 ათასამდე აფხაზეთიდან დევნილი ცხოვრობს. **"ყველაზე მეტი დევნილი ჩვენს ობიექტებშია ჩასახლებული - თერთმეტი ათასი ადამიანი. ვცდილობთ, ამან კურორტებზე დამსვენებელთა დინებას, დასვენებას, ავადმყოფთა მკურნალობას ხელი არ შეუშალოს, მაგრამ მაინც ვზარალდებით. დევნილების შესახლებამდე თითქმის ყველა შენობა-ნაგებობა კარგ მდგომარეობაში იყო. ახლა იქ თითქმის ყველაფერი გაფუჭებული და შესაკეთებელია. ამას დაერთო არეულობის პერიოდში მოსახლეობის მიერ ჩვენი ქონების ნაწილის უკანონო მითვისება. ვისაც ადრინდელი წყალტუბო ახსოვს, დღეს მას ვეღარ იცნობს. თითქმის, ყველა სანატორიუმი და პანსიონატი დევნილებს უკავიათ. მაინც გამოვნახეთ საშუალება და ადგილები, რომ დამსვენებელთა და მსურველთა ნაწილი მაინც დავაკმაყოფილოთ,** - ამბობს ზურაბ ჩიკვილაძე, - **იყო დრო, როცა წყალტუბოში დღეში ათი ათასზე მეტი ადამიანი ისვენებდა. ახლა საკურორტო სეზონი ორ თვემდე შემცირდა. შესაბამისად, იკლო ფინანსებმაც. რა მდგომარეობაცაა მთლიანად ქვეყანაში, ისეთივე სიტუაციაა კურორტებშიც; შემიძლია ვთქვა - უკეთესიც. მისასალმებელია, ჩვენი პრეზიდენტის განწყობა ქვეყანაში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, მაგრამ არსებული სიტუაცია სასურველისაგან ძალზე შორსაა. საშინელ მდგომარეობაშია კურორტებამდე მისასვლელი გზები, რაც ადგილობრივი ხელისუფლების საზრუნავია",** - ამბობს "პროფკურორტის" დირექტორი.

ჯერჯერობით, საპრივატიზაციო ტალღა "პროფკავშრის" ქონებას, როგორც მისი დირექტორი ირწმუნება, უშუალოდ არ შეხებია, თუმცა დაინტერესება იგრძნობა. **"ჩვენ პრივატიზაციის წინააღმდეგნი არა ვართ,** - ამბობს ზურაბ ჩიკვილაძე, - **უბრალოდ, მის ფორმასა და ხასიათს გააჩნია. ძალიან გაგვიხარდება, თუ გამოჩნდება ინვესტორი, რომელიც აამოქმედებს იმ საკურორტო ობიექტებს, რომლებიც, ათი-თხუთმეტი წელია, გაჩერებულია. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ".**

## ერთი მაგალითი პროფკავშირული კურორტის ცხოვრებიდან - ახტალა

*უნიკალური სამკურნალო ტალახით ცნობილი კურორტი ახტალა შუაგულ კახეთში, გურჯაანში მდებარეობს, ზღვის დონიდან 450 მეტრზე. ამბობენ, რომ ძველად იმ ადგილას, სადაც ახლა არის ქვაბული, საიდანაც ტალახი ამოდის, ერთ გლეხს ყანა ჰქონია. ფერისცვალება დღეს, თურმე, ქალიშვილი ესტუმრა შვილიშვილთან ერთად, ის კი ყანაში წავიდა სამუშაოდ. ადგილზე მისულს ხმა ჩაესმა: დღეს უქმეა, მუშაობას თავი დაანებე და შინ წადი, თორემ შენს ყანას ავაოხრებ, ქალიშვილს კი ქვად გიქცევო. არ დაემორჩილა გლეხი, თურმე, ხმას და არ შეწყვიტა მუშაობა. უეცრად, შუა ყანაში ტალახმა ამოხეთქა. გლეხმა მხოლოდ ამის თქმა მოასწრო, - "ახ, ტალა"... და ახლადგაჩენილ ქვაბულში ჩაინთქა. მისი ქალიშვილი ქვად ქცეულა. ადრე ახტალის ტერიტორიაზე ფერისცვალების ეკლესია ყოფილა აგებული. მისი ნანგრევები არ შემოგვრჩენია.*

ნანა ყაველაშვილი

ახტალის ტალახის სამკურნალო თვისებები ადგილობრივი მოსახლეობისთვის უხსოვარი დროიდან ყოფილა ცნობილი. ცნობილი მსახიობი ნატო ვაჩნაძე, რომელმაც ბავშვობა გურჯაანში მამამისის, გიორგი ანდრონიკაშვილის მამულში გაატარა, თავის მოგონებებში წერს: **"ჩემს ბავშვობაში ახტალა სრულიად მოუწყობელი იყო. ავადმყოფები ურმებით მოდიოდნენ და ტალახის მახლობლად, კარვებში ცხოვრობდნენ. კოცონებზე წყალი თბებოდა, რითაც ტალახის აბაზანების შემდეგ ავადმყოფები ტანს იბანდნენ. ძველ დროს ახტალა ანდრონიკაშვილებსა და აბაშიძეებს ეკუთვნოდათ. ბელგიის სამედიცინო საზოგადოებამ წინადადება მისცა ახტალის მესაკუთრეებს, ორმოცი წლით გადაეცათ მისთვის სამკურნალო ტალახი. დიდი ხნის თათბირის შემდეგ მოზიარეებმა ეს წინადადება უარყვეს, რადგან ორმოცი წელი დიდ დროდ მოეჩვენათ და თვითონ შეუდგნენ კურორტის "მშენებლობას". ასე დარჩა ღია ცის ქვეშ მოუწყობელი ახტალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ახლა იმ ადგილებს ვეღარ იცნობთ, იქ გაშენებულია დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, ლამაზი პარკი".**

ახტალის სანატორიუმი 1936-37 წლებში აშენდა. 1990 წლამდე ამ კურორტზე სეზონზე ხუთი-ექვსი ათასი ადამიანი მკურნალობდა. ავადმყოფთა ნაწილი სანატორიუმში ცხოვრობდა, ნაწილიც - კურორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილობრივი მოსახლეობის სახლებში. ამიტომ, დამსვენებლები მათი შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო. საკურორტო სეზონი, თითქმის, ათ თვეს გრძელდებოდა, 1 მარტს იწყებოდა და დეკემბერში სრულდებოდა; დანარჩენი ორი თვის განმავლობაში იქ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. ავადმყოფები ახტალაში მთელი საბჭოთა კავშირიდან ჩადიოდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ავადმყოფთა ნაკადმა იკლო, ხოლო 1990 წლიდან, ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, სიტუაცია ახტალაშიც გაფუჭდა. 1994 წელს საკურორტო სეზონი მთლიანად ჩავარდა, რამაც მომდევნო წლების საკურორტო ცხოვრებას სერიოზული დაღი დაასვა.

ისევე, როგორც საქართველოს სხვა კურორტებში, აფხაზეთიდან დევნილები ახტალაშიც ცხოვრობენ. თავდაპირველად იქ 300-მდე დევნილი ცხოვრობდა, შემდეგ ზოგი რუსეთში წავიდა, ზოგიც - დასავლეთ საქართველოში. დღეს იქ მხოლოდ ასი დევნილია, რომელთაც ორი საცხოვრებელი კორპუსი უკავიათ. ახტალის დირექტორის გოგა უტიაშვილის თქმით, კურორტის ტერიტორიაზე დევნილთა ყოფნა მომსახურე პერსონალს ხელს არ უშლის, ავადმყოფებს სრულფასოვანი მომსახურება გაუწიონ, თუმცა იმასაც ამბობს, რომ დევნილებისაგან გამოთავისუფლებული კორპუსის მოწესრიგება და მისთვის პირვანდელი მდგომარეობის დაბრუნება ძალიან გაუჭირდათ, რადგან იატაკი სანახევროდ აყრილი იყო, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემა კი ხელახლა გაკეთებას საჭიროებდა.

კურორტი ახტალა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების კუთვნილებაა. სხვა კურორტების მსგავსად, ისიც თვითდაფინანსებაზეა. დღეისათვის ის სეზონზე სამასამდე ავადმყოფს მასპინძლობს და საკურორტო სეზონი ოთხ-ხუთ თვეს გრძელდება. **"უფრო მეტის მიღებაც შეგვიძლია, მაგრამ ვისაც ჩვენთან მკურნალობა სჭირდება, ძირითადად, სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები არიან და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ფასები არც ისე მაღალია, მისი გადახდაც უჭირთ",** - ამბობს ახტალის დირექტორი. საგზურის ღირებულება, სრული სერვისით, დღეში ოცდაერთი ლარია. თითოეულ ავადმყოფს 10-12 პროცედურა სჭირდება. მკურნალობის სრული კურსი 250-დან 300-ლარამდე მერყეობს. ამ თანხაში შედის ავადმყოფის მკურნალობა, ბინით უზრუნველყოფა და სამჯერადი კვება. მკურნალობა მოიცავს ექიმთა კონსულტაციას, მასაჟს, ლაბორატორიულ ანალიზებს, ფიზიოთერაპიას, სამკურნალო ფიზკულტურას, მედიკამენტურ მკურნალობას და ტალახის პროცედურებს. თუ ავადმყოფს მხოლოდ მკურნალობა სჭირდება, ერთი სრული კურსის (10-15 პროცედურა) ფასი 130 ლარია. ვისაც მხოლოდ მკურნალობა და ბინა სჭირდება, ამ თანხაზე ერთ სულზე დღეში ორი ლარის დამატება მოუხდება.

**"სასიამოვნო სანახავია, რომ ჩვენთან ხელჯოხითა და ყავარჯნებით მოსული დაუძლურებული ავადმყოფი შინ განკურნებული და გახარებული ბრუნდება. მკურნალობის გასაოცარი შედეგები გვაქვს. დამოუკიდებლად გადაადგილების უნარს მოკლებული ბავშვები, რომლებსაც მანამდე მიწაზე ფეხი არ დაუდგამთ, რამდენიმე პროცედურის შემდეგ, მომვლელის დახმარებით, სიარულს იწყებენ. წელს ოთხ თურქს ვუმკურნალეთ, შარშან სამი გერმანელი გვყავდა. წელსაც ველოდებით ავადმყოფს გერმანიიდან. მართალია, უცხოელებს ევროპული სტანდარტის საცხოვრებელ პირობებს ვერ ვთავაზობთ, მაგრამ აქვე, ახტალის მახლობლად შესანიშნავი სასტუმროა, სადაც მათ ევროპული სერვისით მოემსახურებიან",** - ამბობს კურორტის დირექტორი.

"ახტალის" ადმინისტრაციის მთავარი პრობლემა ავადმყოფთა მიზიდვაა. მიუხედავად იმისა, რომ კურორტი პროფკავშირებს ეკუთვნის, პროფკავშირული საგზურით იქ ძალიან ცოტა ვინმე თუ მიდის. კურორტზე ავადმყოფთა ახალი ნაკადი, ძირითადად, უკვე განკურნებული ავადმყოფების საშუალებითა და რეკომენდაციით ხვდება.

## ორი დოკუმენტი თვალსაჩინოებისთვის

*საქართველოს კურორტების მდგომარეობაზე საუბრისას "პროფკურორტის" ხელმძღვანელობა, როგორც მოსალოდნელი იყო, უსახსრობას უჩივის. ეს, ჩვენი სინამდვილისთვის უნივერსალურ მიზეზად ქცეული არგუმენტი, შეიძლება, ამ შემთხვევაშიც მისაღებიც ყოფილიყო, რამდენიმე "მაგრამ" რომ არა.*

მაკა ჭაიანი

2002 წლის 11 ივლისს სს"კურორტინვესტმა" (მისი სამართალმემკვიდრედ დღეს "პროფკურორტი" მიიჩნევა) შპს "გეოფინინვესტთან გააფორმა სასესხო ხელშეკრულება", რომლის მიხედვითაც,"კურორტინვესტმა" "გეოფინინვესტს" 11 თვით, ერთპროცენტიანი განაკვეთით, სესხით სარგებლობის მთელ ვადაზე, ასესხა 288 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. მიცემული სასესხო ვადის დარღვევის შემთხვევაში, შპს "გეოფინტინვესტს" ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 10 დღის განმავლობაში ვადაგადაცილებული თანხის 0,05 პროცენტის, 10 დღის შემდეგ კი 0,1 პროცენტის გადახდა ევალებოდა. ეს ვალი ჯერ კიდევ დაფარული არ იყო, როცა 2002 წლის 21 ნოემბერს "კურორტინვესტმა" იმავე "გეოფინტინვესტს", იმავე პირობებით და იმავე პროცენტით, შვიდი თვის ვადით 124 485 აშშ დოლარის ეკვივალენტი ასესხა ლარებში.

ამ ორ დოკუმენტს დღეს მეტად არ ჩავუღრმავდებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ კარგი მეურნე, რომელსაც საკუთარ მეურნეობაში, უსახსრობის გამო, პრობლემა პრობლემაზე ემატება, მეტიც - ჭერი ენგრევა თავზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ასე არ იქცევა. თუმცა, პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით მათი ახლო თუ შორეული ნაცნობები ეპითეტს - "კარგი მეურნე" - საზოგადო კონტექსტში არ იყენებენ; პირიქით - ირაკლი პეტრიაშვილი, რომელიც, მესამე წელია, პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის ირაკლი ტუღუშის მოადგილეა და ახლახან პროფკავშირების ახალგაზრდული საბჭო დააფუძნა, იმას, რაც პროფკავშირების გაერთიანებაში ხდება, ქაოსს უწოდებს.

**"მე საორგანიზაციო ნაწილს ვხელმძღვანელობ გაერთიანებაში და არ ვიცი, რა ობიექტები იყიდება, ღრმად რა პროცესები მიმდინარეობს. გაერთიანების მმართველი არის საბჭო, მაგრამ ინფორმაცია ამის შესახებ არც მას ჰქონია. ოფიციალურად მოვითხოვე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ობიექტები იყო და არის ახლა პროფკავშირების საკუთრებაში, მაგრამ არ მომცეს. გაერთიანებაში ყველაფერი სამ ადამიანს შორის წყდება. ესენია არიან: თავად ტუღუში, ლონდა სიხარულიძე და ლაშა ჭიჭინაძე - მისი მოადგილე და მისი იურისტი. სხვებისთვის ინფორმაცია დახურულია",** - ამბობს იგი.

გაცილებით რადიკალურია საქართველოს თავისუფალი პროფესიული კავშირების თავმჯდომარე ემზარ ბეჟაშვილი, რომელიც ირაკლი ტუღუშს სტატუსს და პროფკავშირების სახელით საუბრის უფლებას დღესაც ედავება: **"მე მქონდა ურთიერთობა ბატონ თეიმურაზ მოსაშვილთან, რომელიც იყო პროფკავშირების დამსახურებული მუშაკი. მისგან ვიცი, რომ პროფკავშირები 400-მდე შენობა-ნაგებობას ფლობდნენ საქართველოს მასშტაბით. ეს იყო სპორტული ნაგებობები, სასტუმროები, გარაჟები, კულტურის სასახლეები და ა.შ ამასთან, ბორჯომის, უწერას, სხვა წყლები მის საკუთრებაში იყო. ეს უკანასკნელი, ოფიციალურად, კაპიკებად აღმოჩნდა გაყიდული ტუღუშის მიერ. ისინი არიან გაყიდულ წყლებში წილებში, ნაბეღლავში, ბორჯომში. წილი უნდა ჰქონდეს მის ადვოკატ ლაშა ჭიჭინაძესაც, რომელიც აკვარახჭინებს, როგორც წესი, ტუღუშის საქმეებს. გაიყიდა ქონება, რომელიც ჩვენმა მუშა-მოსამსახურეებმა წლების განმავლობაში საკუთარი სახსრებით აშენეს და შეინარჩუნეს. იმ 14-ლარიანი პენსიონერების ქონებით, რომელთაც აქვთ პროფკავშირების წევრობის 40-50-წლიანი სტაჟი, დღეს რამდენიმე ადამიანი მილიონებს იგებს".**

## საჭიროა კურორტების პასპორტიზაცია

*საქართველოში რამდენიმე ტიპის საკურორტო ადგილია. არსებობს მაღალი მთის, შუა მთისა და დაბალი მთის კურორტები. მთის კურორტები კარგად მოქმედებს ანემიაზე და ბრონქულ ასთმის დაავადებებზე, ზღვის კურორტები კი ჰიპერტონულ, იშემიური და გულის დაავადებულთათვის არის კარგი. საქართველოში არსებობს მინერალური წყლის კურორტებიც. ხშირ შემთხვევაში დამსვენებლებმა არ იციან, თუ რომელი კურორტი მისთვის სასარგებლო. არასწორად შერჩეულმა კურორტმა, შეიძლება, დაავადების გართულებაც კი გამოიწვიოს. იმისათვის, რომ კურორტი სწორად შეარჩიოთ, შეგიძლიათ კურორტოლოგიის ინსტიტუტს მიაკითხოთ, სადაც კვალიფიციური ექიმები გაგსინჯავენ და შესაბამის კურორტსაც შეგირჩევენ.*

თამარ დვალი

**"საბჭოთა კავშირის დროს კურორტოლოგია ძალიან განვითარებული იყო საქართველოში. ბოლო ათი წლის განმავლობაში, თითქმის, ყველა სანატორიუმი დაინგრა, ბევრგან კი ლტოლვილები ცხოვრობენ. სადაც ლტოლვილები არ ცხოვრობენ, მათი უმრავლესობა გაყიდულია. საზღვარგარეთ გაცილებით ძვირი ღირს დასვენება, მაგრამ იქ სადაზღვევო სისტემა მუშაობს. ჩვენი ინსტიტუტის მიერ მკურნალობის გაცილებით იაფი და უნიკალური მეთოდებია შექმნილი. აქ მოსულ ავადმყოფს იმას ნამდვილად განვუსაზღვრავთ, რომელ კურორტზე წავიდეს. ბევრი ადამიანი ისეთ კურორტზე მიდის, სადაც მისი წასვლა არ შეიძლება და, მკურნალობის მაგივრად, მდგომარეობას იუარესებს. არადა, ფაქტია, სანამ აბასთუმნის სანატორიუმი ფუნქციონირებდა, ტუბერკულოზით ბევრად ნაკლები ავადმყოფი იყო დაავადებული",** - ამბობს საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამედიცინო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი იორამ თარხან-მოურავი.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოს უმრავლეს კურორტებზე ექიმები ან საერთოდ აღარ არიან, ან, მათ ნაცვლად, არასპეციალისტები მუშაობენ. წესის თანახმად, სანატორიუმის დირექტორი პროფესიით ექიმი უნდა იყოს, თუმცა დღეს ამის აუცილებლობა ბევრს არ ესმის.

**"კურორტები დღეს საქართველოში მიტოვებული და განიავებულია. ქვეყანას ძალიან უჭირს ფინანსურად და ცოტა უხერხულია, კურორტების აღსადგენად ფული ვითხოვოთ. სწორედ ამის გამო, ჩვენ შევქმენით არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც "საქართველოს კურორტების აღდგენისა და განვითარების ხელშემწყობი ასოციაცია" ეწოდება. ასოციაციის მიზანია საქართველოში არსებული კურორტების აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა; საქართველოს კურორტების ჩართვა მსოფლიო საკურორტო ნაკადში; კურორტების თანამედროვე აპარატურით აღჭურვის ხელშეწყობა და საგამომცემლო საქმიანობა. ჩვენი გაზეთის - "საქართველოს კურორტები" - პირველი ნომერი, რომელიც მოსახლეობას უფასოდ დაურიგდება უკვე მზად არის გამოსაცემად. იგი მოსახლეობაში კურორტების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს",** - აღნიშნავს ბალნეოლოგიური კურორტის დირექტორი ნიკოლოზ სააკაშვილი. მისივე თქმით, ნომერ პირველ პრობლემად დღეს კურორტების პასპორტიზაციის საკითხი დგას. გასარკვევია, თუ რომელი კურორტია ქმედითუნარიანი და რომელი - არა. ამ პრობლემის მოგვარებას ფინანსები სჭირდება, თუმცა ნიკოლოზ სააკაშვილი იმედოვნებს, რომ პასპორტიზაციის პრობლემა მომავალი წლისთვის უკვე გადაწყვეტილი იქნება.

**"ყურადღებამისაქცევია კვების საკითხიც. ჩვენ არ ვიცით, რას აჭმევენ კურორტებზე. იქ ადამიანები მკურნალობის ჩასატარებლად მიდიან და ამ დროს, შეიძლება, ვიღაცამ მათთვის საზიანო პროდუქტი მიაწოდოს. გამოსაკვლევია სასმელი წყლებიც, ჩვენ დღეს მათი ბაქტეროლოგიური მდგომარეობა არ ვიცით. ბოლო 25 წლის განმავლობაში საქართველოში კურორტების აღწერა აღარ მომხდარა. აფხაზეთის კურორტების შესახებ მონაცემები მოვიძიეთ, თუმცა ეს ომამდელი აღწერებია და ახალა ვცდილობთ, თავიდან შევისწავლოთ კურორტების ამჟამინდელი მდგომარეობა",** - ამბობს იგი.

შეიძლება ბევრმა თბილისელმა არც კი იცის, რომ ქალაქიდან გაუსვლელად დედაქალაქის ცენტრში უნიკალური დაწესებულება - ბალნეოლოგიური კურორტი ფუნქციონირებს. ამჟამად იქ რემონტი მიმდინარეობს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო, მკურნალობა შეწყვეტილია. **"ამბობენ, რომ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი გაყიდულია. მინდა ვთქვა, რომ იგი 100 პროცენტით სახელმწიფოს საკუთრებაა. ის ადამიანები, რომლებიც ქალაქგარეთ გასვლას ვერ მოახერხებენ, შეუძლიათ აქ იმკურნალონ. აქ პაციენტებს პროფესიონალი ადამიანები ემსახურებიან. გვაქვს შიდა ბაღები, კვების მოწესრიგებული სისტემა და ყველაფერი რაც საჭიროა კურორტისთვის. ვკურნავთ საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებებს, ოსტეოქონდროზს, ართრიტებს და ართროზებს; კანის დაავადებებს: ფსორიაზს, ეგზემას, ნერვოზს, უშვილობასა და პროსტატიტს. აქ მკურნალობის უნიკალური შედეგები გვაქვს. კვირაში ორი დღე ბალნეოლოგიურ კურორტზე "ბადრი პატარკაციშვილის ფონდიდან" სოციალურად დაუცველი ხალხი მოჰყავთ და ჩვენ მათ უფასოდ ვემსახურებით",** - აცხადებს ბალნეოლოგიური კურორტის ხელმძღვანელი.

ხალხის აზრი

## "კურორტი უნდა იყოს კეთილმოწყობილი და ხალხისთვის ხელმისაწვდომი"

**ედიშერ მაღალაშვილი, რუსთაველის თეატრის მსახიობი:**

მახსოვს, ბოლოს დასასვენებლად 1995 წელს ვიყავი ქობულეთში, სანატორიუმ "საქართველოში". პირობები და მომსახურება ნორმალური იყო. ადრე, კომუნისტების დროს საგზურები გვქონდა და იმით ვსარგებლობდით. ამ ბოლო წლებში აღარსად ვყოფილვარ, რადგან პატარა სახლი მაქვს სოფელ წეროვანში და ყოველთვის იქ მივდივარ. ეს ნაკვეთები რუსთაველის თეატრის მსახიობებს დაგვირიგეს და - იმიტომ. ჩემი მეზობლები არიან - გურამ საღარაძე, რეზო ჩხეიძე და სხვა ცნობილი ადამიანები. ყველას ვერ ვიხსენებ. ისე, სიამოვნებით დავისვენებდი სადმე. ჩემი აზრით, საჭიროა სათანადოდ მოწყობილი დასასვენებელი ადგილები იყოს ჩვენს ქვეყანაში და აუცილებელია, მოსახლეობისათვის იყოს ხელმისაწვდომი, რადგან მშრომელ ადამიანსაც შეეძლოს ოჯახთან ერთად დაისვენოს. ვიცი ხალხი, რომელიც, უსახსრობის გამო, არასოდეს წასულა დასასვენებლად.

**შალვა ისაკაძე, თბილისის მთავარი დეკორატორი:**

რამენიმე წლს წინათ რაჭაში, კურორტ შოვში დავისვენე და გასაოცარი სილამაზე ვიხილე - იქ არაჩვეულებრივი ბუნება და მინერალური წყლებია. მართალია, სათანადო კომფორტი არ იყო და კვების მხრივაც არაფერი მიგიზიდავდა, მაგრამ მაინც, დრო რომ მქონდეს, კიდევ წავიდოდი რაჭაში. საქართველოში ბევრი კარგი და შესანიშნავი დასასვენებელია, მაგრამ სათანადოდ არ არის მოვლილი. ამიტომ, სურვილი და იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**ვახტანგ ბერიძე, საქართველოს ფაგოთერაპიის ცენტრის დირექტორი:**

სიმართლე რომ გითხრათ, კარგა ხანია, არსად დამისვენია, რადგან სამსახური არ მაძლევს ამის საშუალებას. შარშან უცხოელებთან ერთად ვიყავი ლიკანში ერთი კვირით და ჩემი სტუმრები აღფრთოვანებულები დარჩნენ ნანახით. იქ ყველანაირი პირობაა, რომ ადამიანმა დაისვენოს. წელსაც სიამოვნებით წავიდოდი იქ, დრო რომ მქონდეს. მინდა, ბევრი კეთილმოწყობილი კურორტი იყოს, მაგრამ განსაკუთრებით მინდა სოხუმის ნახვა და იქ დასვენება. ჩემი ოჯახი ხუთი წელი სოხუმში ცხოვრობდა. იქედან გამომყვა საოცარი მოგონებები, რომლებიც, ძირითადად, ჩემს ბავშვობასთან არის დაკავშირებული. კიდევ ერთი სურვილი მაქვს - სვანეთის მონახულება, რადგან იქ არასოდეს ვყოფილვარ.

**ლაშა ბუღაძე, მწერალი:**

მე, სამწუხაროდ, დიდად მოგზაურობის მოყვარული კაცი არა ვარ. ზღვაზე კი სიამოვნებით წავიდოდი, მაგრამ ამის დრო, საუბედუროდ, არ მაქვს. სიხარულით დავისვენებდი საზღვარგარეთ. მიმაჩნია, რომ ჩვენთან არ არის სათანადო კომფორტი, ამის გარეშე დასვენება კი წარმოუდგენელია. კი, ბატონო, კარგია ბუნება და ღია ცის ქვეშ ძილი, მაგრამ მალე მოგბეზრდება კაცს. ტურიზმისათვის ისეთი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, როგორიც საქართველოს აქვს, არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია. სამი-ოთხი საათის ინტერვალში შეგიძლია, ზღვაზეც იყო და დათოვლილ მწვერვალზეც. ეს უნიკალური პირობაა ალპინიზმისათვის და, პარალელურად, თერაპიისათვის. ბევრს მიაჩნია, რომ ჩვენი ზღვისპირეთი კონკურენციას ვერ გაუწევს თურქეთის პლაჟებს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ყველაფერი ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ადრე სათანადო ფინანსები არ ჰქონდა სახელმწიფოს, ახლა კი ყველაფერია იმისათვის, რომ ამაზე ზრუნვა ახლავე დავიწყოთ.

**ნანა იაშვილი, ფსიქოლოგი:**

სიამოვნებით წავიდოდი ბორჯომში დასასვენებლად. შარშან ჩემი მეუღლე ისვენებდა ლიკანში და მე ერთი დღით მოვინახულე. ისე მომეწონა იქაურობა, წამოსვლა აღარ მინდოდა, მაგრამ, დროის უქონლობის გამო, ამაზე ვერც ვიოცნებებ. ჩვენთან ბევრი კარგი დასასვენებელია, მაგრამ, ვისაც დრო აქვს, სათანადო სახსარი არ გააჩნია. ეს კი ძალიან სამწუხარო ფაქტია. იმედია, საქართველო განვითარების გზას ადგას და, რაც მოხდა, იმაზე უარესი აღარაფერი მოხდება.

*ჩაიწერა*
*ნინო ბერელიძემ*

# ძიძიგური ჟვანიას ენერგეტიკის მონოპოლიზაციაში ადანაშაულებს



*ებრალიძე ირწმუნება, რომ ელექტროენერგიის ტარიფის რამდენიმე თეთრით შემცირების რეალური საფუძველი არსებობს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ხმაური იყო გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში. ჯერ იყო და, ელექტროენერგეტიკაში სატარიფო პოლიტიკის განხილვამ კომიტეტის წევრებს შორის სერიოზული დაპირისპირება გამოიწვია, მოგვიანებით კი, ყოფილმა "ნაციონალმა" ზვიად ძიძიგურმა პრემიერ-მინისტრი ენერგეტიკის დარგის მონოპოლიზაციის მცდელობაში დაადანაშაულა.*

მარიამ ჭაჭავაძე

გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი აირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ელექტროენერგეტიკაში სატარიფო პოლიტიკის განხორციელების საკითხზე მსჯელობდნენ.

სემეკთან არსებული, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის დავით ებრალიძის განცხადებით, ელექტროენერგიის ტარიფი არასწორად არის დადგენილი და არის იმის შესაძლებლობა, რომ ეს ტარიფი შემცირდეს. მისივე თქმით, ტარიფი უნდა დგებოდეს არა სახელმწიფოს მიერ დადებული საპრივატიზაციო ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ იგი კანონით უნდა განისაზღვრებოდეს. მისივე თქმით, კომპანია **"რაო ე-ეს"-ისთვის უმთავრესია, ელექტროენერგიის მოქმედი ტარიფი შენარჩუნდეს, ამიტომაც იგი ხელისუფლებას ტარიფის გაზრდის თაობაზე ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განაცხადის შეტანით აშინებს".** ებრალიძე ირწმუნება, რომ ელექტროენერგიის ტარიფის რამდენიმე თეთრით შემცირების რეალური საფუძველი არსებობს. გუშინდელ სხდომაზე სემეკის თავმჯდომარემ გია თავაძემ განაცხადა, რომ მან უკვე მიმართა "რაო ე-ეს"-ს თხოვნით, მიაწოდოს ინფორმაცია და მასალები "ეი-ი-ეს"-სა და "რაო ე-ეს"-ს შორის გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ, რომელთა მიხედვით, "ეი-ი-ეს"-მა მის მიერ განხორციელებული 200-მილიონიანი ინვესტიცია ჩამოწერილად გამოაცხადა. სემეკ-ის თავმჯდომარის განცხადებით, თუ ებრალიძის ინფორმაცია დადასტურდება, ელექტროენეგიის ტარიფის შემცირება შესაძლებელი გახდება.

ელექტროენერგიის ტარიფთან დაკავშირებული საკითხები გუშინდელ განხილვაზე კომიტეტის წევრს ზურაბ ცქიტიშვილსა და კომიტეტის თავმჯდომარეს ნიკო ლეკიშვილს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა. ზურაბ ცქიტიშვილი კომიტეტის თავმჯდომარის მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამდა და აღნიშნავდა, რომ საპარლამენტო კომიტეტს ტარიფის საკითხის საჯაროდ განხილვის დაწყების კანონიერი უფლება არ ჰქონდა. **"პარლამენტი უფლებამოსილი არ არის, ტარიფის საკითხში და ჩაერიოს საჯარო განხილვები აწარმოოს,"** - აღნიშნა მან.

თუმცა, კომიტეტის წევრებმა ეს პოზიცია არ გაიზიარეს. **"პარლამენტი სემეკ-ის უფლებამოსილებებში არ ერევა. იგი, უბრალოდ, დაინტერესდა ტარიფის საკითხით და სემეკ-ისგან ინფორმაცია მოითხოვა, რომელიც მომხმარებელთა უფლებების დამცველმა დათო ებრალიძემ წარმოადგინა,"** - აღნიშნეს კომიტეტის წევრებმა.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე პარლამენტარებმა ზვიად ძიძიგურმა და კახა კუკავამ ამ ცოტა ხნის წინათ სემეკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააპროტესტეს. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, 21 მცირე ლიცენზიანტს უფლებამოსილება შეუწყდა. ძიძიგურის განცხადებით, სემეკის თავმჯდომარემ ეს გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის მითითებით მიიღო. ძიძიგური ამტკიცებს, რომ ამ გადაწყვეტილებით, პრემიერი ენერგეტიკის სფეროში მონოპოლიზებას ახდენს.

**"რაც მეტი მცირე ლიცენზიანტი იქნება, მით მეტი კონკურენცია იქნება, რადგან პრაქტიკამ აჩვენა, რომ მონოპოლიზებას ქვეყნისთვის კარგი არაფერი მოაქვს.**

**ენერგეტიკის სფეროში მდგომარეობა ყოველდღე უკან-უკან მიდის და მოსახლეობა დახმარებისთვის დეპუტატებს მიმართავს,"** - აცხადებს ზვიად ძიძიგური.

სემეკის თავმჯდომარის განცხადებით, მცირე ლიცენზიანტები ენერგეტიკის სფეროში უამრავ პრობლემებს ქმნიდნენ და მათი საქმიანობა კორუფციის ერთ-ერთი წყარო იყო.

# ამერიკის წლევანდელ ბიუჯეტს 420-მილიარდიანი დეფიციტი ემუქრება

*ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ბიუჯეტის დეფიციტის წლევანდელი მაჩვენებლით რეკორდს ამყარებს. აშშ-ს ბიუჯეტის დეფიციტმა წელს 420 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ამის შესახებ განცხადება კონგრესის წარმომადგენლებმა ანონიმურად გუშინ გააკეთეს. ეს მაშინ, როცა საქართველოს წლევანდელი ბიუჯეტი, ამერიკისგან განსხვავებით, პრეფიციტით ხასიათდება.*

დიანა ჩაჩუა

როგორც 2003 წლის თებერვალში გამოქვეყნებული მონაცემები აჩვენებს, ამერიკელები უფრო დიდი მოცულობის ბიუჯეტის დეფიციტს ელოდნენ. მაშინ მაჩვენებელმა 521 მილიარდი შეადგინა, თუმცა, მათთვის საბედნიეროდ, რეალური თანხა ნაკლები აღმოჩნდა.

ამერიკის ტელეკომპანია MSNBC-ის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ 420 მილიარდი თავისთავად უკვე წარმოადგენს რეკორდულ მაჩვენებელს ამერიკისთვის, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას ნეგატიური ეფექტის ასაცილებლად შეუძლია პუბლიკის ყურადღება იმ ფაქტზე გადაიტანოს, რომ დეფიციტი იმაზე ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ.

დემოკრატები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტმა ბიუჯეტის მოსალოდნელი დეფიციტი განგებ გაზარდა, რათა მიღებული რეალური დეფიციტის მოცულობა თავის მიღწევად მიეთვალა. ამასთან, ბუშის მოწინააღმდეგეები პრეზიდენტს უნიჭო ეკონომიკურ პოლიტიკაში უკვე ღიად ადანაშაულებენ.

ოფიციალური დოკუმენტი, სადაც წლევანდელი ამერიკის რეალური ბიუჯეტის დეფიციტი იქნება აღწერილი, საზოგადოებისთვის ღია მხოლოდ პარასკევს, დემოკრატიული პარტიის ბოსტონური ყრილობის შემდგომ გახდება ცნობილი. ამგვარად, ვერც ჯონ კერი და ვერც მისი მომხრეები დიდი ტრიბუნებიდან ბუშის კრიტიკას ვერ მოასწრებენ.

საგულისხმოა 2003 წელს ამერიკის ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც იმ მომენტისათვის რეკორდულად ითვლებოდა - 375 მილიარდი დოლარი იყო. თუმცა, მაშინ თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სიტუაცია არ გამოვიდოდა კონტროლიდან, რადგან ის თანხა აშშ-ს ეკონომიკის მხოლოდ ოთხ პროცენტს უდრიდა. თუ ამ მაჩვენებლით ვიმსჯელებთ, ყველაზე ცუდი პერიოდი რონალდ რეიგანის მმართველობას დაემთხვა - მაშინ დეფიციტმა ექვს პროცენტს მიაღწია.

ცოტა ხნით ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ აშშ-ს 2005 წლის პროექტის მიხედვით, ბიუჯეტმა 2,41 ტრილიონი დოლარი უნდა შეადგინოს. თუ პროგნოზებს ვენდობით, 2004 წელს ბიუჯეტის დეფიციტს, დაახლოებით, 477 მილიარდი დოლარი უნდა შეედგინა. 2005 წელს კი ამ რიცხვმა 377 მილიარდი უნდა შეადგინოს. რამდენად სანდოა ამერიკის მთავრობის მიერ გაკეთებული პროგნოზები, თავად განსაჯეთ.

ცოტა ხნის წინ ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მისი ადმინისტრაცია გადასახადებს ამცირებდა, მხარს უჭერდა ახალ ინვესტიციებს და ქვეყანა, გააგრძელებდა რა აღებულ ეკონომიკურ კურსს, მსოფლიო ლიდერობას შეინარჩუნებდა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური წელი პირველ ოქტომბერს იწყება.

თვალსაზრისი

# ძაღლის თავი აუქციონის დეტალებში იმალება

ლევან ცუცქირიძე
ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრი

ამ რამდენიმე წლის წინ ერთი სტატისტიკური ხასიათის წიგნი გამოვიდა - "გვარ-სახელები საქართველოში". წინასიტყვაობაში მისი ავტორები მიუთითებდნენ: "ნაშრომი ემყარება უნიკალურ მასალას, რომლის მოპოვება შესაძლებელი გახდა საქართველოში მასობრივი პრივატიზაციის დროს ქვეყნის მთელი მოსახლეობისთვის ვაუჩერების დარიგების პროცესში". შესაძლოა, სწორედ ამ წიგნის გამოცემა იყო ჩვენს ქვეყანაში "განხორციელებული" პრივატიზაციის (მასობრივისა კი რა მოგახსენოთ) ერთადერთი ხეირი, თუ ამას ულუკმაპუროდ დარჩენილი ადამიანების მიერ შავ ბაზარზე "ასტრონომიულ" ფასად, კუპონებში გაყიდულ ვაუჩერებს არ მივათვლით....

დღეს ყველაფერი თავიდან იწყება, "ღიად და გამჭვირვალედ", მაგრამ ბევრისთვის ბუნდოვნად. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისათვის პრივატიზაცია პოზიტიური მოვლენაა, გარკვეული სკეპტიციზმი მის დიდ ნაწილში მაინც არსებობს. არადა, კერძო საკუთრება თავისთავად არის "საზოგადოებრივი სიკეთე" და "შიში ქვეყანაში ყველაფრის გაყიდვის" შესახებ დაუსაბუთებელი და, ხშირ შემთხვევაში, პოპულისტურია. პრივატიზაცია არა მხოლოდ სასარგებლო, არამედ აუცილებელია; "სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები" თითქმის არ არსებობს და ძალიან ადვილია პრივატიზაციის გულგაცხელებულ მოწინააღმდეგეებს შეატყო, თუ რომელ მხარეს ცხვება მათი პური.

უპრიანია, პრივატიზაციის მეორე, თუმცა არავითარ შემთხვევაში - მეორეხარისხოვანი, მხარე დავინახოთ და დებატები ისეთ სიბრტყეში გადავიყვანოთ, რომელშიც ბევრად უფრო სასარგებლო იქნება მომავალი დისკუსიის წარმართვა. კერძოდ, უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პრივატიზაციის განხორციელება, არამედ ამ პროცესის მართვა. **XXI საუკუნის საზოგადოების ყურადღების ცენტრში პრივატიზაცია არა როგორც მოვლენა, არამედ როგორც პროცესი უნდა მოექცეს,** ვინაიდან ძაღლის თავი სწორედ ამ პროცესის დეტალებში იმალება. პრივატიზაციის მართვაზეა დამოკიდებული მომავალი ბაზრის სახე, ამა თუ იმ სექტორის პერსპექტივა, სახელმწიფო შემოსავლების რაოდენობა და საბოლოოდ, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება ანუ თქვენი და ჩემი მატერიალური კეთილდღეობა.

პრივატიზაცია პირველი მიზანია მაქსიმალურად დიდი მოგების მიღება ამა თუ იმ "პროდუქტის" (იქნება ეს ობიექტი, ლიცენზია თუ სახელმწიფო წილი სხვადასხვა სექტორში) გაყიდვიდან. მიუხედავად ამისა, მეორე მიზანი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია პირველზე - კონკურენტული საბაზრო გარემოს ჩამოყალიბება, სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებაში გადაცემით. **სახელმწიფო შემოსავლების ნაკლებობას კონკურენტული საბაზრო გარემო ადვილად აღმოფხვრის, მაგრამ სახელმწიფო შემოსავლები ვერასოდეს იარსებებს კონკურენტული ბაზრისა და კერძო საკუთრების გარეშე** (საერთაშორისო ფინანსების ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, გაყიდული ობიექტი საბოლოო ჯამში მაინც იპოვის თავის მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად წარმატებულად გაიყიდა იგი თავის დროზე). ამ ორი მიზნის მიღწევის მთავარი საშუალება კი აუქციონია (იგივე ტენდერი), ვინაიდან სწორედ მისი ჩატარების თავისებურებები განსაზღვრავს როგორც სახელმწიფო შემოსავლებს, ისე მომავალი ბაზრის სტრუქტურას.

მოგეხსენებათ, ზოგადად, აუქციონების ორი ტიპი არსებობს. ე.წ. "ბრიტანული" ანუ "აღმავალი" და "ჰოლანდიური," ანუ "დახურული" - იგივე ერთჯერადი აუქციონი. ბრიტანული აუქციონი გულისხმობს ფირმების მიერ საკუთარი ფსონების ღიად განცხადებას და დასრულებულად ცხადდება მაშინ, როდესაც ყველა დანარჩენი "მოქიშპე" ვაჭრობას წყვეტს. "ჰოლანდიური" ტიპის აუქციონზე განაცხადი მხოლოდ ერთხელ კეთდება და ისიც ანონიმურად - ანუ კონკურენტმა მხარეებმა არ იციან, თუ ვინ რამდენს იხდის.

პოლ კლემპერერი, ოქსფორდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი, აუქციონების თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული სპეციალისტია მსოფლიოში. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა დიდი ბრიტანეთის მესამე თაობის მობილური კავშირგაბმულობის ლიცენზიათა აუქციონი, რომელმაც საუკეთესო შედეგი აჩვენა მთელი ევროპის მასშტაბით და დიდ ბრიტანეთს მოუტანა როგორც კონკურენტული ბაზარი, აგრეთვე, მაღალი საბიუჯეტო შემოსავლები. აუქციონების მომზადებისა და განხორციელების დროს კლემპერერი ორ მთავარ საკითხს გამოყოფს: ეს არის მოქიშპე კომპანიებს შორის **"კონსპირაციის"** დაუშვებლობა და **"მონაწილეობის მოზიდვა",** ანუ აუქციონში მონაწილე კომპანიათა რაოდენობის გაზრდა კონკურენციის გასაძლიერებლად და მაღალი შემოსავლის მისაღებად. (პოლ კლემპერერი: **"როგორ (არ) უნდა ვაწარმოოთ აუქციონები: ევროპის მესამე თაობის ტელეკომის აუქციონები."** ევროპის ეკონომიკური მიმოხილვა, 2002 წელი. გვერდი 2.)

**ერთ-ერთი მთავარი და რთული საკითხი აუქციონის დაგეგმვისას ძლიერ ფირმებს შორის ურთიერთმოლაპარაკების აკრძალვა და ამ აკრძალვის კონტროლია.** თუ "ძლიერები" მოილაპარაკებენ, ისინი მოახერხებენ ხელი შეუშალონ სხვა, შედარებით სუსტი "მოთამაშეების" მონაწილეობას აუქციონში და ამით საკუთარ ხარჯებს შეამცირებენ. ეს კი, პროპორციულად, სახელმწიფოს მიერ მიღებულ შემოსავლებს შეამცირებს. ამას კიდევ ეშველებოდა, მეორე, უფრო მნიშვნელოვანი საფრთხე რომ არ იყოს, რასაც ზედმეტად კონცენტრირებული ბაზარი ჰქვია. მაგალითად, ჰოლანდიის მთავრობამ 2000 წელს იმდენივე ლიცენზია გაყიდა მობილურ კომპანიებზე, რამდენი არსებული და უკვე მოქმედი კომპანიაც იყო ქვეყანაში. შესაბამისად, მის მიერ დაგეგმილ "ბრიტანული" ტიპის აუქციონში მონაწილეობა არ მიუღიათ ახალ კომპანიებს და, შესაბამისად, სახელმწიფომ კონცენტრირებული ბაზარი და დაბალი შემოსავლები მიიღო. კონსპირაციის საფრთხე ბევრად უფრო დიდია მაშინ, როდესაც აუქციონერი ღია, ანუ ბრიტანულ აუქციონს ატარებს. ასეთ შემთხვევაში, კონკურენტებს შეუძლიათ ნათლად დაინახონ და ისწავლონ ერთმანეთის სტრატეგია.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ასევე გასათვალისწინებელია აუქციონის დაგეგმვისას, მონაწილეთა მოზიდვაა. ამისათვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ძლიერი ფირმების მხრიდან ახალ მონაწილეთა "დაშინება" და ე. წ. "სიგნალებით" ურთიერთობა არ დაუშვას. მაგალითისათვის, ასეთი "სიგნალი" შეიძლება იყოს საჯარო განცხადება ფირმის სტრატეგიის შესახებ, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს აუქციონს ან ფინანსურად "დაშინოს" მოწინააღმდეგე ფირმა იმით, რომ მას აუქციონში გამარჯვება ზედმეტად "ძვირი დაუჯდება". მსგავსი შემთხვევები, ასევე, ხშირია აუქციონის აღმავალ, ანუ ბრიტანულ მოდელში, სადაც შედარებით ადვილია ალიანსების შეკვრა და სუსტი მოთამაშეების აუქციონის პროცესიდან ჩამოცილება.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: ე.წ. **"მტაცებლის ეფექტი"** ანუ ძლიერი კონკურენტის აგრესიული პოლიტიკა აუქციონში სხვათა წარმატების ხელშესაშლელად. ასეთი პოლიტიკა, შესაძლოა, განსაკუთრებით ეფექტიანი იყოს აუქციონებთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ფენომენთან. მას **"გამარჯვებულის წყევლის"** სახელით იცნობენ, რაც სხვადასხვა კომპანიების მიერ აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი პროდუქტის რეალური ღირებულების არაერთგვაროვან აღქმას გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ გამარჯვებულმა კომპანიამ აღმოაჩინოს: მის მიერ მოპოვებული "პრიზი" ბევრად უფრო ნაკლები სარგებლობისაა, ვიდრე გადახდილი თანხა. სწორედ ასეთ ფენომენზე "თამაშობდა" ამერიკული "ფესიფიქ თელეფოუნი". 1995 წელს მან დაიქირავა აუქციონების თეორიის საუკეთესო სპეციალისტები, რათა მათ ინდუსტრიაში მონაწილე სხვა კომპანიებისათვის "კარგად აეხსნათ", თუ რაში მდგომარეობს "გამარჯვებულის წყევლა." კომპანია, აგრეთვე, აქვეყნებდა მთელი საგაზეთო გვერდის მოცულობის განცხადებებს "გამარჯვებულის წყევლის" შესახებ. და ეს გამიზნულად კონკურენტთა ქალაქებში გამომავალ გაზეთებში იბეჭდებოდა. მისი ქმედება ამ შემთხვევაში მიმართული იყო სხვა პოტენციური კონკურენტების დაშინებისკენ, რათა მათ არ დაედოთ მაღალი ფსონები და, შესაბამისად, "ფესიფიქ თელეფოუნი" იაფად ჩაიგდებდა ხელში ლოს ანჟელესში მუშაობის ლიცენზიას. მსგავსი რამ ასევე ხშირად შეიძლება მოხდეს აღმავალი ტიპის აუქციონებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, "ბრიტანულ" აუქციონში "სიგნალის" გამოყენების რისკი გაცილებით მეტია, ვიდრე აუქციონის მეორე, ე.წ. "ჰოლანდიურ" ტიპში, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ჰოლანდიური ანუ "დახურული ტიპის აუქციონის" მთავარი პრინციპია, რომ მონაწილეებისთვის ხელმიუწვდომელი იყოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენს იხდის კონკურენტი პროდუქტში. გარდა ამისა, აუქციონის პირველი ტიპისაგან განსხვავებით, სადაც ფსონების გაზრდა მანამ შეიძლება, სანამ გამარჯვებულნი არ გამოვლინდებიან. ჰოლანდიური ტიპის აუქციონში კი თანხის დასახელება მხოლოდ ერთხელ ხდება და იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე მეტს გაიღებს პირველივე ცდაზე. ასეთ მეთოდს თავისი უპირატესობები გააჩნია:

ადვილია აუქციონზე ახალი და შედარებით სუსტი კომპანიების მოზიდვა, ვინაიდან ძლიერებს მათი "დაშინების" ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. ზუსტად ხომ არავინ იცის, ვინ რამდენს იხდის. შესაბამისად, სუსტებს გამარჯვების მეტი შანსი აქვთ.

რადგანაც "ჰოლანდიურ" აუქციონში უფრო მეტ კომპანიას შეუძლია მონაწილეობის მიღება, სექტორი, რომლის პროდუქციაც იყიდება, უფრო კონკურენტული ხდება.

ასეთი ტიპის აუქციონის სისუსტე მისსავე ძლიერებაში მდგომარეობს. ვინაიდან სუსტებს გამარჯვების შანსი უფრო მეტი აქვთ, აუქციონმა, შესაძლოა, ნაკლები შემოსავალი მოიტანოს. მიუხედავად ამისა, საწინააღმდეგო გამონაკლისებიც არსებობს. წარმოიდგინეთ, ესპანური ბანკის BSCH-ის გაოცება და შეშფოთება, როდესაც ბრაზილიის სან პაულოს ბანკის პრივატიზაციის დასრულებისას (რომელიც ჰოლანდიური მოდელით მიმდინარეობდა) აღმოჩნდა, რომ 3.6 მილიარდი დოლარით(!) უფრო მეტი ჰქონდათ გადახდილი, ვიდრე ეს აუქციონის მოსაგებად იყო საჭირო. (პოლ კლემპერერი, **"რა არის რეალურად მნიშვნელოვანი აუქციონების დიზაინში."** ევროპის ეკონომიკური პერსპექტივების ჟურნალი, 2002. გვ. 8)

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია აუქციონის დროს, არის "სარეზერვო ფასი" (ანუ ის მინიმალური ფასი, რასაც სახელმწიფო "ადებს" პროდუქტს) და აუქციონზე პოლიტიკური საკითხების ზეგავლენა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი [illegible], რაც აუქციონების წარმატებისათვის აუცილებელია, კანონების და წესების მდგრადობაა. 2000 წელს ჰოლანდიის მთავრობამ, აუქციონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, კომპანიების ერთობლივი განაცხადების ნება დართო. ამით, პრაქტიკულად, ძლიერთა ალიანსი წახალისდა და შედეგად აუქციონის მონაწილეთა რაოდენობა ცხრიდან ოთხამდე შემცირდა(!). ამასთან, [illegible] მთავრობამ აღმოაჩინა, რომ მისი სარეზერვო ფასი მესამე თაობის სატელეკომუნიკაციო ლიცენზიაზე ძალზე დაბალი იყო და ამიტომ წინასწარ გამოცხადებული წესების შეცვლა სცადა. ეს იყო მიზეზი აუქციონის მონაწილეთა ერთობლივი პროტესტისა, რამაც მთავრობა აიძულა, არსებულ დაბალ ფასში გაეყიდა პროდუქცია.

არსებული სიტუაციის მართებული შეფასება და აუქციონის ტიპის სწორი შერჩევა იმ პრობლემების აგვარიდებს, რომლებზეც ვისაუბრეთ. კლემპერერის აზრით, ერთ-ერთი ყველაზე გამართლებული სტრატეგია ბრიტანული და ჰოლანდიური აუქციონების სინთეზია (პოლ კლემპერერი, **"რა არის რეალურად მნიშვნელოვანი აუქციონების დიზაინში."** ევროპის ეკონომიკური პერსპექტივების ჟურნალი, 2002. გვ. 15). პირველ ეტაპზე აუქციონი ბრიტანული სტრუქტურით მიმდინარეობს მანამ, სანამ გასაყიდ პროდუქტთა რაოდენობაზე ერთით მეტი მონაწილე არ დარჩება. ამის შემდეგ აუქციონი დახურულად გრძელდება. ასეთი მიდგომით იზღუდება ძლიერებს შორის მოლაპარაკება, რაც შედარებით სუსტ მონაწილეებს იზიდავს.

არც ერთი ტიპის აუქციონი იდეალური არ არის, რადგანაც ყველაფერი არსებულ კონტექსტზეა დამოკიდებული. მაგალითად, ბრიტანეთის მესამე თაობის მობილური ტელეკომუნიკაციების აუქციონმა, რომელიც აღმავალი წესით მოეწყო, შედეგად კონკურენტუნარიანი გარემო და მაღალი შემოსავლები (39 მილიარდი ევრო) მოიტანა. სამაგიეროდ, ჰოლანდიაში, სადაც ბრიტანეთის მაგალითს მიბაძეს, იგივე მეთოდით ჩატარებულმა აუქციონმა მის ორგანიზატორებს 3 მილიარდ ევროზე ნაკლები შემოსავალი მოუტანა. როგორც წესი, ყველაზე წარმატებული აუქციონია ამა თუ იმ სექტორში და ამა თუ იმ სახით პირველად გამართული აუქციონი: შემდეგი აუქციონებისათვის კომპანიებს უკვე კარგად აქვთ ათვისებული წინა აუქციონის წესები და, შესაბამისად, მანიპულირების ხერხებიც.

აუქციონის ერთი და იგივე "ყალიბი," როგორც კლემპერერი ამბობს, ყველა სექტორს არ ერგება. იმის განცხადება, რომ აუქციონი იქნება "ღია", ეკონომიკური თვალსაზრისით, რისკის მომასწავებელი უფროა, ვიდრე წარმატებისა. პრივატიზაციის წინ აუცილებელია, რომ აუქციონთა მომავალმა მენეჯერებმა კიდევ ერთხელ გადაავლონ თვალი არსებულ ვითარებას, სწორად განსაზღვრონ სარეზერვო ფასები და, რაც ყველაზე მთავარია, აუქციონების შესაბამისი დიზაინი შექმნან. საზოგადოებამ და, განსაკუთრებით, ეკონომისტებმა აქცენტი არა "სასიცოცხლო" და "არასასიცოცხლო" ობიექტების დათვლაზე, არამედ პრივატიზაციის მართებულ მენეჯმენტზე უნდა გააკეთონ, რათა თავიდან ავიცილოთ არაეფექტიანი შედეგები, რომელთა გამოსწორება ახლა უკვე ნამდვილად რთული და პოლიტიკურად რისკიანი იქნება.


## ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

**ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამების წამყვანები**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- საინფორმაციო პროგრამის წაყვანა;
- წამყვანის ტექსტის და დიალოგების მომზადება.

**მოთხოვნები**
- ასაკი 25-დან 40 წლამდე;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული, რუსული, ინგლისური ენების კარგი ცოდნა;
- გამართული სწორი მეტყველება;
- უმაღლესი განათლება (სასურველია ერთზე მეტი სპეციალობა);
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

**რადიოს მუსიკალურ-გასართობი და მხატვრულ-კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებების პროდიუსერები (2 ვაკანსია)**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- შესატყვისი მიმართულების კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;
- მიმართულების შესატყვისი პროექტების შერჩევა;
- პროექტების განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი და მენეჯმენტი

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში
- სასურველია დამატებითი განათლება მენეჯმენტში
- სასურველია უცხო ენის ცოდნა
- სასურველია რადიოში მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

მსურველებმა უნდა შეავსონ ანკეტები ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მოქალაქეთა მისაღებში 22 ივლისიდან 6 აგვისტომდე. წამყვანის ვაკანსიის პრეტენდენტებმა დამატებით უნდა მოიტანონ 3 ფოტო (9X13) - პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში, დასაშვებია მხატვრული ფოტოებიც.

**მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**

# კოალიციის ჯარები - ერაყის უახლესი ისტორიის განუყოფელი ნაწილი

ლაშა გიორგაძე

ერაყში ხელისუფლების ადგილობრივი მთავრობისათვის გადაცემის შემდეგ, ქვეყნის მშენებლობა, ფაქტობრივად, თავიდან დაიწყო. მიუხედავად ქვეყანაში კოალიციის ჯარების საკმაოდ დიდი წარმომადგენლობისა, ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა და აფეთქებების თავიდან აცილება, ჯერჯერობით, ისევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ამ ეტაპზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ქვეყნის ხელმძღვანელობაზე და იმაზეც, თუ რამდენად მოიპოვებს იგი ხალხის ნდობას. ამისათვის კი ერაყის პრემიერ-მინისტრს აიად ალავის და პრეზიდენტ ღაზი იავარს არც ისე დიდი დრო აქვთ.

თავდაპირველად, აიად ალავის მიმართ საზოგადოებაში გარკვეული კრიტიკაც გამოითქვა. შიიტი მუსლიმი და სადამ ჰუსეინის ბაასის პარტიის ყოფილი წევრი 1970-იანი წლებში წავიდა ქვეყნიდან და თავი ბრიტანეთს შეაფარა. იქვე ჩამოაყალიბა "ერაყის ეროვნული თანხმობის" პარტია, სადაც ყველა ის ადამიანი გაერთიანდა, რომლებიც ჰუსეინის რეჟიმის უკმაყოფილო იყო და თავს დასავლეთის ქვეყნებს აფარებდა. ამ პერიოდში აიად ალავის საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდა როგორც აშშ-ს, ისე დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებთან, რასაც არც თავად პრემიერ-მინისტრი უარყოფს. ამის საფუძველზე ერაყში ფიქრობენ, რომ ეს კავშირები ისევ არსებობს. მმართველობის პირველ ხანებში კი მან საზოგადოებას უნდა დაუმტკიცოს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამოუკიუდებელი ხელმძღვანელია და არა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მარიონეტი.

ერაყის ხელისუფლების უპირველესი მიზანი კი უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისაგან ქვეყნის გაწმენდაა, რომელთა მოწყობილ ტერაქტებსაც ერაყში ასობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება. მართალია, დღეს ისეთი სიმწვავით აღარ დგას შიიტი სულიერი ლიდერის მოქთად ალ-სადრისა და მისი არმიის არსებობის საკითხი, თუმცა ასპარეზზე სხვა რადიკალურად განწყობილი ძალები გამოჩნდნენ. ბაღდადის რამდენიმე რაიონში აქტიურად მოქმედებს შეიარაღებული ჯგუფი, რომლის უკანაც "ერაყის ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭო" დგას და ირანის ისლამური რესპუბლიკიდან ფინანსდება. მას შემდეგ, რაც აშშ-ს ჯარებმა სისხლიანი შეტაკებების შედეგად დატოვეს ქალაქ ფალუჯასა და ბაქუბას ტერიტორია, ახლა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სუნიტი მუსლიმების მიერ კონტროლდება. კიდევ უფრო რთული სიტუაციაა ქვეყნის ჩრდილოეთით, სადაც ქურთი ლიდერები უარს აცხადებენ, დაშალონ თავიანთი შეიარაღებული ძალები. ისინი ასევე პროტესტს გამოთქვამენ და ცდილობენ, ზეწოლა მოახდინონ აიად ალავიზეც, რომელმაც განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული ყველა სამხედრო შენაერთი "ერაყის რეფორმირებულ თავდაცვის ძალებში" უნდა შევიდეს, ან ჯარისკაცები სამოქალაქო ცხოვრებას უნდა დაუბრუნდნენ. ამ საკითხებს ემატება უკონტროლო საზღვრები, რაც შეიარაღებულ პირებსა და დაჯგუფებებს საშუალებას აძლევს, უპრობლემოდ გადმოვიდნენ ერაყის ტერიტორიაზე.



REUTERS

კოალიციის ჯარები, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს არ დატოვებენ ერაყს.

ამ პრობლემის გადასაჭრელად ბატონი ალავისათვის კოალიციის ჯარების ქვეყანაში ყოფნა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. რასაკვირველია, ერაყის რეკონსტრუქციისათვის მთავარი ფაქტორი ადგილობრივი შეიარაღებული ძალებისა და სრულყოფილი შეიარაღების არსებობაა, მაგრამ ეს საკითხი მომავლის პერსპექტივა უფროა. კოალიციის ძალების გარეშე, ქვეყანაში არსებულ 8000 ერაყელ ჯარისკაცსა და 40 ათასკაციან ცუდადგაწვრთნილ ეროვნულ გვარდიას ქვეყანაში რეალური კონტროლის დამყარება ნამდვილად გაუჭირდება. 2004 წლის ერაყის ბიუჯეტში თავდაცვაზე 1,5 მილიარდი დოლარია გამოყოფილი, საიდანაც 300 მილიონს აშშ დაფარავს.

აშშ-მ მართლაც ძირითადი როლი შეასრულა ერაყის საომარ ოპერაციებში და ქვეყნის აღსადგენად დაფინანსებასაც არ ზოგავს. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მნიშვნელოვანი საერთაშორისო გადაწყვეტილებები გაერო-ში მიიღება. ერაყის ომს უშიშროების საბჭოში მოწინააღმდეგე თავიდანვე გამოუჩნდა, რუსეთისა და საფრანგეთის სახით. დაპირისპირებამ თავი იჩინა ისეთი საკითხის განხილვის დროსაც, როგორიც იყო კოალიციის ჯარების მანდატი. მნიშვნელოვანი იყო, თუ ვის დაქვემდებარებაში გადავიდოდა მრავალეროვნული ჯარების მართვა. აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ უშიშროების საბჭოზე წარდგენილმა რეზოლუციამ არაერთი ცვლილება განიცადა. მასზე ზემოქმედება მოახდინა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის განცხადებამაც, რომ აშშ-ს ჯარები მხოლოდ საკუთარი მთავრობის ბრძანებებს ასრულებენ. საბოლოო ჯამში, დაფიქსირდა, რომ კოალიციის ძალების ხელმძღვანელობა ერაყის მთავრობასთან მჭიდროდ ითანამშრომლებს, "განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი თავდაცვითი ოპერაციების დროს". ამით კი თავიდან იქნება აცილებული ისეთი შეტაკებები, რომელთაც ფალუჯაში, ნეჯეფსა და ქერბელაში ჰქონდათ ადგილი აპრილის თვეში.

რაც დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება, რომ კოალიციის მეტი ძალებია საჭირო. ამის გაკეთება ჯორჯ ბუშს აღარ შეუძლია, მის ისედაც შერყეულ ავტორიტეტს კიდევ უფრო დაბლა დასწევს დამატებითი ჯარების გაგზავნის მოთხოვნა და ეს მაშინ, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნები მოახლოებულია. დღეისათვის, ერაყის მრავალეროვანი ძალების შემადგენლობაში 30 სახელმწიფოზე მეტია ჩართული. აშშ-ს, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი კონტინგენტი ჰყავს შეყვანილი ქვეყანაში 118 ათასი მეომრის სახით.

თავისი კონტინგენტის გაზრდის რეალური შესაძლებლობა აქვს დიდ ბრიტანეთს, რომელიც თავისი 8300-კაციანი შენაერთით აშშ-ს შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობით გამოირჩევა. როგორც ბრიტანეთის ოფიციალური პირები იუწყებიან, ბრიტანული ჯარების რაოდენობა ერაყში მალე გაორმაგდება. დღეისათვის ბრიტანელი ჯარისკაცები ქალაქ ბასრასთან არიან განლაგებულნი და ერაყის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებს აკონტროლებენ. რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში კი, მათი გავლენის ქვეშ არსებული ტერიტორიაც გაიზრდება და სამხრეთ ნაწილთან ერთად, ისინი ერაყის ცენტრალურ რაიონებსაც გააკონტროლებენ, მათ შორის, შიიტურ წმინდა ქალაქებს - ქერბელას, ნეჯეფსა და კუფას. ბრიტანელებს, ასევე, დიდი სურვილი აქვთ იმისა, რომ ერაყში მოძრავი რაზმები ჩაიყვანონ, რომლებიც მოკავშირეთა სწრაფი რეაგირების სამხედრო შენაერთის სახელითაა ცნობილი და ამჯერად გერმანიის ტერიტორიაზე, ნატო-ს ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება.

ესპანეთმა ჯერ კიდევ აპრილში გაიყვანა 1500 ჯარისკაცი, ასევე დატოვეს ერაყი ფილიპინების სამხედრო ნაწილებმაც. ერაყიდან ჯარების გაწვევას სხვა ქვეყნებიც აპირებენ, მაგალითად, ნორვეგია, ყაზახეთი, ჰონდურასი და დომინიკელთა რესპუბლიკა. მიუხედავად ამისა, კოალიციაში რჩებიან ქვეყნები, რომლებიც მოკავშირეთა მიმართ ნამდვილ ერთგულებას იჩენენ.

კოალიციის ჯარებში საკმაოდ წარმომადგენლობითი კონტინგენტი ჰყავს პოლონეთს, 2350 ჯარისკაცის შემადგენლობით. იგი ამ რაოდენობით მეოთხე ადგილზეა კოალიციაში და, ძირითადად, ერაყის ტერიტორიის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებს აკონტროლებს. იმ პირობებში, როდესაც აშშ ვერაფრით მოახერხებს ჯარების რაოდენობის გაზრდას ერაყში, პოლონეთი მზადაა, თავისი საჯარისო შენაერთები გაზარდოს. ამავე აზრისანი არიან უკრაინა, რომელსაც თავისი 1700 მეომარი ჰყავს გაგზავნილი ერაყში, და სამხრეთ კორეა. სეულმა ერაყში 465 ჯარისკაცი გაგზავნა, თუმცა კორეელებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ კოალიციის ჯარების დასახმარებლად დამატებით 3000 სამხედრო მოსამსახურეს გაგზავნიან. მათი გამგზავრების ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა ცნობილია ის, რომ სამხრეთ კორეის ძალები ერაყის ჩრდილოეთ ქალაქ მოსულში განლაგდებიან.

სხვა სახელმწიფოები, რომლებიც ათ ყველაზე წარმომადგენლობით კოალიციურ ქვეყანას წარმოადგენენ, ერაყში დამატებითი ჯარების შეყვანას არ აპირებენ. იტალიას და ჰოლანდიას, შესაბამისად, 2700 და 1400 ჯარისკაცი ჰყავს გაგზავნილი, რომლებიც ერაყის სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორში ბრიტანელების ხელმძღვანელობით მოქმედებენ. ავსტრალიას, რუმინეთსა და იაპონიას 250-დან 700 ჯარისკაცამდე ჰყავთ, რომლებიც ასევე ამერიკელთა და ბრიტანელთა ხელმძღვანელობით მოქმედებენ. ყველაზე მცირერიცხოვანი წარმომადგენლობა კოალიციაში მოლდოვას აქვს. მან ტერორიზმის წინააღმდეგ ომში თავისი მონაწილეობა 24 ჯარისკაცის გაგზავნით დააფიქსირა. ყველა ცვლილების მიუხედავად, აშშ, ალბათ, დაიტოვებს გავლენის სფეროებად ერაყის უმნიშვნელოვანეს სამ სექტორს - ჩრდილოეთს, ჩრდილო-აღმოსავლეთს და დასავლეთს, მისთვის ასევე მნიშვნელოვანია დედაქალაქ ბაღდადის გაკონტროლება.

კოალიციის ჯარების მანდატი ერაყში 2006 წელს ამოიწურება. ამ დროისათვის ქვეყანას უკვე ეყოლება ახალი, ხალხის მიერ არჩეული მთავრობა და პარლამენტი, მიღებული ექნება ახალი კონსტიტუცია და, იმედია, ეყოლება ეროვნული არმიაც. თუმცა, ქვეყნის მთავრობას უფლება აქვს, დროზე ადრე მოსთხოვოს უცხო ქვეყნის ჯარებს ტერიტორიის დატოვება, რაც დღეისთვის წარმოუდგენელია. ამასთანავე, შეუძლია მანდატის ვადის გასვლის შემდეგაც სთხოვოს მათ ქვეყანაში დარჩენა და უსაფრთხოების დაცვა.

# რუსული საზოგადოება მედიის ცენზურის მომხრეა

## მედიისა და საზოგადოების პოზიციები კი მკვეთრად განსხვავდება

*უკანასკნელ პერიოდში რუსეთში სიტყვის თავისუფლების ნაკლებობაზე არაერთხელ დაიწერა და ითქვა. განსხვავებული აზრის გამოთქმის მწირ საშუალებებზე ევროსაბჭოსა და ეუთო-ს დამკვირვებელთა ჯგუფებიც აღნიშნავდნენ. თუმცა, შესაძლოა, ეს მზარდი განხეთქილების შედეგიც იყოს საზოგადოებასა და მის იმ ნაწილს შორის, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ფუნქცია აკისრია. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მიუთითებს გუშინ გაზეთ "იზვესტია"-ს ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები.*

რუსეთის მოქალაქეთა თითქმის ორი მესამედი (70 პროცენტი) და ჟურნალისტთა კორპუსის 40 პროცენტზე მეტი საინფორმაციო საშუალებებზე ცენზურის შემოღების იდეას ეთანხმება. ასეთი განცხადება გააკეთა კვლევითი ჰოლდინგის "რომირ მონიტორინგ"-ის გენერალურმა დირექტორმა ანდრეი მილეხინმა.

აღნიშნული განცხადება ივნისში, სოჭში საინფორმაციო საშუალებების ფესტივალის "სრულიად რუსეთი - 2004" ფარგლებში სოციოლოგთა მიერ ჩატარებული კვლევის ერთადერთი ხმაურიანი დასკვნა არ ყოფილა.

ჟურნალისტთა კავშირში საზოგადოებრივი კვლევის შედეგებმა, რბილად რომ ვთქვათ, სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. როგორც ირკვევა, ძირეულ საკითხებზე რუსეთის საზოგადოების უმეტესობისა და ამავე საზოგადოების იმ ნაწილის პოზიცია, რომელიც დანარჩენი საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე მუშაობს, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება. მაგალითად, ყოველი მეხუთე რუსი დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებაა, ხოლო ჟურნალისტთა შორის ამგვარ მოსაზრებას მხოლოდ გამოკითხულთა 4 პროცენტი ემხრობა. განსხვავებაა სხვა საკითხებშიც - რუსეთის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ხასიათისა მოსახლეობის მესამედზე მეტს სჯერა და ჟურნალისტთა მხოლოდ 6 პროცენტი აღიქვამს ანალოგიურად. უკანასკნელნი, დღეს რუსეთში არსებულ წყობას უფრო ხშირად "ოლიგარქიად", "ანარქიად" ან სულაც, "დიქტატურად" მოიხსენიებენ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში რუსეთის ყველა რეგიონის წარმომადგენელი 255 ჟურნალისტი იღებდა მონაწილეობას.

გამოკვლევის ავტორები ეჭვს გამოთქვამენ, რომ, შესაძლოა, ცენზურის დადებით როლზე საუბრისას ხალხს მხედველობაში სულაც არ ჰქონდა განსხვავებული აზრის აკრძალვა და მხოლოდ ეკრანზე ძალადობისა და გარყვნილების სცენების შეზღუდვას გულისხმობდა. ამავდროულად, სოციოლოგთა აზრით, საზოგადოებასა და მედიას შორის განხეთქილების საფრთხე აშკარად სახეზეა, ანუ რუსულ საზოგადოებაში თავისუფალი პრესის მიმართ უკმაყოფილება იზრდება.

ამის დასტურად კი სოციოლოგებს ფუნდამენტურ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყავთ. მაგალითად, ჟურნალისტთა 55 პროცენტისთვის პიროვნების თავისუფლება და ადამიანის უფლებათა დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოს გაძლიერება და ქვეყანაში წესრიგის განმტკიცება. თუმცა, რუსულ საზოგადოებაში სრულიად საპირისპირო აზრია პოპულარული - ძლიერ სახელმწიფოს, თავისი თანმდევი ძლიერი სამართალდამცავი ორგანოებით, პირველ ადგილზე გამოკითხულთა 63 პროცენტი აყენებს.

ასევე, კოლოსალურია განსხვავება ქვეყნის მომავალი განვითარების გზებთან დაკავშირებით. დემოკრატიული სახელმწიფოს ცამეტწლიანი მშენებლობის შემდეგ რუსეთის მოსახლეობის მეხუთედი უარს არ იტყოდა უკან, სოციალიზმში დაბრუნებაზე (ასეთ განწყობას ჟურნალისტთა მხოლოდ 4 პროცენტი ამჟღავნებს). დღევანდელი რეფორმების კურსის გაგრძელების მომხრეა რუსების მესამედი და მედიის წარმომადგენელთა მხოლოდ მეათედი.

მხოლოდ სამი საკითხია, რაშიც საზოგადოება და საზოგადოების ინფორმირებაზე მზრუნავი ნაწილი თანხმდებიან. პირველი, რუსეთის ყველაზე დიდი უბედურება სიღარიბეა. მეორე, რეალური ძალაუფლება მსხვილი კაპიტალის ხელშია (სახელმწიფოს მმართველის თვითმპყრობელობაში მოსახლეობის 18 პროცენტი და ჟურნალისტთა 15 პროცენტია დარწმუნებული). მესამე, ერთნიც და მეორენიც დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთს განვითარების განსაკუთრებული, სხვებისაგან განსხვავებული ისტორიული გზა აქვს, თუმცა, ამასთანავე უეჭველად სჯერათ, რომ რუსეთი ოდესმე მაინც მსოფლიოს ერთ-ერთი აყვავებული ქვეყანა გახდება.

ერთია მხოლოდ, და ეს კვლევის ავტორებმაც აღნიშნეს: უკანასკნელ წლებში, რომელთაც რუსეთში ჩეჩნეთში ომის მიუხედავად, რატომღაც მაინც სტაბილურს უწოდებენ, შეინიშნებოდა სოციალური ოპტიმიზმის განუხრელი ზრდა, რომელიც განვითარებული მეგაპოლისებიდან მთელ ქვეყანაში ვრცელდებოდა. მაგრამ თუ დღეს, როდესაც ამ ოპტიმიზმმა პიკს მიაღწია, ხალხის მოლოდინი არ იქნა რაიმე უფრო კონკრეტულით (მაგალითად, ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლებით) გამყარებული, მოსახლეობის იმედიან სულისკვეთებას დიდხანს არსებობა არ უწერია. სხვათა შორის, ამგვარი რამ 90-იანი წლების დასაწყისში უკვე მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

# მობილური ტელეფონი - თანამედროვე მეხამრიდი?

სპეციალისტების განცხადებით, ჭექა-ქუხილის დროს მობილური ტელეფონები ჯობს სახლში დატოვოთ, თორემ შესაძლოა ჩინეთის დიდი კედლის დამთვალიერებელი ტურისტების ბედი გაიზიაროთ. უდიდესი ქმნილებით მოხიბლულმა ერთ-ერთმა მათგანმა შთაბეჭდილებების გაზიარება მობილური ტელეფონის საშუალებით გადაწყვიტა. ავდარში მობილურმა ტელეფონმა მეხამრიდის როლი შეასრულა და ატმოსფერული ელექტრობის განმუხტვამ თავგადასავლების მაძიებლის თანამგზავრები გააოგნა. საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა, თუმცა, ტურისტებმა სხვადასხვა სახის დამწვრობები მიიღეს და შვებულების დარჩენილი დღეები საავადმყოფოში გაატარეს.

ჩინური ბეჭდვითი მედიის თანახმად, თანამედროვეობის ტექნოლოგიური მიღწევის საშუალებით, ჭექა-ქუხილის დროს, სიცოცხლის ტრაგიკულად დასრულების ფაქტსაც ჰქონდა უკვე ადგილი. სპეციალისტების განცხადებით, მობილური ტელეფონების მიერ გავრცელებულმა ელექტრომაგნიტურმა ტალღებმა შესაძლოა ატმოსფერული განმუხტვა მიიზიდოს. ასეთ დროს, ნომრის აკრეფა აუცილებელი არ არის, ჩართული მობილურის ჯიბეში ქონაც საკმარისია.

## ორი სიტყვით

**ჩინეთი.** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო ადმინისტრაციის სამინისტროს თანახმად, წყალდიდობის შედეგად დაღუპულია 439 ადამიანი. ეკონომიკურმა ზარალმა 2.65 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, დანგრეულია 275 საცხოვრებელი სახლი, უსახლკაროდაა დარჩენილი 78 მილიონი ადამიანი. წყალდიდობის მიზეზი ივნისის თვის ბოლოს დაწყებული განუწყვეტელი კოკისპირული წვიმაა, რომელიც დღემდე გრძელდება. ხუბეისა და იუნანის პროვინციების ზარალი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში უდიდესია. სტიქიური უბედურების ზონიდან, ჯერჯერობით, ევაკუირებულია მხოლოდ 1.3 მილიონი მოსახლე. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**მოლდოვა.** მოლდოვის პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი დნესტრისპირეთის ხელისუფლებას ეკონომიკური სანქციებით დაემუქრა, თუ ისინი მოლდოვური სკოლების დახურვის გადაწყვეტილებას არ შეცვლიან. სანქციების ამოქმედება 1 აგვისტოსთვის იგეგმება. მოლდოვის პარლამენტის საზაფხულო სესიის შემაჯამებელ სხდომაზე გამოსვლისას, ვორონინმა ტირასპოლისაგან უსაფრთხოების ზონაში ვითარების სასწრაფო ნორმალიზაცია მოითხოვა, კერძოდ, სკოლების ნორმალურად ფუნქციონირების, რეგიონში მოქალაქეების გადაადგილებისა და ტვირთის თავისუფალი გადაზიდვის ხელშეწყობა. "თუ ეს მოთხოვნები არ შესრულდება, 1 აგვისტოდან მკაცრ ეკონომიკურ სანქციებს ელოდეთ," - განაცხადა მან. დნესტრისპირეთში მოლდოვური სკოლების დახურვა პრეზიდენტმა დემოკრატიული ნორმების დამრღვევ პროვოკაციად შეაფასა. **იტარ-ტასი**


მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების
კავკასიის ინსტიტუტი
საქართველოს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის ასოციაცია
ქვემო ქართლის რეგიონალური ასოციაცია "ხიდები"

**"ცეცხლსასროლი იარაღი და მსუბუქი შეიარაღების ბრუნვა და მისი ზეგავლენა ქვემო ქართლის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე"** პროექტის ფარგლებში **გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების** ფინანსური მხარდაჭერით სათანამშრომლოდ იწვევს საქართველოში მოქმედი მედია საშუალებების წარმომადგენლებს.

ეს პროგრამა გათვალისწინებულია იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც აქტიურად არიან დაინტერესებულნი საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქვემო ქართლში ცეცხლსასროლი იარაღისა და მსუბუქი შეიარაღების არალეგალური ბრუნვის შემცირებითა და პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირებით.

პროგრამა გულისხმობს შემდეგი სახის მხარდაჭერას:

ტექნიკური საშუალებების შეძენა;

- ტრანსპორტირება და სამივლინებო ხარჯების დაფარვას.

დაფინანსების მისაღებად ჟურნალისტი წარმოადგენს რედაქციის თანხმობას მასალის მომზადების შემდეგ მისი გამოქვეყნების შესახებ.

პროგრამაში მონაწილე ჟურნალისტები შეირჩევიან კონკურსის წესით. მსურველებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ ა.წ. 6 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის 46, საქართველოს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის ასოციაცია

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

ტელ: 919318, 899561154 E-mail: lvepkhvadze@imedi.ge


# ბოსტონში შეკრებილი დემოკრატები ხმას "მოსაწყენ" კერის მისცემენ

ლევან გელაშვილი

ზოგი მას უნიჭოს და მოსაწყენს უწოდებს, ზოგიც მოაზროვნედ და ინტელიგენტად მოიხსენიებს. თუმცა, დემოკრატები კერის შესახებ ერთ საერთო აზრს მაინც იზიარებენ: "საბედნიეროდ, ის ჯორჯ ბუში არ არის".



გამარჯვებისათვის ჯონ კერის დემოკრატ ამომრჩეველთა გულის მოგება მოუწევს

ბოსტონში დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე შეკრებილმა რამდენიმე დელეგატმა ჯონ კერის დაცვა გადაწყვიტა, როცა მას უნიჭობასა და უგერგილობაში დასდეს ბრალი. თუმცა, ზოგიერთმა დელეგატმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად ისინი სხვა რომელიმე დემოკრატს მოიაზრებდნენ.

გუშინ, ოცზე მეტმა დელეგატმა, მასმედიასთან ინტერვიუში, მასაჩუსეტსის სენატორის შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვა. მათი თქმით, ისინი ხმას ჯონ კერის მისცემენ, თუმცა იქვე აღნიშნეს, რომ იგი იდეალური კანდიდატი სულაც არ არის. "ის ბილ კლინტონი არ გახლავთ და მას საამისოდ ბევრი მუშაობა სჭირდება," - განაცხადა ერთ-ერთმა ბოსტონელმა დელეგატმა, ჯონ სალივანმა და დაამატა, რომ უპირატესობას ყოფილ პრეზიდენტს ან ვერმონტის ყოფილ გუბერნატორს ჰოვარდ დინს ანიჭებდა.

სხვა დემოკრატმა ამომრჩევლებმა განაცხადეს, რომ სიამოვნებით აირჩევდნენ ნიუ იორკის სენატორს ჰილარი როდამ კლინტონს, ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს ალ გორს, ჯონ ედვარდსს ან ჰოვარდ დინს. არც ერთს არ უთქვამს, რომ კერის მათ არჩევანში პირველი ადგილი უჭირავს.

კერის თავის ამომრჩევლებთან უფრო მეტად დაახლოების უდიდესი შანსი აქვს, როდესაც ხუთშაბათს იგი, ტელევიზიის მეშვეობით, მთელი ერის წინაშე საპროგრამო სიტყვას წარმოთქვამს. რაც შეეხება გამოკითხვებს, რომლის მიხედვითაც კერი და ბუში ფეხდაფეხ მიჰყვებიან ერთმანეთს, დემოკრატი ამომრჩევლები მიიჩნევენ, რომ საბოლოო ჯამში, იგი მაინც მოახერხებს მოქმედი პრეზიდენტის დამარცხებას.

ვირჯინიელმა დელეგატმა, ჯონ გრეგორიმ აღნიშნა, რომ ის თავის არჩევანს სიამოვნებით შეაჩერებდა კლინტონზე, რომელსაც, მისთვის სამწუხაროდ, ორვადიანი მმართველობის შემდეგ თავისი კანდიდატურის დაყენება აღარ შეუძლია. თუმცა, იმავდროულად, მან მასმედიას დასდო ბრალი იმაში, რომ მათი წყალობით, კერის საკმაოდ უცნობი პოლიტიკოსის იმიჯი შეექმნა. "იგი თავის სათქმელს საკმაოდ კარგად გამოხატავს და ვერ გამიგია, რატომ აცხადებს პრესა, რომ მას არავინ იცნობს," - განაცხადა გრეგორიმ.

კერი საკმაოდ დიდ იმედებს ამყარებს ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატზე ჯონ ედვარდსზე. სამხრეთელმა პოლიტიკოსმა ედვარდსმა წინასწარ არჩევნებში მრავალი დემოკრატის გული მოიგო თავისი პოპულისტური და პათეტიკური საუბრის სტილით.

ერთ-ერთმა ბოსტონელმა ამომრჩეველმა, ქეით ვილითსმა ყრილობაზე წარმოდგენილ დელეგატთა მოსაზრებების ერთგვარი შეჯამება გააკეთა და აღნიშნა, რომ კერი მოუქნელი და არაქარიზმატული ლიდერია. თუმცა, განაცხადა, რომ მას მისცემს ხმას, რადგან ის ბუში არ არის, რომელმაც ამერიკულ ეკონომიკას უდიდესი ზარალი მიაყენა და საზღვარგარეთ თავისი მოკავშირეები დაკარგა. "მე, რომელიმე კარგ რესტორანში ჭურჭლის სარეცხს უფრო მეტი ენთუზიაზმით მივცემდი ხმას, ვიდრე ჯორჯ ბუშს," - დაასკვნა ვილითსმა.

# "წყალკანალი" ჯართიპარიების წინააღმდეგ

*23 ივლისს თბილისში მოსულმა ათსაათიანმა წვიმამ დედაქალაქის კანალიზაციის სისტემაში ოთხმოცამდე ავარია გამოიწვია. ავარიების ძირითად მიზეზი გახდა მოპარული თუჯის ხუფების გარეშე დარჩენილ წყალსადენისა და კანალიზაციის ჭებში ქვა-ღორღისა და სხვა მასალების გაჭედვა.*

ნანა ყაველაშვილი

ბოლო წლების განმავლობაში ქალაქის სხვადასხვა ნაწილში "მეჯართეებმა" ხუფებს იმაზე სწრაფად იპარავდნენ, ვიდრე "თბილწყალკანალი", მოპარულთა სანაცვლოდ, ახლის შეძენას და თავახდილ ჭებზე მათ დაფარებას ასწრებდა. როგორც ჩანს, 70-100- კილოგრამიანი თუჯის მასიური ხუფები ჯართზე მონადირეთათვის იმდენად სასურველი ნადავლია, ყოფილა შემთხვევა, ერთ ქუჩაზე ერთბაშად 20-25 ხუფი "დაკარგულა". ისიც მომხდარა, რომ "წყალკანალს" ხუფები ჯართის ჩამბარებელი პუნქტიდან გამოუხსნია. თავღია დარჩენილი ჭები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ავტომანქანებსა და ფეხით მოსიარულეებს დღისითაც და ღამითაც და ავარიების საშიშროებას აჩენს, ზიანდება წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემა. ახლახან "თბილწყალკანალმა" ჭების დაცვისა და ჯართიპარიებთან ბრძოლის ეფექტურ ღონისძიებას მიმართა.

ჯართზე მონადირეებთან რამდენიმეწლიანი უშედეგო ბრძოლის შემდეგ "თბილწყალკანალმა" გადაწყვიტა, თუჯის ხუფები ისეთი მასალისაგან დაემზადებინა, რომელიც ჯართიპარიებისათვის ნაკლებ საინტერესო იქნებოდა. ამასთან, სატრანსპორტო მაგისტრალებისათვის განსაზღვრული ახალი ხუფები შემადგენლობით, ხახუნისა და მოჭიდების ძალით ასფალტისა და თუჯის შესაბამისი უნდა ყოფილიყო და 20-25-ტონიანი დატვირთვისთვის უნდა გაეძლო. ერთი წლის მუშაობის შემდეგ შპს "წყალკანალსპეცრემმშენმა" რკინაბეტონისა და პოლიმერბეტონის სპეციალური ფილები დაამზადა, რომლებიც



ვახო ხარაზოვის ფოტო

*წვიმამ დედაქალაქის კანალიზაციის სისტემაში ოთხმოცამდე ავარია გამოიწვია.*

2003 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს "თბილნიიპი"-ის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის საგამოცდო ლაბორატორიაში გამოიცადა. პარალელურად, ისინი დიღომში, დავით აღმაშენებლის სახელობის ხეივანში გამოსაცდელად განათავსეს. "თბილწყალკანალის" საინფორმაციო სამსახურის უფროსის გოჩა ჯელიას თქმით, გამოცდა წარმატებით ჩაიარა.

რკინაბეტონის ხუფებს იმ ჭებზე განათავსებენ, სადაც მხოლოდ ხუფია მოპარული, ხოლო, სადაც მთლიანად ხუფ-ჩარჩო აკლია - პოლიმერბეტონისას დაახურავენ. **"თუჯის ხუფებზე მთლად უარი არ გვითქვამს. არის ადგილები, სადაც, ესთეტიური თვალსაზრისით (მაგალითად, ქალაქის ისტორიულ უბნებში, ქვაფენილებზე), ან მეტი გამძლეობის მიზნით( სატრანსპორტო მაგისტრალებზე), კვლავ თუჯის ხუფებს შევინარჩუნებთ, მაგრამ ეს არ იქნება ჩვეულებრივი ხუფები. ისინი "წყალმოწყობილობის" ქარხანამ დაამზადა და სპეციალური საიდუმლო საკეტით არის აღჭურვილი, რომლის გაღება მხოლოდ "წყალკანალის" წარმომადგენლებს შეეძლებათ. მას ჩვეულებრივი მოქალაქეები ვერ გახსნიან. "თბილწყალკანალის" წარმოების დირექტორის შოთა ტრაპაიძის შესაბამისი ბრძანებით, წყალსადენისა და კანალიზაციის სამსახურებს მკაცრად ეკრძალათ, რკინაბეტონის, პოლიმერბეტონისა და საიდუმლო საკეტით აღჭურვილი ხუფების გარდა, სხვა სახის ხუფების გამოყენება. ახალი ტიპის ხუფების გამოყენება შეუძლია ყველა ამ სამსახურს, რომელსაც მიწისქვეშა კომუნიკაციების სათვალყურეო ჭები აქვს"**, - ამბობს "თბილწყალკანალის" საინფორმაციო სამსახურის უფროსი გოჩა ჯელია.

# აზერბაიჯანულ-სომხური სოციოლოგიური კვლევა



ვახო ხარაზოვის ფოტო

*ჯეფრი ჰოლი სევილ ასადოვასა და რუბინა ტერ-მარტიროსიანთან ერთად.*

*სომხეთისა და აზერბაიჯანის სოციოლოგებმა, რომლებიც ამერიკის უნივერსიტეტის "მსოფლიო მშვიდობის ცენტრთან" თანამშრომლობით იკვლევდნენ ამ ორი ქვეყნის ხალხებს შორის ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივას, "კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის" ოფისში პრესკონფერენცია გამართეს.*

თამარ ჯაჯანიძე

1992-1994 წლებში მთიანი-ყარაბაღის კონფლიქტმა (სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის), დაახლოებით, 30 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს კონფლიქტი დღემდე რჩება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კულტურული, ეკონომიური და, რაც მთავარია, ადამიანური ურთიერთობების გაწყვეტის საბაბად, რაც ორივე ქვეყანას აყენებს ზიანს. ეს კარგად ესმით სომხებსაც და აზერბაიჯანელებსაც. ამიტომ, 2000 წელს აზერბაიჯანელ ქალთა დელეგაციის ინიციატივას სომეხმა ქალებმაც აუბეს მხარი და გადაწყვიტეს, ერთობლივად ემუშავათ ამ ორი მეზობელი ერის უთანხმოების მშვიდობიანად მოგვარების გზებზე. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ, პირველ რიგში, სოციოლოგიური კვლევების ჩატარება იქნებოდა მიზანშეწონილი.

კვლევა მიმდინარეობდა 2003 წლის განმავლობაში და მოიცვა დედაქალაქების და საზღვრისპირა დასახლებების მოსახლეობა, ასევე - ლტოლვილთა ბანაკები და აზერბაიჯანის სომხური მოსახლეობა, რომელიც ამჟამად მთიანი-ყარაბაღის ტერიტორიაზე ცხოვრობს. გამოიკითხა სულ 2400 რესპონდენტი, რომელთაგან 200 აზერბაიჯანელი ლტოლვილი იყო, 200 კი - სადავო ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხი. გამოკითხულთა ასაკი 26-დან 60 წლამდე იყო. დიდი განსხვავება აღინიშნა კვლევის მონაწილე უფროსი და ახალგაზრდა თაობების პასუხებს შორის. ასაკოვან ხალხს ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება აქვს ჯერ კიდევ ომისწინანდელი წარსულიდან, მაგრამ ახალგაზრდა თაობა, პრაქტიკულად, არ იცნობს ერთმანეთს. კითხვაზე, - აქვთ თუ არა ურთიერთობა დაპირისპირებული ეროვნების ადანიანთან, - 90%-მა უპასუხა, რომ - არა.

აზერბაიჯანისა და სომხეთის სოციოლოგიური ასოციაციების კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ორივე ქვეყნის მოსახლეობა მზად არის, მხარი დაუჭიროს თავიანთ მთავრობებს, რათა მათ მეტი ძალისხმევა მოახმარონ ურთიერთობების დარეგულირებას და იზრუნონ ტერიტორიული დავის გადაწყვეტის პრობლემებზე. კვლევის შედეგებით ორივე ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას მომავალში მშვიდობა სურს. კითხვაზე, - იქნება თუ არა მშვიდობა ორ ხალხს შორის, - 67 პროცენტი სომხებისა პასუხობს, რომ, - შესაძლებელია, თუ აზერბაიჯანელები არ მოითხოვენ ტერიტორიას. აზერბაიჯანელების 43 პროცენტი აცხადებს, - შესაძლებელია ლტოლვილების დაბრუნებისა და კონფლიქტში მესამე მხარის ჩაურევლობის შემთხვევაში..

**"ვინც სოციოლოგიაში ერკვევა, დაინახავს, რომ კვლევა, მართლაც, პროფესიულ დონეზეა შესრულებული; სხვები კვლევის შედეგების კრიტიკასა და პოლიტიზირებას შეეცდებიან. თუმცა, სანაცვლოდ ვერაფერს შემოგვთავაზებენ სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობისთვის. ეს, მართლაც, მოსალოდნელია, მაგრამ მჯერა, რომ ამ კვლევის შედეგები საფუძველს ჩაუყრის და მნიშვნელოვნად წაადგება შედეგის მომტან დიალოგს აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხებს შორის",** - აცხადებს ტეხასის შტატის სან ანტონიოს უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის კათედრის გამგე, დოქტორი ჯეფრი ჰოლი, რომელიც კონსულტაციებს უწევდა აზერბაიჯანისა და სომხეთის მკვლევართა ჯგუფს. მან გააკეთა ორივე ქვეყნის კვლევის შედარებითი ანალიზიც. კვლევა, ასევე, მიუთითებს მედიის როლის მნიშვნელობაზე დაძაბულობის განმუხტვის თვალსაზრისით. **"თუ პრესა მუდმივად გვაწოდებს იმ აზრს, რომ მეორე მხარე არაჰუმანურად იქცევა, ჩვენს შვილებს როგორ შეექმნებათ რეალური წარმოდგენა იმ ხალხზე, რომელიც საზღვრის მიღმა ცხოვრობს. მთელი თაობები იზრდებიან, რომელთაც წარმოდგენაც არ აქვთ, რა ხალხი ცხოვრობს რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. ეს არ არის ჯანსაღი სიტუაცია. ამიტომ, ჟურნალისტებს უფრო მეტი ობიექტურობა უნდა მოვთხოვოთ",** - განაცხადა განათლებისა დაკვლევის მილენიუმის ასოციაციის დირექტორმა რუბინა ტერ-მარტიროსიანმა. სპეციალურად ამ პრესკონფერენციისთვის სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული ჟურნალისტების ურთიერთობებით თუ ვიმსჯელებთ, ამ ორი ხალხის დაპირისპირება დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. თუმცა, თავად ჟურნალისტების აზრითაც, პრობლემა, პირველ რიგში, პოლიტიკურად უნდა მოგვარდეს. პრესკონფერენციაზე ორივე მხარე სიმშვიდეს იჩენდა, თუ არ ჩავთვლით სომეხი ჟურნალისტის გაღიზიანებულ ტონს, რომელმაც უკმაყოფილება გამოთქვა, რადგან პრესრელიზში სომხეთის მთავრობის გადამწყვეტ როლზე იყო საუბარი. კონფლიქტის მოგვარების საკითებში სოციოლოგები არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების ჩართვას მიიჩნევენ მიზანშეწონილად. **"პოლიტიკური ნების გარეშეც, თანამშრომლობა აუცილებლად განვითარდება და ის დაეყრდნობა იმ სფეროებს, როგორიცაა განათლება, მეცნიერება და ვაჭრობა",** - აცხადებენ სომეხი და აზერბაიჯანელი მკვლევარები. თუმცა, გაურკვეველია, როგორ მოგვარდება ამ ორი ხალხის ურთიერთობა, როცა ერთი მხარე მეორეს გენოციდში ადნაშაულებს, ხოლო ტერიტორიის დათმობას არც ერთი არ აპირებს. ისე კი, სოციოლოგების კვლევის შედეგები ნამდვილად დადებითია. საქართველოში ჩატარებული ეს პრესკონფერენცია პირველი იყო, რითაც ამ კვლევების შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობა მოხდა.

ფოსტა

# "თქვენ გეუბნებით, ესენი რომ დადუმდნენ, ქვები იღაღადებენ"„

(ლუკა 19, 40)

## ღია წერილი "საპატრიარქოს უწყებანის" რედაქტორს ზურაბ ცხოვრებაძეს

ეკლესიის ცხოვრებით დაინტერესებულ პირთათვის, მართლაც, სრულიად აშკარაა, რომ ბოლო ხანებშიც შეინიშნება სწორედაც მიზანმიმართული და აშკარა ბრძოლა ჭეშმარიტი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ცნობიერების წინააღმდეგ. ლაპარაკია იმ უკვე ყველასათვის ცნობილ დაჯგუფებებზე, რომლის წევრებიც, კარგა ხანია, კოორდინირებულად მოქმედებენ მართლმადიდებლობის სახელით - მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. პოსტსაბჭოთა პერიოდის საზოგადოება (როგორსაც ჩვენ წარმოვადგენთ), ამისათვის ნოყიერ ნიადაგს იძლევა. სახეზეა "ჩვენი ეკლესიის ზოგიერთ იერარქთა უმძიმესი დოგმატური ცდომილებები, ეკლესიური მოძღვრების დიამეტრული გაუკუღმართებანი", - თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი ე.ჭელიძე. და მართლაც, "ვაი, მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური"...

"საპატრიარქოს უწყებანის" რედაქტორი, საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსის მოადგილე, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლექტორი ბატონი ზ. ცხოვრებაძე ამ ჯგუფებს ფანატიკურს უწოდებს თავის პუბლიკაციებში. იგი თავს მოიაზრებს სამეუფო გზის მიმდევრად და მეტრად, და მხოლოდ თავის პოზიციებზე მყოფებს და მისივე ყაიდის მოაზროვნეებს მიიჩნევს ნამდვილ ეკლესიად. ვინც სხვაგვარად ფიქრობს, ანუ ვისი აზროვნებაც არ მიჰყვება მისი და მისნაირების აზროვნების სტილს, ბ-ნი ცხოვრებაძის დემონსტრირებული რწმენის თანახმად, ეკლესიის გარეთ მდგომები და მეტიც - ეკლესიის მტრები არიან. ეს უდიდესი ამპარტავნებაა და სამწუხაროა, რომ ვერც იგი და ვერც მისი თარგის "მართლმადიდებლები" ამ ფაქტს ვერ აცნობიერებენ, რადგან თვითკრიტიკის უნარს მოკლებული არიან. ჩემი წერილი "ტვირთი ერისა და ეკლესიის წინაშე" სწორედ ფანატიკურ დაჯგუფებათა მოქმედებების სავალალო შედეგებს ეხებოდა. გამოხმაურება სტატიაზე ხდება არა ხსენებულ დაჯგუფებათა მხრიდან, არამედ "უწყებანის" რედაქტორის მიერ. რატომღაც მან ჩათვალა ვალდებულად თავი, დაეცვა მათი პოზიციები, იმათი სახელით ელაპარაკა, გარკვეულწილად, მათი მოსაზრებანი გამოემზეურებინა. კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდია...

მას, ვინც საეკლესიო კანონიკაში, ასე თუ ისე, ჩახედულია, არ გაუჭირდება იმის დანახვა, რომ ზ. ცხოვრებაძე დიდ ეკლესიოლოგიურ ცდომილებას უშვებს: მან იცის, რომ დეკანოზი ბასილ კობახიძე და მღვდელი ზაზა თევზაძე არიან კანონიერად დადგინებული სასულიერო პირები და მათი სამღვდელო პატივის წინააღმდეგ სანქცია არავის გამოუტანია. ამდენად, მათი საპატრიარქოს ადმინისტრაციული აპარატის თანამშრომლის მიერ ანტიეკლესიურად და ანტიმართლმადიდებლებად მოხსენიება, დიახაც რომ, არაეკლესიური და არაეთიკური მიდგომაა, თუ მეტი არა.

ამიტომ, იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ აღვნიშნო და განვაცხადო: რედაქტორ ზ. ცხოვრებაძის მსჯელობის მექანიზმი და პოლემიკის მეთოდი მიგვანიშნებს, რომ მართლმადიდებლობით გაამპარტავნებულთა საზოგადოებაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის აზროვნების კრიზისი. მართლაცდა, ცვლილებებს საჭიროებს ისეთი ცნობიერება, რომელსაც ეკლესიის ოფიციალური სტრუქტურის - საპატრიარქოს ოფიციალურ გაზეთში შეუძლია უკადრებელი იკადროს, შეურაცხყოს ოჯახი და ადამიანთა პირადი ღირსება. მართლაც სავალალოა, რედაქტორის ტრიბუნა გამოიყენო იმისათვის, რათა თავგზა აებნეს მსგავსი პუბლიკაციებით ისედაც დაბნეულ მკითხველს.

ის, რომ სასულიერო პირთა მეუღლეებს აქვთ ეკლესიის სოციოლოგიური და კულტუროლოგიური საკითხების შესახებ მსჯელობის უფლება, ქრისტიანობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. ამ სახის უფლებათა შესახებ ცინიკურად ლაპარაკი ავტორის "მართლმადიდებლობაზე" მიუთითებს.

სწორედაც რომ, ცვლილებებს ითხოვს ისეთი ტიპის ცნობიერება, რომელიც მზადაა, იცრუოს, იცრუოს საპატრიარქოს ოფიციალურ გაზეთში, შავით თეთრზე დაწერილი სტატიიდან ამოიღოს მთელი რიგი ციტატების ავტორთა სახელები და ეს კომენტარები სტატიის ავტორს მიაკუთვნოს, გამოაცხადოს ისინი ჩემს "დემაგოგიურ დასკვნებად" და ჩემს მიერ "21-ე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებულ ფორმულირებად". ეს პიროვნებანი, რომელთა უგულებელყოფას კადრულობს "უწყებანის" რედაქტორი, არიან: ბერძენი მიტროპოლიტი, ღვთისმეტყველების პროფესორი იოანე ზიზიულასი, კვიპროსისის ეკლესიის, ტრიმითოს ეპისკოპოსი ბასილი, მამა ალექსანდრე მენი და თესალონიკის უნივერსიტეტის თეოლოგიის და ფილოსოფიის დოქტორი ნიკოს მაცუკასი. ვფიქრობ, საჭიროა, დაისვას კითხვა - ვის აქვს უფლება და - რის საფუძველზე, ეჭვი შეიტანოს ხსენებულ პირთა მართლმადიდებლობაში? (ხაზს ვუსვამთ ხსენებული გაზეთის ოფიციალურობას.)

გაორებული ცნობიერების ნიშანია ის, რასაც ზ. ცხოვრებაძე, როგორც გაზეთის რედაქტორი, სჩადის: იგი ერთ შემთხვევაში სინდისისა და მორალის საწინააღმდეგო მანიპულაციებს ახორციელებს, მეორე შემთხვევაში კი ამბიციური ტონით და პრეტენზიით ათი მცნებიდან ერთ-ერთის - "არა იცრუო"-ს შესახებ ქადგებს.

ასეთივე გაორების შედეგია, როდესაც ცილისმწამებლურ სტატიაში რედაქტორი ამტკიცებს, რომ ეკუმენური პრაქტიკა ერესია (საპირისპიროს დასადასტურებლედ მომყავს ციტატები ზემოთ ჩამოთვლილი მართლმადიდებელი ავტორების ნაშრომებიდან, რომელთა ავტორობასაც ზ. ცხოვრებაძე მე მომაწერს), იმავე გაზეთში, ქრონიკისა და ინფორმაციის განყოფილებაში იგი წერს, თუ როგორ შედგა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ეგიდით, დიალოგი მართლმადიდებელი და ანგლიკანური ეკლესიების წარმომადგენელთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ საპატრიარქოს ოფიციალური პირები. თუ ეკუმენური პრაქტიკა ერესია, რატომ არ აქვს ასეთ შეხვედრასაც შესაბამისი სახელი დარქმეული? იმ მართლმადიდებლმა იერარქებმა, რომლებიც ამ შეხვედრას დაესწრნენ, დაწყებისა და დამთავრების დროს ლოცვები გულში მაინც არ წარმოთქვეს?

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ცნობიერების და ლოგიკის პრობლემებთან, რომელთა მოგვარების გარეშეც, შეუძლებელია შევიმეცნოთ მაცხოვრის სიტყვები: "შეიცან ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამ გაგათავისუფლოთ თქვენ".

განსახილველ სტატიაში რამდენი აზრიცაა, იმაზე მეტი უზუსტობა და შეუსაბამობაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ ყველაფერს ვერ შევეხებით. ვიტყვით მხოლოდ: მოვითხოვთ, რომ საჯაროდ იქნეს ბოდიში მოხდილი ჩემს სტატიაში ნახსენებ მართლმადიდებელ იერარქთა და თეოლოგთა წინაშე "უწყებანის" რედაქტორის მიერ, რომელმაც მათი კომენტარები და ინტერვიუებიდან ციტატები მომაწერა მე, სტატიის ავტორს და იქილიკა კიდეც ამით. მოვითხოვთ, რომ მან ბოდიში მოიხადოს საპატრიარქოს მიმართ, რამეთუ ასეთი მაღალი დანიშნულების სტრუქტურის აშკარა შეურაცხყოფაა, როდესაც მისი წარმომადგენლობითი ორგანოს რედაქტორი მიზანდასახულად იტყუება და "ბოროტებას სიკეთეს არქმევს და სიკეთეს ბოროტებას".

*ნატო ამონაშვილი-თევზაძე*

# ჰაგიოგრაფიის სწავლების შესახებ

*უკვე ბევრი რამ ითქვა ქართული ჰაგიოგრაფიის სკოლებში სწავლების შესახებ, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია, საზოგადოების დიდ ნაწილისათვის კი - მეტად მტკივნეულიც. განათლების რეფორმის პროექტ ილია ჭავჭავაძის ეროვნული სასწავლო გეგმების და სახელმძღვანელოების კომპონენტის ხელმძღვანელის სიმონ ჯანაშიას განცხადებით, ამ კვირიდან დაიწყო სპეციალისტთა ჯგუფების შედგენა და ისინი გადაწყვეტენ, თუ როგორ ისწავლება ეს ნაწარმოებები მომავალში საშუალო სკოლებში.*

ირინე ჭოლოშვილი

სიმონ ჯანაშიას თქმით, ახლა ყველა სახის ცვლილებებია მოსალოდნელი. კომისია განიხილავს, თუ რამდენად უნდა იყოს ჰაგიოგრაფია ქართული ლიტერატურის და რამდენად ისტორიის საგანი; რა მიზნით უნდა ისწავლებოდეს ჰაგიოგრაფიული ტექსტები საერთოდ - ეს და მსგავსი საკითხები ხელახლა იქნება დასმული. ცხადია, არავის ეპარება ეჭვი, რომ ჰაგიოგრაფიული თხზულებები ეროვნული და ქრისტიანული კულტურის ძალზედ მნიშვნელოვანი ნაწილია და ამაზე კამათი არც უნდა იყოს. საკმარისი არაა, რომ ახალგაზრდებმა მხოლოდ იცოდნენ მათი არსებობის შესახებ. პირველ რიგში, უნდა მოხდეს ამ ტექსტების მოსწავლის ასაკის შესაბამისად, სწორი სახით მიწოდება.

საზოგადოების ასივე პროცენტი თვლის, რომ ჰაგიოგრაფია სკოლებში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ მათთვის ვინც განათლების რეფორმებზე მუშაობს, დამაფიქრებელია ის შედეგები, რაც სტატისტიკურმა მონაცემებმა აჩვენა. გამოკითხულთა ოცმა პროცენტმა ვერ შეძლო პასუხი გაეცა იმაზე, თუ რას ეწოდება ჰაგიოგრაფია, ოცი პროცენტს კი მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. რა თქმა უნდა, ბევრი რამ დამოკიდებულია მოსწავლის პირად მონდომებასა და შესაძლებლობებზე, მაგრამ, უმეტესწილად, მოზარდებს უჭირთ ამ ნაწარმოებების გაგება, იმის მიუხედავად, რომ არსებობს საგანგებოდ ამ ტექსტებისთვის მაღალ დონეზე შესრულებული სიტყვათა განმარტებები და კომენტარები.

ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ ეს ტექსტები მოსწავლეებს, მათი სირთულის გამო, ხშირად სძულდებათ ხოლმე ისე, რომ მათ უკვე ზრდასრულ ასაკშიც აღარასოდეს კითხულობენ. ეს ლიტერატურა აქამდე ისწავლებოდა ისეთ ასაკში, როდესაც მოზარდი კომენტარებითა და ზედმეტი დამხმარე ლიტერატურით მუშაობისათვის ჯერ კიდევ მზად არაა. ამიტომ ბუნებრივია, რომ არ მოსწონთ ის, რაც რთულია და არ ესმით. შეიძლება ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ყველა მოსწავლისათვის არც იყოს ერთნაირად სავალდებულო. მათი გაგება მოსწავლისაგან სპეციალურ ინტერესსა და ნიჭს მოითხოვს; ანდა, რაც შეიძლება, უფროს კლასებში ისწავლებოდეს და უფრო მარტივად მიეწოდებოდეთ, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა, ხოლო ვისაც განსაკუთრებული ინტერესი გაუჩნდება, მათ შეიძლება სპეციალობაც ამის შესაბამისად აირჩიონ ან საშუალო სკოლებშივე ჰუმანიტარულმა ჯგუფებმა მისცეთ მათ მეტის სწავლის და გაგების საშუალება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა კვალიფიკაციასაც - იმას, თუ რამდენად გასაგებად და საინტერესოდ აწვდის პედაგოგი მოსწავლეებს ამ მასალას. ამიტომ, სკოლის პედაგოგთა საერთო დონის ამაღლება პრობლემის გადაჭრასაც შეუწყობდა ხელს. მაგრამ, ალბათ, მხოლოდ ესეც არ იქნება საკმარისი. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა სწავლებასთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებების შეტანა მაინც საჭიროა. კერძოდ, შესაძლებელია, ძველი ჰაგიოგრაფიის სწავლება უფრო მაღალ კლასებში დაიწყოს და, შესაბამისად, შეიცვალოს ან, უფრო სწორედ, დაირღვეს ქრონოლოგია. აქამდე ძველი ქართული ლიტერატურის სწავლება იწყებოდა IX კლასში, პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლით "შუშანიკის წამებით", რის შემდეგაც ქართულ მწერლობას სკოლებში ქრონოლოგიურად მთლიანად გადიოდნენ XX საუკუნის ლიტერატურის ჩათვლით. ასეთი მეთოდი, ზოგი მეცნიერის აზრით, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ქართული ლიტერატურა და მისი განვითარების ეტაპები ერთ მთლიანობაში წარმოიდგინონ. მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლის მოსწავლე ხშირად გარკვეულ სირთულეებს აწყდება, რადგან, ძალაუნებურად, თავიდან სწავლობს იმას, რაც ენობრივად უფრო ძნელი დასაძლევია. ფაქტია, რომ ძვ. ქართული ლიტერატურის ნებისმიერი ძეგლი უფრო რთული გასაგებია აზრობრივად და ენობრივად, ვიდრე თუნდაც "ბაში-აჩუკი" ანდა XIX და XX საუკუნის სხვა რომელიმე ლიტერატურული თხზულება. ამიტომ, უმჯობესი ხომ არ იქნება, ქრონოლოგიას შევეხლიოთ.

არის, ასევე, მოსაზრება, რომ IX კლასიდან ყოველ წელს ისწავლებოდეს სამი საპროგრამო ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიდან თითო.

შეიძლება, ასევე, დაისვას კითხვა, თუ რატომ ასწავლიან სწორედ "შუშანიკის წამებას", "აბოს წამებას" და "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას", რატომ ამ სამს და არა - მეტს ან ნაკლებს.

საერთოდ, პირობითია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ნაწარმოები უნდა იყოს საპროგრამო. ეს ყველაფერი გემოვნების საკითხიცაა. სიმონ ჯანაშიას აზრით, მაგალითად, ისიც შეიძლება სადაოდ ჩაითვალოს, თუნდაც გალაკტიონის შემოქმედებიდან, რომელი ლექსები უნდა ისწავლებოდეს სკოლებში. ჰაგიოგრაფიის შემთხვევაში, ტრადიციულად, იგივე თხზულებები უნდა დარჩეს სასწავლო პროგრამაში და, ალბათ -ისევ სამი, რადგან ეს სამი მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეტის საშუალებას დროის სიმცირეც არ იძლევა. იმას, თუ როდიდან უფრო მიზანშეწონილია ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის სწავლება, ისევე, როგორც საკითხის გარშემო არსებულ სხვა პრობლემებს, მალე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები და ფსიქოლოგები გადაწყვეტენ.

საუბარი იყო, აგრეთვე, ტექსტების გამარტივებასა და ახალ ქართულ ენაზე გადმოტანაზე. შედარებით დაბალ კლასებში ეს, რა თქმა უნდა, გაუადვილებთ მოსწავლეებს შინაარსის გაგებას, მაგრამ ამ ტექსტების ახალ ქართულად გადმოტანა ისე უნდა მოხდეს, რომ ნაწარმოების მხატვრული ღირებულება, რაც შეიძლება, ნაკლებად დაიჩრდილოს.

ბევრი ითქვა ჰაგიოგრაფიული ტექსტების ქრისტიანული მნიშვნელობის შესახებაც. და მართალაც, ეს ლიტერატურა ასახავს წმინდანთა ღვაწლს და ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს, მაგრამ, ვფიქრობ, ჰაგიოგრაფიის სკოლებში სწავლება, მართმადიდებლური სარწმუნოების პროპაგანდად და მოსწავლეთა რელიგიური ნიშნით აღზრდად არ უნდა ჩაითვალოს. ამ ტექსტების მთელი მათი ღრმა მნიშვნელობით მიწოდება და ახსნა საშუალო სკოლებში სწავლების მიზანი არაა და ვერც იქნება.

განათლების და მეცნიერების მინისტრის ბ-ნ კახა ლომაიას ერთ-ერთ ინტერვიუში, ასევე, ბ-ნ სიმონ ჯანაშიასთან საუბარში ნათქვამი იყო, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლება ხშირად რაღაც სხვა უფრო მნიშვნელოვანის ხარჯზე ხდება. სკოლებში გადიან არა მარტო ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს, "ვეფხისტყაოსანს" და სხვა რთულ პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებს, არამედ სავალდებულოა ამ ლიტერატურის გარშემო სხვადასხვა მნიშვნელოვანი თემების დამუშავებაც. ამის მიუხედავად, როგორც საშუალო განათლების მქონე ზოგი ადამიანის მაგალითზე ჩანს, სწავლების ადრინდელი მეთოდი იმითაც ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებს, რომ მათ შემდგომ აზრის წერილობით სრულფასოვნად გადმოცემა შეეძლოთ.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ განათლების სფეროში ბევრი რამ, მართლაც, შესაცვლელია. ბუნებრივიცაა, რომ დროის სვლასთან ერთად, მოთხოვნილებებიც იზრდება. უნდა შეიცვალოს მიდგომა მრავალი საკითხისადმი; ბევრი რამ დაიხვეწოს, ოღონდაც ისე, რომ არ მოხდეს იმის უარყოფა, რაც მართლაც ღირებული და ტრადიციულია.

# პანკისურ საიდუმლოებებს ფარდა მევლუდ ჭიჭიაშვილის სასამართლო პროცესზე აეხდება

ხათუნა ჯანგირაშვილი

*უზენაესი სასამართლო გუშინ ვიდეოკამერებისა და ფოტოაპარატების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. დილის თერთმეტ საათზე უზენაეს სასამართლოში საქართველოს კრიმინალურ ისტორიაში უკვე ლეგენდად ქცეული, რუსეთიდან ექსტრადირებული, პანკისელი შოთა (მევლუდ) ჭიჭიაშვილის სასამართლო პროცესი უნდა გახსნილიყო. თუმცა, მევლუდ ჭიჭიაშვილი დილით სხვა განსასჯელებთან ერთად სასამართლოში არ მიუყვანიათ. ის მოგვიანებით, დღის მეორე ნახევარში, გაძლიერებული ბადრაგით მეშვიდე საპყრობილიდან, მასთან ერთად გასასამართლებელ, საბრალდებო დასკვნის მიხედვით მის თანამზრახველ თენგიზ ფარეულიძესთან ერთად მიიყვანეს და 11 საათზე დანიშნული პროცესი ოთხ საათზე დაიწყო, თუმცა ხუთ წუთში დამთავრდა კიდეც.*


იური ლობოდინის ფოტო

*მევლუდ ჭიჭიაშვილს მეშვიდე საპყრობილის საკნიდან ორი თვის შემდეგ გამოიყვანენ, როცა უზენაეს სასამართლოში მისი მრავალტომიანი საქმის არსებითი განხილვა დაიწყება.*

მევლუდ ჭიჭიაშვილს მეშვიდე საპყრობილის საკნიდან ორი თვის შემდეგ გამოიყვანენ, როცა უზენაეს სასამართლოში მისი მრავალტომიანი საქმის არსებითი განხილვა დაიწყება. გუშინდელ ხანმოკლე პროცესზე, მხარეებმა და მოსამართლემ მხოლოდ ორგანიზაციული საკითხები მოაგვარეს.

საქმის არსებითად განხილვისთვის გუშინ არც სახელმწიფო ბრალმდებელი ზაზა გრიგოლაია აღმოჩნდა მზად და არც თენგიზ ფარეულიძის სახაზინო წესით აყვანილი ადვოკატი ირმა ჭკადუა, რომელიც, როგორც გაირკვა, საქმეში ორი დღის წინ ჩაერთო და, შესაბამისად, მასალების გაცნობა ვერ მოასწრო. როგორც მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, მხოლოდ განსასჯელთან შეხვედრა მოახერხა, რომელიც წარდგენილ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. რაც შეეხება სახელმწიფო ბრალმდებელს, როგორც მან პროცესზე განაცხადა, 24-ტომიანი საქმის მასალების ბოლომდე გაცნობა მასაც ვერ მოუსწრია. **"ჩემთვის უკეთესია, პროცესში ისეთი ბრალმდებელი მონაწილეობდეს, რომელიც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის საქმის ყველა დეტალს ბოლომდე და კარგად იცნობს. ეს მე საშუალებას მომცემს, დავასაბუთო, რომ მევლუდ ჭიჭიაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა,"** - ამ მოტივით დაეთანხმა შოთა ჭიჭიაშვილის ადვოკატი სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნას პროცესის ხანგრძლივი დროით გადადების შესახებ. მოსამართლე ტაბუცაძემ მხარეებს მოუსმინა და ლეგენდად ქცეული კრიმინალის სასამართლო პროცესი 14 სექტემბერს დანიშნა.

**"გავეცანი საბრალდებო დასკვნას,"**- ამ სიტყვების გარდა, განსასჯელ ჭიჭიაშვილს გუშინ არაფერი უთქვამს. მისი საბრალდებო დასკვნა კი საკმაოდ ვრცელია - ტერორიზმი, რამდენიმე მკვლელობა, რამდენიმე მკვლელობის მცდელობა, ადამიანების გატაცება, იარაღის უკანონოდ შენახვა-შეძენა-ტარება და სხვა - ეს ის მძიმე ბრალდებებია, რისთვისაც პანკისელ კრიმინალს, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სასჯელის უმაღლესი ზომა - მაქსიმუმ, თავისუფლების სამუდამო აღკვეთა ემუქრება. თუმცა, საბოლოო განაჩენამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. ეს ის დროა, როცა სასამართლო პროცესზე დასაკითხად მიწვეულმა დაზარალებულებმა, მოწმეებმა, რომელთა შორისაც ბევრი ყოფილი მალალჩინოსანია, და თავად განსასჯელმა პანკისურ საიდუმლოებებს უნდა ახადონ ფარდა. თუმცა, მისცემს თუ არა მართლმსაჯულებას ჩვენებას თავად ჭიჭიაშვილი, წინასწარ ძნელი სათქმელია. როგორც მისი ადვოკატი ირწმუნება, ის მთელი წინასწარი გამოძიების პერიოდში დუმილის უფლებით სარგებლობდა. სასამართლო გამოძიებისას კვლავ გამოიყენებს თუ არა სკანდალური დანაშაულებრივი საქმიანობით ცნობილი კრიმინალი, წლების განმავლობაში ძებნილი და ახლა მეშვიდე საპყრობილის ბინადარი კანონით მისთვის მინიჭებულ ამ უფლებას, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის.

მევლუდ ჭიჭიაშვილის ბრალდების საქმეში თხუთმეტი ეპიზოდი ერთიანდება. საგარეჯოში დაბადებული, პანკისის ხეობის სოფელ მატანში მცხოვრები შოთა ჭიჭიაშვილის ბრალდებების დეტალებზე "24 საათი" უკვე წერდა. უზენაეს სასამართლოს იმ ეპიზოდის განხილვაც მოუწევს, რომელსაც რამდენიმე თვის წინ საოლქო სასამართლო იხილავდა, რადგან საოლქო სასამართლოდან უზენაესში გადაგზავნილი ეს დანაშაულებრივი ეპიზოდი მთლიან საქმეს გაუერთიანდა და ჭიჭიაშვილის საქმის ტომების რაოდენობამაც სწორედ ამის შემდეგ იმატა. შეგახსენებთ, ჭიჭიაშვილის თბილისში ექსტრადირებიდან ცოტა ხანში, საოლქო სასამართლომ მევლუდ ჭიაჭიაშვილისა და მისი ჯგუფის წევრების მიერ თბილისში, 1997 წელს, მიხეილ დათიკაშვილის ოჯახზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმისა და დათიკაშვილისა და მისი მეუღლის, ნათია რუსეიშვილის პანკისის ხეობაში, "ცისკარას" ტყეში გატაცების საქმის განხილვა დაიწყო. გამტაცებლებმა მაშინ ცოლქმარი მძევლობიდან 50 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. ამ გატაცების გამო, მევლუდ ჭიჭიაშვილი თბილისში დააკავეს. საოლქო სასამართლომ მაშინ მას 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა, უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდა და საქმე განსახილველად კვლავ საოლქო სასამართლოს დაუბრუნდა. მოულოდნელად, ყოფილმა მძევლებმა გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება სასამართლოზე შეცვალეს, ჭიჭიაშვილის გატაცებაში მონაწილეობა უარყვეს და მოსამართლემ საქმე წინასწარ ძიებაში დააბრუნა. ადამიანის გატაცებაში, ყაჩაღობაში, იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარება-შენახვა-გადაზიდვისთვის გასამართლებული ჭიჭიაშვილი კი გაუსვლელობის ხელწერილით გათავისუფლდა. განაჩენი ბრალდების მხარემ კვლავ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. ამჯერად, ბრალმდებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ჭიჭიაშვილის დაპატიმრების სანქცია მეორედ გაიცა. სწორედ ამ დროს გამოცხადდა ჭიჭიაშვილი ძებნილად. როგორც ირკვევა, ის ამ დროიდან უკვე პანკისის ხეობაში იმყოფებოდა.

წლების წინ სხვადასხვა სასამართლოში განხილული სწორედ ეს ეპიზოდი დაემატა უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეს.

# მოსამართლეები ხელფასისთვის იბრძვიან

*ხელისუფლება, რომელმაც თავის დროზე სასამართლო სისტემაში დაწყებული რეფორმით გაითქვა სახელი, მართლმსაჯულებისთვის ველარ იცლის. ცოტა ხნის წინ თუ მოსამართლეები საერთო სასამართლოებისთვის ბიუჯეტის შემცირების პრობლემებზე საუბრობდნენ, დღეს მათ საკუთარი ხელფასებისთვის უწევთ ბრძოლა.*

თამარ კაციტაძე

**"მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის გარანტი მათი შრომის ანაზღაურებაა. ეს პრობლემა სასამართლო რეფორმის დაწყებისას პირველ პლანზე იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, დამოკიდებულება შეიცვალა,"** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მოსამართლეთა ინტერესების დამცველმა იურისტმა ნინო ბაქაქურმა.

საქმე ის გახლავთ, რომ მეორე ინსტანციის მოსამართლეებს, ანუ საოლქო სასამართლოების და აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსამართლეებს ხელფასი 210 ლარით უმცირდებათ. ეს ის თანხაა, რომელსაც მოსამართლეები წლების განმავლობაში, პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე, 500-ლარიან ხელფასზე დანამატის სახით იღებდნენ. იმისათვის, რომ მოსამართლეებს აღნიშნული თანხა მიეღოთ, ყოველწლიურად ქვეყნის პრეზიდენტი სპეციალურ ბრძანებას გამოსცემდა, მაგრამ წელს ასეთი ბრძანება საერთოდ არ დაწერილა.

სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ მოსამართლეებმა პრეზიდენტის სახელზე წერილი გაგზავნეს და ხელფასების გაზრდა მოითხოვეს. ამის გამო, მიხეილ სააკაშვილმა შესაბამისი პროექტის მომზადება იუსტიციის საბჭოს, იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრებს დაავალა. მართალია, იუსტიციის საბჭომ ბრძანებულების პროექტი მართლაც მოამზადა, სადაც არა ხელფასების ზრდაზე, არამედ წინა წლების მსგავსად, მოსამართლეთა სახელფასო დანამატზე იყო საუბარი, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ მოსამართლეებისთვის ვერც დასახელებული 500 ათასი ლარი გამოძებნა.

**"მოსამართლეების ანაზღაურების შემცირება დაუშვებელია არა მარტო საქართველოს კონსტიტუციით და სხვა კანონმდებლობით, არამედ იგი გარანტირებულია საერთაშორისო აქტებითაც, რომელთა დაცვა საქართველოსთვის სავალდებულოა,"** - აღნიშნა ნინო ბაქაქურმა.

**"იმ პირობებში, როცა ქვეყანაში სასამართლო რეფორმა მიმდინარეობს, ეს უკან გადადგმული ნაბიჯია. შეუძლებელია, მიუკერძოებლად ჩაითვალოს მოსამართლე, რომელსაც ფინანსური გარანტიები და სოციალური პრობლემები მოუგვარებელი აქვს. ეს, ფაქტობრივად, ბიძგია მოსამართლეებისათვის, კორუფციას მიჰყონ ხელი,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლემ მზია თოდუამ.

და მაინც, რით შეიძლება აიხსნას სასამართლოებისადმი ასეთი დამოკიდებულება, მით უმეტეს წელს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებაში რეფორმატორები მოვიდნენ და ამასთან, ბიუჯეტის შემოსავლებიც 61 მილიონი ლარით გაიზარდა, რაშიც ლომის წვლილი მოსამართლეებსაც მიუძღვით. ამაზე პასუხს უახლოეს მომავალში, ალბათ, თავად ქვეყნის პირველი პირები გასცემენ. ერთი კი ფაქტია, ხელფასების შემცირების შემთხვევაში, მართლმსაჯულებას ისევ ის მოსამართლეები დატოვებენ, რომლებიც სწორედ ანაზღაურებაზე არიან დამოკიდებულნი და რომლებისთვისაც კორუფციული გარიგება უცხოა.

**"დღეს, ქვეყანაში თითქმის ყველა სამართალდამცველ სისტემაში რეფორმებია დაწყებული და ამ დროს, უკვე რეფორმირებული სასამართლო სისტემა, შესაძლებელია, წარსულში დაბრუნდეს და კვლავ კორუფციის ჭაობში ჩაიფლას. ამისკენ კი მას სწორედ ხელისუფლების დამოკიდებულება უბიძგებს, რაც, თავისთავად ცხადია, ბუმერანგივით ისევ საქართველოს დაუბრუნდება,"** - ამბობენ მოსამართლეები, რომელთა "სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" კანონი ქვეყანაში ამ ეტაპზე არ არსებობს.

# პროკურატურა მარნეულის ყოფილ გამგებელს ზიანის ანაზღაურებას სთხოვს

*უკვე მესამე დღეა, რაც ქვემო ქართლის ოლქის პროკურატურამ მარნეულის რაიონის ყოფილი გამგებელი გოჩა ლორია ეჭვმიტანილად სცნო და დააკავა, თუმცა ამ დრომდე სამართალდამცველებმა მისთვის ბრალის წაყენება ვერ შეძლეს. გოჩა ლორია არტერიული კრიზის დიაგნოზით რუსთავის საავადმყოფოში 26 ივლისს, ღამით, წინასწარი დაკავების საკნიდან მიიყვანეს. ამჟამად ის აპარატზეა შეერთებული და ექიმების მტკიცებით მისი დაკითხვა, ჯერჯერობით, შეუძლებელია.*

მაია მოსიაშვილი

გოჩა ლორია ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის, ლევან მამალაძის მოადგილე და უახლოესი მეგობარი იყო. ხელისუფლების შეცვლისა და მამალაძის გაქცევის შემდეგ თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ლორიას დაიჭერდნენ. ახალ ხელისუფლებას 6 თვე დასჭირდა იმისათვის, რომ მარნეულის რაიონის ყოფილი გამგებლისათვის კომპრომატი მოეძებნა. ფაქტი, რომლის გამოც პროკურატურამ გოჩა ლორია დააკავა, გერმანიის სახელმწიფოს ტექნიკური დახმარების ფონდის "ჯტზ"-ს და ადგილობრივი მმართველობის ერთობლივ ირიგაციულ პროექტს ეხება. როგორც "24 საათს" ოლქის პროკურორმა გია ჯიქიამ განუცხადა, 2003 წლის გაზაფხულზე სოფელ კუტლიარის სარწყავი სისტემისთვის გამოიყო თანხა 22 ათასი ლარის ოდენობით.

**"მათ 10 კილომეტრზე გაჭიმეს მილები. მშენებლობა აუცილებელი საპროექტო და სხვა ტექნიკური დოკუმენტაციის გარეშე მიმდინარეობდა. რაც ყველაზე მთავარია, გამგეობამ მშენებლობის დაწყებამდე "რუსთავწყალისაგან" მიიღო ოფიციალური წერილი, სადაც კატეგორიულად იყო ნათქვამი, რომ აღნიშნული სარწყავი სისტემის მიერთება ძირითად სისტემასთან ტექნიკურად შეუძლებელი იყო, ანუ ლორიამ თავიდანვე იცოდა, რომ იმ მილებში წყალი არასოდეს გაივლიდა. მართლაც, ფული დაიხარჯა და სარგებელი ამისგან არავის მიუღია,"** - აცხადებს ჯიქია. მისი თქმით, გოჩა ლორიამ სახელმწიფოს არსებითი ზარალი მიაყენა თავისი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით და სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადაამეტა. პროკურატურა ლორიასთვის ბრალის წაყენებას 233-ე მუხლით აპირებს, რაც 3-დან 8-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

"24 საათის" ინფორმაციით, ოლქის პროკურორთან გუშინ ლორიას ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე იმყოფებოდა. ამ ვიზიტის შედეგი კი ის არის, რომ საუბარი დაიწყო ზიანის ანაზღაურებაზე ანუ ფულის გადახდაზე. კუტლიარის სარწყავ სისტემაზე დახარჯული 22 ათასი ლარიდან გამგებლის წილად 15 ათასი ლარი მოდის. თალაკვაძის თქმით, ეს თანხა გოჩა ლორიას არ გააჩნია და შესაძლოა მისი შეგროვება ნაცნობ-მეგობრების დახმარებით მოხერხდეს. **"კეთილი ინებოს და აანაზღაუროს, ჩვენ ამ წინადადებას ოფიციალურად მივცემთ,"** - ამბობს ოლქის პროკურორი.

პროკურატურა დღეს რუსთავის სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს. თუ ლორია კვლავ კრიზულ მდგომარეობაში იქნება, მას ვერც ბრალს წაუყენებენ და ვერც წინასწარ პატიმრობას შეუფარდებენ. პროკურატურა იძულებული იქნება, ეს საქმე მის გამოჯანმრთელებამდე გადადოს. გოჩა ლორიას უკვე გადატანილი აქვს ორი ინფარქტი, ამიტომ მისი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა.

ქვემო ქართლის ოლქის პროკურორი გია ჯიქია არ გამორიცხავს, რომ გოჩა ლორიას მიმართ სადავო თანხა უახლოეს პერიოდში კიდევ გაიზარდოს.

**"ჯერ არ ვახმაურებთ, მაგრამ ბატონ ლორიასთან ჩვენ სხვა ეპიზოდებთან დაკავშირებითაც გვაქვს პრეტენზიები. ვინაიდან ეს ეპიზოდები ჯერ გამოძიების პროცესშია, კონკრეტიკისაგან თავს შევიკავებ. სავარაუდოდ, თანხა გაიზრდება. ლორია იყო მამალაძის მოადგილე და შემდეგ, 4 წელი - მარნეულის გამგებელი. იქ უამრავი ფინანსური ოპერაციები ტარდებოდა, თანხების გადარიცხვები ბანკების მეშვეობით და ასე შემდეგ, ამიტომ ყველაფერი შემოწმდება,"** - ამბობს ჯიქია და კატეგორიულად გამორიცხავს ლორიას პოლიტიკური ნიშნით დაკავების ვარაუდსაც კი.

**"ჩვენ არანაირ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას არ ვაწარმოებთ. ეს, უბრალოდ, პრევენციაა. ყველამ, მათ შორის - დღეს მომუშავე ჩინოვნიკებმაც, უნდა იცოდნენ, რომ არავის არაფერი შერჩება,"** - ასეთია ჯიქიას პათოსი. რომელი ქვემო ქართლელი ყოფილი ჩინოვნიკი იქნება პროკურატურის შემდგომი "ლუკმა", უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ ის არ იქნება ლევან მამალაძის მეორე აქტიური თანამოაზრე და მეგობარი - ბოლნისის ყოფილი გამგებელი ზურა ჯაფარიძე. როგორც ოლქის პროკურორი აცხადებს, არც ერთ საეჭვო თუ დანაშაულებრივ დოკუმენტზე ჯაფარიძის ფაქსიმილე არ არსებობს და მას სამართალდამცველები ვერაფერში შეედავებიან. არადა, ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, პროკურატურას ბოლნისის ყოფილ გამგებელთან უამრავი კითხვები ჰქონდა.

"24 საათის" ინფორმაციით, საქმე აღძრულია ასევე, გარდაბნის ყოფილ გამგებელზე, დავით მჭედლიშვილზე. ეს საქმე სოფელ მარტყოფის მცხოვრებთა საჩივრების საფუძველზე ოთხი თვის წინ აღიძრა და მოკვლევა დღემდე არ დასრულებულა. "ორთვენახევარი დოკუმენტალური რევიზია მიმდინარეობდა, ამჟამად საბუღალტრო ექსპერტიზა ტარდება. თუ ექსპერტები მჭედლიშვილის ბრალეულობას დაადასტურებენ, მის წინააღმდეგ საქმე აღიძვრება," - ამბობს ჯიქია.

# ქურდების ტრადიციული 49-ე "კამერა" ავადმყოფ პატიმრებს მოემსახურება

*გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილეში რამდენიმე თვის წინ გაუქმებული ე.წ. კანონიერი ქურდების "ჩიტირი დევიტ კამერა" კვლავ ქურდების განკარგულებაში გადადისო, გაბათილებულია. გუშინ, აღნიშნულ საკანში საპყრობილის მეორე კორპუსის სამედიცინო განყოფილება გაიხსნა.*

თამარ კაციტაძე

**"დღემდე ამ კორპუსში, სადაც ხუთასამდე განსასჯელია, ავადმყოფი პატიმრის გასასინჯი ოთახი არ არსებობდა და მათ სამედიცინო დახმარებას დერეფანში ვუწევდით. სამედიცინო განყოფილების გახსნის შემდეგ ეს პრობლემა მოგვეხსნა, რაც გაუსაძლის ყოფას არამარტო პატიმრებს, არამედ ექიმებსაც შეგვიმსუბუქებს,"** - აღნიშნავენ ის ექიმები, რომლებსაც გუშინ ქურდების მიერ გარემონტებულ და №1 საპყრობილის პირობებში ყველაზე კომფორტულ ოთახში, იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა "ახალმოსახლეობა" მიულოცა.

ყოფილ 49-ე საკანში ავადმყოფ პატიმრებს თერაპიულ და ქირურგიულ დიაგნოსტიკასთან ერთად, ექიმები ფსიქიკურ პრობლემებზეც უმკურნალებენ.

**"ფსიქიკურად აქ ძალიან მძიმე მდგომარეობაა. გარდა იმისა, რომ ციხეში ამ მხრივ დაავადებული ადამიანები გარედანაც შემოდიან, ბევრი ციხის პირობებს ვერ უძლებს, რასაც ფიზიკური დაზიანებებიც ემატება და აქაც ავადდებიან. ამიტომ, ამ მხრივ მათ სისტემატურად სჭირდებათ დახმარება, რასაც, ძირითადად, ანტიდეპრესანტებით ვუმკლავდებით, რადგან ციხეში ფსიქოტროპული პრეპარატების გამოყენება იკრძალება,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ფსიქორეაბილიტაციის ცენტრის "ეპათიის" ექიმმა ხათუნა ჭყოიძემ.

საპყრობილეში სამედიცინო განყოფილების შექმნით კმაყოფილია იუსტიციის მინისტრიც, რადგან, ერთი მხრივ, წერტილი დაესვა გავრცელებულ ხმებს, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ ერთი პრობლემის გადაჭრა მოხერხდა. თუმცა, ორთაჭალის ციხის პრობლემები არც ამით მთავრდება. კვლავ გაურემონტებელი რჩება საპყრობილის უდიდესი ნაწილი, სადაც პატიმრებს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სუნთქვის და ძილის საშუალებაც არ აქვთ.

**"ცოტა ხნის წინ საპყრობილეში, განსაზღვრულთან შედარებით, 1400 პატიმრით მეტი იყო. რამდენიმე თვის განმავლობაში 600 განსასჯელის სხვადასხვა ადგილებში განთავსება და საპყრობილის განტვირთვა შევძელით, მაგრამ 800 პატიმარი კვლავ ზედმეტია და ვმუშაობთ, რომ ეს პრობლემაც მოვაგვაროთ,"** - აღნიშნა გიორგი პაპუაშვილმა და ჟურნალისტებთან ერთად კიდევ ერთხელ მოინახულა ის საკნები, სადაც პატიმრებს მორიგეობით სძინავთ.

№61 საკანში, სადაც ოცი საწოლიდან ერთი გაფუჭებულია, 44 განსასჯელი "ცხოვრობს" და სამეტაპიანი ძილის მორიგეობა აქვთ დაწესებული. ამას ემატება ჩამონგრეული კედლების და ანტისანიტარიის სუნი.

**"ჩვენ დავიწყეთ რკინის ჟალუზების ჩამოხსნა და უახლოეს მომავალში ყველა ფანჯარას გავათავისუფლებთ, რათა საკნებში ჰაერმა უპრობლემოდ იმოძრაოს,"** - ჰპირდება მინისტრი პატიმრებს, რომლებიც მისი თანდასწრებით საპყრობილის პრობლემებზე საუბრისგან თავს იკავებენ და, ძირითადად, პოლიციის განყოფილებებსა და გამოძიების პროცესში არსებულ დარღვევებზე საუბრობენ.

საპყრობილის გადატვირთული და გაურემონტებელი ნაწილის შემოვლის შემდეგ, პაპუაშვილმა ის საკნებიც მოინახულა, რომლებიც ცოტა ხნის წინ საკუთარი ხელით შეღება.

**"გაუფრთხილდით, რომ თქვენს შემდეგ ვინც მოვლენ, ისინიც კარგად გრძნობდნენ თავს,"** - გააფრთხილა პაპუაშვილმა არასრულწლოვანი განსასჯელები, რომლებიც მინისტრს ტელევიზორის ანტენას და ნაყინს სთხოვენ.

საკნების მონახულების და პატიმრებთან გასაუბრების შემდეგ გიორგი პაპუაშვილმა კომენტარი მისი გადადგომის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის თაობაზეც გააკეთა.

ხმები იუსტიციის მინისტრის შესაძლო გადადგომისა და ამ თანამდებობაზე შს მინისტრის მოადგილის გია გეწაძის დანიშვნის შესახებ, გიორგი პაპუაშვილმა კატეგორიულად უარყო.

**"არ ვიცი, ვის სჭირდებოდა ეს ჭორები. ჩვენ სხვა, გაცილებით სერიოზული საქმით ვართ დაკავებული,"** - აღნიშნა პაპუაშვილმა.

სერიოზული საქმის ერთი ნაწილი კი საპყრობილის იმ საკნების გარემონტებაა, რომელთა შეკეთებაც, ჯერჯერობით, გადატვირთვის გამო ვერ მოხერხდა.

**"ამ საკნებს ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივად გავარემონტებთ და პარალელურად, ვეცდებით, რომ მათი განტვირთვაც მოხდეს"**, - ამბობს იუსტიციის მინისტრი.

# საგამოძიებო ნაწილის უფროსი ჟურნალისტებს არ სწყალობს

ჩვენი სურვილი, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსს გიორგი ლაცაბიძეს დავკავშირებოდით და რამდენიმე შეკითხვაზე ინტერვიუ ჩაგვეწერა, სამწუხაროდ, უშედეგოდ დასრულდა. სხვათა შორის, ბარემ აქვე ვიტყვით, რომ გიორგი ლაცაბიძე ჟურნალისტებთან ურთიერთობას, მართალია, არ გაურბის, მაგრამ ეს ურთიერთობა ყოველთვის იუმორისტული ჟანრის ჩარჩოში ჯდება - იგი საქმიან საუბრებს რატომღაც ყოველთვის გაურბის. ვერ გეტყვით, რომელ სამართლებრივ სტრატეგიას ირჩევს გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსი ჟურნალისტებთან ურთიერთობისას, მაგრამ ფაქტია, მას ჩვენს კონკრეტულ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხი არასდროს გაუცია. უფრო ზუსტად, იგი ტრადიციული პასუხით გვიშორებს თავიდან - არ ვიცი, ჰკითხეთ პრესცენტრის ხელმძღვანელს.

ის მარტივი კითხვები, რომელზეც მისი პასუხი გვინდოდა მიგვეღო, ეხებოდა: ადვოკატისა და პროკურორის პროფესიულ ეთიკას, მის დღევანდელ სამსახურს, დღეისთვის საგამოძიებო ნაწილში არსებულ სიტუაციას პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელთა მიერ ბიზნესის დევნის, კერძო კომპანიებში უკანონო შემოწმებების ჩატარებისა და ბიზნესმენთა შევიწროების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, ასევე გავრცელებულ ინფორმაციას, იმის შესახებ, რომ ყოფილი ადვოკატი პროფესიულ ეთიკას ღალატობს და ადვოკატობის დროს მოპოვებულ ინფორმაციებს ახლა ყოფილი კლიენტების წინააღმდეგ ჩატარებული "სადამსჯელო ღონისძიებებისთვის" იყენებს. ერთი სიტყვით, კითხვები ბევრი და გაცილებით სერიოზული გვქონდა, მაგრამ გიორგი ლაცაბიძისგან პასუხის მიღება, სამწუხაროდ, ვერ შევძელით.

# აჭარის მთავრობის დამტკიცება გადაიდო

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გუშინდელ სხდომაზე საკონსტიტუციო ცვლილებები განიხილეს. მინისტრების დამტკიცება 30 ივლისისთვის გადაიდო. საკონსტიტუციო კანონის ცვლილებებს კამათის გარეშე არ ჩაუვლია. კომიტეტთა თავჯდომარეები კი უპრობლემოდ დაამტკიცეს.*

თამარ ნაბერვაძე
სოფო ღოღობერიძე
*24 საათი-აჭარა*

გუშინდელ სხდომაზე აჭარის კონსტიტუცია შესაბამისობაში მოჰყავდათ საქართველოს კონსტიტუციასთან, მაგრამ საბჭოს წევრების მოთხოვნით ზოგიერთი მუხლი შესაცვლელია. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია კონსტიტუციის 25-ე მუხლის მეოთხე პუნქტმა, რომელის მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მან ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა. უმრავლესობის ერთ-ერთი წარმომადგენლის ბეჟან გობაძის განცხადებით, ეს მუხლი უმაღლეს საბჭოს უუნაროს ხდის და ხელ-ფეხს უკრავს. ამ შენიშვნას კობა ხაბაზიც შეუერთდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ უმაღლესი საბჭოს წევრებს ხარჯთაღრიცხვის საშტატო განრიგი გააცნო. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აკონტროლებს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას." აგრარული და თვითმმართველობის კომიტეტის ხელმძღვანელის ზურაბ მიქელაძის განცხადებით, შეუსაბამო იქნება, თუ უმაღლესი საბჭო აღმასრულებელი ბიუჯეტის მხოლოდ ხარჯებს გააკონტროლებს. აუცილებელია ბიუჯეტის ხარჯების შესრულების კონტროლიც.

სხდომაზე სამინისტროთა გაფართოების შესახებაც იმსჯელეს, კერძოდ ერთმანეთისგან გამიჯნულიყო ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები. ამ წინადადებას არ ემხრობა უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე მიხეილ მახარაძე, რომელმაც განაცხადა, რომ "საჭიროების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომელიმე სამინისტროს ორად გაყოფა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველა პრეზიდენტის პოზიციის გატარებას უნდა შევეცადოთ. და სამინისტროთა რიცხვი შევამციროთ".

აჭარის კონტიტუციისა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ფრაქციის წარდგინებისა და საბჭოს წევრთა განცხადებების საფუძველზე კომიტეტების წევრები და მისი თავმჯდომარეები დაამტკიცეს. "რესპუბლიკელები" არც ერთში არ არიან გაწევრიანებულნი.



*სხდომაზე გააუქმეს ასლან აბაშიძის დროინდელი კანონები "სახალხო დამცველის" და "ეკონომიკური საბჭოს შესახებ".*

სხდომაზე გააუქმეს ასლან აბაშიძის დროინდელი კანონები "სახალხო დამცველის შესახებ", "ეკონომიკური საბჭოს შესახებ" და სხვა. გაუქმდა, აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლო და იუსტიციის საბჭო. აჭარის კონსტიტუციასა და სტატუსთან დაკავშირებით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე აცხადებს, რომ იგი თანახმაა ახალ კონსტიტუციაში სხდომაზე განხილული ცვლილებების შეტანისა, ხოლო სტატუსთან დაკავშირებით ამბობს, რომ შესაძლებელია მისი გაუქმება ან შეცვლა, ვინაიდან თავის დროზე იგი ნაჩქარევად იყო დამტკიცებული.

სხდომა მოსახლეობისთვის საჭირბოროტო საკითხების - მძიმე კრიმინოგენული ვითარებისა და დასამთავრებელი მშენებლობების (გვირაბების, ქობულეთის თბოელექტროსადგურის) გაგრძელების საკითხების განხილვით დასრულდა.

მინისტრების დამტკიცება 30 ივლისისთვის გადაიდო. სავარუდოდ, კობა ხაბაზს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ და ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრის პოსტზე წარადგენენ. დანარჩენ სამინისტროებს, სავარაუდოდ, დღევანდელი მოვალეობის შემსრულებლები უხელმძღვანელებენ.

# ფერადმა მილიონერებმა ბათუმში შემოცურეს



მაია ჭალაგანიძე
*ბათუმიდან*

გცხელათ, არა, თბილისში?! გენატრებათ მზე, ზღვა და ლურჯი აფრები...

ეს ამბავი ასე მოხდა - ხალხი თავისთვის იწვა პლაჟზე, უკვე ის დრო იყო, საკუთარი ჯანმრთელობის პატივისმცემელი ადამიანი რომ მზეზე არ უნდა ირუჯებოდეს, მაგრამ მოგეხსენებათ, რაოდენ მოდურია მზისგან დაფუთქული კანი. მოკლედ, წევხარ... ეს გრძნობა ნამდვილად ყველას განუცდია - პლაჟის ხმაური და შუადღის მზე რომ გაგათარანებს, ნახევრადმძინარე თვალს რომ ახელ, ზღვა რომ ლივლივებს და ზედ რომ ბევრი ფერადი ვიმპელი (ადრე რომ პატარა დროშებს არიგებდნენ სპორტული წარმატებისთვის) დაცურავს... ასე შემოვიდნენ ბათუმში 36 იახტით 15 ქვეყნის მილიონერები. შემოსვლას "შავი ზღვის იახტრალი" ეწოდება და ეს ასაკოვანი მილიონერების უსაყვარლესი ტრადიციაა. მთავარი ორგანიზატორი სტამბულის "ათაქოი მარინას" იახტკლუბია, რომლის პრეზიდენტიც თეომან არსი გახლავთ. წელს ქართველი მილიონერები არა, მაგრამ ქართველი იახტსმენებიც შეუერთდნენ ამ რეგატას, რომელმაც 60 დღის განმავლობაში მთელ შავ ზღვას უნდა შემოუაროს.

შევარდნაძეზე და მის აფ(თ)რებზე კიდევ ერთხელ გავბრაზდი და იმაზე უფრო მაგრად, ვიდრე ნოემბერში ვბრაზდებოდი. რეგატის მონაწილეები ზუსტად იმ ასაკისანი არიან, როცა ჩვენი მშობლები მიწის ნაკვეთსა და პატარა სახლზე ოცნებობენ, ქალაქელი შვილები რომ პროდუქტებით მოამარაგონ. რომელიმე მათგანი ვერც წარმოიდგენს, რომ მათ ასაკში შეიძლება იყოს ლაღი, გარუჯული, ეცვას ზღვისფერი შორტი, ეხუროს მხიარული კეპი და ცხოვრების დიდი ხნის მეგზურთან ერთად შავ ზღვას საკუთარი იახტით შემოუაროს...

რომელი რეგატა გაგიგიათ აჭარული განდაგანას გარეშე? ბათუმის პორტში თბილი (იგულისხმება ჩაცმულობა) ხალხური ცეკვები წარმოადგინა ენვერ ხაბაზის სახელობის ბათუმის ქორეოგრაფიულმა სტუდიამ (არ გეგონოთ, ახლა აჭარაში ყველაფერი ხაბაზის სახელობისაა, ამ ანსამბლს აბაშიძის დროსაც ასე ერქვა)... დიახ, მიღება იყო მოკრძალებული, მაგრამ საზეიმო. რეგატის მონაწილეებმა კარგად იცოდნენ, სად ჩამოვიდნენ და რომ ახალი მთავრობა გვყავდა. "ბათუმი პროვინიციაა, არა? რა საოცარია, ყველა ინგლისურად ლაპარაკობს და ზოგს ფრანგულადაც სურს საუბარი," - მითხრა ჭაღარა და ხუჭუჭა შვედმა ქალბატონმა, რომლის დასიცხული, ენაგადმოგდებული ტერიერი ტესი ამერიკელის ჩრდილს აფარებდა თავს.

ერთი ჰოლანდიელი ქალბატონი გულმოდგინედ მიხსნიდა, რომ თბილისში მატარებლით მიდიოდნენ და არა იახტით. გავუღიმე და ვამცნე, რომ მშვიდად შეეძლოთ იახტით წასვლა, რადგან თბილისს ზღვა აქვს. ეს ქალბატონი უცბად მოწყდა და ეკვეთა მამაკაცს, რომელსაც მაისურზე რეგატის მთელი მარშრუტი ეხატა. ალბათ, თემქას თუ ეძებდა...

ფერადი მილიონერები საქართველოში კიდევ 4 დღეს დარჩებიან.







## ამერიკული კინოს პირველი მეამბოხე



დღეს ჯეიმს დინის ცხოვრება მითია, რომელშიც ძნელია გაარჩიო, რა არის სიმართლე და რა არა.

B3

## ფავორიტები



მიუხედავად მხცოვანი ასაკისა ანდრე აგასი მაინც ერთ-ერთ ფავორიტად რჩება

B4

## ქერათმიანების სამყარო



რას ანიჭებენ უპირატესობას ქერათმიანი ლამაზმანები

B7

# პარლამენტი სექტემბრიდან სხვაგვარად იმუშავებს

სოფო ბუკია

*სექტემბრიდან ჩვენი პარლამენტი ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხს, დეპუტატთა რიცხოვნობის შემცირებასა და საგადასახადო კოდექსს მიხედავს. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, სწორედ ეს საკითხები იქნება საშემოდგომო სესიის პრიორიტეტი.*
*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე "24 საათის" სტუმარია და ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ხალხი სულგრძელია და პატარა შეცდომებს გვაპატიებს, სხვაგვარად საქმე არც გაკეთდება, მაგრამ სერიოზული შეცდომების უფლება არ გვაქვს.*

**- საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე საიმედო მოკავშირეა ეუთო, რომლის დისკრედიტაციას რუსეთი აქტიურად ცდილობს. ოფიციალური მოსკოვი დაჟინებით ითხოვს სამხრეთ ოსეთიდან ეუთოს მონიტორინგის ჯგუფის გაწვევას. ამის მიზეზი ის ხომ არ არის, რომ ობიექტური ინფორმაცია დაიბლოკოს და საერთაშორისო საზოგადოებას არ მიეწოდოს?**

- ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ეუთოს მისიასთან დაკავშირებით რუსეთი ანალოგიურ პოზიციას გამოხატავს. გახსოვთ, ალბათ, როგორი ბრძოლები გადავიტანეთ ჩვენ, პირდაპირი გაგებით, საზღვრის მონიტორინგთან დაკავშირებულ მისიაზე. რუსეთის მხრიდან მუდმივი ბრალდებები იყო, რომ საქართველოს საზღვრის გავლით ტერორისტები და იარაღი გადაადგილდება. მას შემდეგ, რაც საზღვართან ეუთოს მისია განლაგდა, აღმოჩნდა, რომ რუსეთის ბრალდებები ზღვარს გადაცილებული იყო. ასევეა დღესაც. ერთი კვირის წინ, ვენაში რუსეთმა დააყენა საკითხი, რომ ეუთოს მისია კი არ უნდა გაფართოვდეს, არამედ შეწყდეს. ჩვენი ინტერესია, რომ ეს მისია საქართველოში იყოს და მაქსიმალურად გაფართოვდეს. აუცილებელია, კონფლიქტის ზონას უცხოელი დამკვირვებლის თვალი აკვირდებოდეს, რათა მსოფლიო საზოგადოებამ ეუთოს მისიისგან შეიტყოს ობიექტური ინფორმაცია. რეალურად, ჩვენ ეუთოს მისიის და ობიექტური თვალის არ გვეშინია და იმედი მაქვს, რუსეთის მხარესაც არ შეეშინდება.

**- პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ, ერთი შეხედვით, რუსეთთან ურთიერთობა შეიცვალა, დათბა, თუმცა ამან ასახვა ვერ ჰპოვა დუმის მუშაობასა და რუს დეპუტატთა განცხადებებში, რომელთა უმრავლესობა დღესაც მწვავედ არის განწყობილი საქართველოს მიმართ. როგორ ვითარდება რუსეთისა და საქართველოს საპარლამენტო ურთიერთობები?**

- რუსეთთან ურთიერთობა არა მარტო ერთი შეხედვით, არამედ რეალურად შეიცვალა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. პრეზიდენტებს შორის, გარკვეულწილად, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა ყალიბდება, რაც მომავალში პრობლემების გადაწყვეტას კიდევ უფრო გააიოლებს. ჯერჯერობით, პრობლემები არსებობს, მათი დარეგულირება არ მოხდა, მაგრამ ესეც, გარკვეულწილად, ბუნებრივია. ათი წლის განმავლობაში დაქოქილი იყო მანქანა, რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ძალიან უარყოფით მუხტს ატარებდა და, ცხადია, ამ მანქანის ერთბაშად შეჩერება შეუძლებელია. რუსულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, ვთქვათ, პრეზიდენტის ქვემოთ, დღესაც არიან სერიოზული ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ ამ მანქანის შეჩერება. ასეთი ძალები, ცხადია, დუმაშიც არიან. წლების განმავლობაში ეს სერიოზული ძალები ხელს ითბობდნენ ქართულ-რუსული ურთიერთობების გამწვავებაზე და თავიანთ პოლიტიკურ, იმპერიულ ამბიციებს იკმაყოფილებდნენ. ამ პროცესების ერთ დღეში აღმოფხვრა შეუძლებელია.

თქვენ იცით, რომ ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ფედერაციის საბჭოსთან, რომლის ხელმძღვანელი ბატონი მირონოვი მართლაც ძალიან კეთილგანწყობილია საქართველოსადმი და დაინტერესებულია, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები დარეგულირდეს.

რაც შეეხება პარლამენტებს შორის ურთიერთობას... მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტი ახალი არჩეულია, ასევე ახალი არჩეულია დუმა. ჯერ ოფიციალური, ორმხრივი კონტაქტები არ ყოფილა, თუმცა ედინბურგში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე შედგა ჩემი შეხვედრა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარესთან ბატონ გრიზლოვთან. შეხვედრა ძალიან კონსტრუქციული გამოდგა, იგი ცხინვალის ცნობილ ინციდენტამდე შედგა, ვგულისხმობ ჩვენი ჯარისკაცების ტყვედ აყვანას. გრიზლოვთან ვისაუბრეთ იმ ახალ რეალიებზე, რომლებიც ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის ურთიერთობებიდან გამომდინარე გამოჩნდა. მე შევთავაზე მას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შორის ე.წ. ცხელი ხაზის არსებობა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ. ასევე ვისაუბრეთ თანამშრომლობის შემდგომ ფორმებზე.

სამწუხაროდ, ამ შეხვედრიდან სულ ორიოდე დღის შემდეგ მოხდა ის ინციდენტი, რომელიც გათვლილი იყო იმაზე, რომ ქართველები საკუთარი ჯარისკაცის შეურაცხყოფას არ მოითმენენ. ეს იყო ჩვენი ომში ჩათრევის ინსპირაცია. ჩვენი დელეგაციის სერიოზული ძალისხმევის შედეგად, ეუთოს მთელმა შემადგენლობამ მართლაც დიდი აღშფოთება გამოხატა ამ ფაქტთან დაკავშირებით. ჩვენ დავარიგეთ ის ამაზრზენი სურათები, სადაც ჩვენი ბიჭები დაჩოქილები არიან. 54 სახელმწიფოდან 53-მა მხარი ქართულ დელეგაციას დაუჭირა. ასეთ პირობებში, ჩემთვის მართლაც გასაოცარი იყო ის, რომ რუსეთის დელეგაციას არ ეყო არა მხოლოდ პოლიტიკური ალღო, არამედ თუნდაც პოლიტიკური ეშმაკობა, რომ, როგორც მინიმუმ, თავი მაინც შეეკავებინა რადიკალური განცხადებებისგან. სხვათა შორის, ჩვენმა დელეგაციამ და პირადად მე ძალიან კონსტრუქციული პოზიცია დავიკავეთ. მე პირადად მივედი რუსეთის დელეგაციასთან და პირდაპირ შევთავაზე, რომ თუ თქვენ გეყოფათ გამბედაობა, ჩვენთან ერთად დაგმოთ ის, რაც სამხრეთ ოსეთში მოხდა - ეს იქნება ახალი მოვლენა რუსულ-ქართულ ურთიერთობაში. თუმცა, როგორც ჩანს, ამ მენტალობის შეცვლასაც რაღაც დრო სჭირდება.

**- საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება როკის გვირაბთან საფინანსო პოლიციის დაყენებაზე და გვირაბის გაკონტროლებაზეც კი ვერ დაითანხმა. ასეთ პირობებში, როგორ გესახებათ მოლაპარაკებების პროცესის შემდგომი განვითარება?**

- ქართული მხარე ყოველთვის აცხადებს, რომ მზად არის დიალოგისთვის, რაც თავისთავად კომპრომისებზე წასვლასაც გულისხმობს. თუმცა, არის გარკვეული კომპრომისები, რაზეც ჩვენ არასოდეს წავალთ - ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივი, ეროვნული ინტერესები და ჩვენი ქვეყნის მთლიანობა. როკის გვირაბი აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს, აქ ორი აზრი არ არსებობს. ჩვენ კატეგორიულად უნდა ვთხოვოთ ეუთოს, რომ მან გარკვეული მონიტორინგი განახორციელოს როკის გვირაბთან. ნახეთ, რა ხდებოდა ამ რამდენიმე ხნის განმავლობაში როკის გვირაბთან დაკავშირებით - რუსეთი პირდაპირ არღვევდა ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით არსებობდა. როცა რუსეთი ჩვენსკენ იშვერს ხელს და ბრალდებებს გვიყენებს, ავიწყდება ის, რომ მას არა აქვს არავითარი უფლება, ვთქვათ, კრასნოდარის მხარიდან ან საიდანღაც გადმოიყვანოს ბე-ემ-პე და ცხინვალის რეგიონში დააყენოს.

ჩვენ გადავეცით რუსეთის მხარეს ის შეიარაღება, რომელიც რამდენიმე დღის წინ ცხინვალის რეგიონში დავაკავეთ და რომელზეც ასეთი ხმაური ატყდა. თუმცა, ფაქტია, რომ ეს იყო შეიარაღება, რომელიც სამშვიდობოებს არ სჭირდებოდა და იგი სწორედ სეპარატისტების ხელში მოსახვედრად შემოდიოდა. მართალია, ჩვენ მთლიანად ოსეთის ტერიტორიას ვერ ვაკონტროლებთ, მაგრამ, დამეთანხმეთ, არ ბნელა - რუსეთი ტექნიკის ისე გადაადგილებას და შემოტანას ვერ მოახერხებს, რომ ჩვენ ეს ვერ გავიგოთ და ამაზე, როგორც მინიმუმ, საერთაშორისო რეაგირება არ მოვახდინოთ.

**- ქალბატონო ნინო, ეს ის თემაა, რაზეც თქვენი კომენტარი საზოგადოებამ არაერთხელ მოისმინა და მაინც... საქართველოს ხელისუფლება აქტიურ ანტიკორუფციულ ღონისძიებებს ახორციელებს ცხინვალის რეგიონში, დაიხურა ერგნეთის ბაზრობა... ასეთ პირობებშიც კი, კოკოითი აკეთებს განცხადებებს ფქვილის კონტრაბანდაზე, ბურჯანაძეების ოჯახზე და ა. შ.**

- მთლიანად ვუჭერ მხარს ხელისუფლების მიერ გატარებულ ანტიკორუფციულ ღონისძიებებს, და, მათ შორის, კონტრაბანდასთან ბრძოლას - პირველ რიგში. მსგავსი განცხადებები არის, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ ამას არანაირი საფუძველი არა აქვს, მგონი, საჭირო არ არის. არ მინდა ამ თემას დავუბრუნდე, მაგრამ მინდა გაგახსენოთ შარშანდელი, შარშანწინდელი განცხადებები და პრესკონფერენციები, რომელიც კონტრაბანდის თემას უკავშირდება... შეგიძლიათ ნახოთ, ვინ გამოდიოდა მაშინ კონტრაბანდის წინააღმდეგ და ვინ ამბობდა იმას, რომ საქართველოში პურის ნორმალური ბიზნესი სწორედ უზარმაზარი რაოდენობის კონტრაბანდამ შთანთქა. ასე რომ, თუ ვინმეს კიდევ აინტერესებს ეს თემა, შეუძლია ნახოს იმ პრესკონფერენციების ჩანაწერები, რომლებიც თავის დროზე ანზორ ბურჯანაძემ მოაწყო. ამ არგუმენტების საფუძველი ცხადზე ცხადია: კოკოითი დღეს აბსოლუტურად გამწარებულია იმის გამო, რომ მას კონტრაბანდა გადაუკეტეს. მე კი, როგორც ხედავთ, აბსოლუტურად მშვიდად ვარ და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კონტრაბანდა გადაიკეტა.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებისთვის დღეს ბევრად უფრო ხელსაყრელია საომარი მოქმედებების დაწყება. ქართული ხელისუფლება ამ პროვოკაციაზე არ წამოეგო. იგი ზრუნავს ჩვეულებრივ ოსურ მოსახლეობაზე, ცდილობს, ხალხს პენსია მისცეს, ელექტროენერგია მიაწოდოს; ცდილობს, ბავშვები წაიყვანოს დასასვენებლად. ეს რეალურად ის ნაბიჯებია, რაც ოსეთის ხელისუფლებას ყველაზე მეტად არ სურს და რისიც ყველაზე ძალიან ეშინია.

**- ქალბატონო ნინო, თქვენ წინა მოწვევის პარლამენტში ოპოზიციონერი იყავით, დღეს უმრავლესობას წარმოადგენთ, ეს ფაქტორი რაიმეს ცვლის თქვენს მუშაობაში? და საერთოდ, რითი განსხვავდება დღევანდელი პარლამენტი წინამორბედისგან?**

- ძალიან დიდი სიამაყით მახსენდება ის თვეები და წლები, როდესაც მე ვიყავი პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც ოპოზიციას წარმოადგენდა. ძალიან ამაყი ვარ, რომ ვაკეთებდი იმას, რაც სწორად მიმაჩნდა.

ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს პარლამენტში სერიოზული უმრავლესობა გვყავს და სამუშაოდ კარგი პირობებია შექმნილი. ცხადია, არის იმის საშიშროებაც, რომ ჩვენ ზედმეტად თვითდაჯერებულები გავხდეთ იმიტომ, რომ ერთიანი გუნდი ვართ - პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი... არ უარვყოფ, არის მოდუნების საშიშროება. ყველანაირად ვეცდები, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს. მოდუნებით ჩვენ გამოუსწორებელ შეცდომებს დავუშვებთ და აღმასრულებელ ხელისუფლებას დათვურ სამსახურს გავუწევთ. სხვათა შორის, მოხარული ვიქნები, თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან პარლამენტის საქმიანობასთან და აქტიურობასთან დაკავშირებით შენიშვნები იქნება. დღეს თუ ჩვენ ერთმანეთს შენიშვნებს არ ვუთხარით, ერთმანეთს არ გავანდეთ ის სირთულეები და პრობლემები, რაც არსებობს და რის წინაშეც შეიძლება აღმოვჩნდეთ, ბევრი ხარვეზი შეიძლება გაგვეპაროს. ხალხი ისეთი დიდი იმედით შესცქერის დღევანდელ მთავრობას და პარლამენტს, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვაქვს სერიოზული შეცდომების უფლება. ხალხი სულგრძელია და პატარა შეცდომებს გვაპატიებს, სხვაგვარად საქმე არც გაკეთდება, მაგრამ სერიოზული შეცდომების უფლება არ გვაქვს.

**- სერიოზულად მიმდინარეობს პარლამენტის რესტრუქტურიზაციის პროცესი, როგორი იქნება რეორგანიზებული პარლამენტი?**

- ჩემი დიდი ოცნებაა, პარლამენტი ისე იყოს რეორგანიზებული, რომ ეფექტური, მოქნილი და გამჭვირვალე ორგანო გახდეს. დღეს ჩვენ სერიოზულად ვმუშაობთ ამ საკითხზე. ინსტიტუციონალურად ისე გვინდა ავაწყოთ პარლამენტი, რომ იგი ავტომატურ რეჟიმში იწყებდეს მუშაობას და თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ასრულებდეს - არა მარტო საკანონმდებლო თვალსაზრისით, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის და კანონების შესრულების თვალსაზრისითაც. ნახეთ, რამდენი ძალიან საინტერესო თემაა, იგივე პრივატიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. მე მხარს ვუჭერ კახა ბენდუქიძის რადიკალურ გარდაქმნებს, მაგრამ, მეორე მხრივ, პარლამენტის ამოცანაა, სერიოზულად მოისმინოს, თუ რას გეგმავს ეკონომიკის მინისტრი, მთავრობა პრივატიზაციასთან დაკავშირებით. ამ პროცესს პარლამენტმა ძალიან სერიოზულად უნდა მიადევნოს თვალი, რათა არ განმეორდეს ის შეცდომები, რაც აქამდე იქნა დაშვებული. ასევე, არის უზარმაზარი პროექტები - დღეს საქართველოს თითქმის მთელი მსოფლიო, საერთაშორისო ორგანიზაციები უწვდიან დახმარების ხელს და ჩვენ აღარ უნდა გაგვეპაროს ისეთი შეცდომები, რომლებიც შემდეგ შეიძლება დანაშაულში ჩაგვეთვალოს. პარლამენტმა სერიოზულად უნდა გააკონტროლოს ის გრანტები, დახმარებები, ფინანსური შემოსავლები, რომლებიც პარლამენტში მოდის. სერიოზულად უნდა გაკონტროლდეს საბიუჯეტო პროცესი. ეს ყველაფერი პარლამენტმა უნდა გააკეთოს არა ჩასაფრებულის და შეცდომის მაძიებლის პოზიციიდან, არამედ კეთილგანწყობილად, მაგრამ ობიექტურად და კრიტიკულად. პარლამენტს ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი... სხვათა შორის, ერთი ძალიან საინტერესო მომენტია, ბევრს აქვს განცდა, რომ ეს პარლამენტი ძალიან დიდი ხანია მუშაობს. კრიტიკულად განწყობილებს ავიწყდებათ, რომ პარლამენტი 22 აპრილს შეიკრიბა, ანუ სულ რაღაც სამი თვეა. ამ სამი თვის განმავლობაში იყო ბათუმი, იყო ცხინვალი და კიდევ უამრავი კრიზისული ვითარება. ამ სამი თვის განმავლობაში პარლამენტი ფორს-მაჟორულ რეჟიმში მუშაობდა. ბევრს გაუჩნდა განცდა, რომ რასაც კი შემოიტანს მთავრობა ამ პარლამენტში, ყველაფერი ავტომატურად გადის. მთლად ასე, ცხადია, არ იყო, მაგრამ ბევრი რამ სწორედ ავტომატურ რეჟიმში გავიდა და ამასაც აქვს გამართლება. იმ პერიოდში მთავრობას მაქსიმალური კარტ-ბლანში სჭირდებოდა, ჩვენ ყველანი კრიზისულ ვითარებაში ვმუშაობდით და პარლამენტის შეფერხება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ძალიან სერიოზულ შეფერხებებს გამოიწვევდა. ახლა ჩვენ ყველანი თანდათან სერიოზულ რეჟიმში უნდა გადავიდეთ და პარლამენტი სექტემბრიდან ნამდვილად სხვაგვარად იმუშავებს.

**- საშემოდგომო სესიის პრიორიტეტები რა იქნება?**

- ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრიორიტეტი, და აქ ორი აზრი არ არსებობს, არის ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხები. ჯერ ერთი, მოდით, ვთქვათ, რომ ამ პარლამენტმა ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაუსვას დეპუტატების რიცხოვნობის შემცირების საკითხს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ ჩვენ ეს საკითხი ამ საშემოდგომო სესიაზე არ განვიხილეთ, ერთი წლის, ორი წლის შემდეგ და, მით უმეტეს, არჩევნების წინ ამ საკითხის გატანა ძალიან ძნელი იქნება. მეორეს მხრივ კი, თუ ტერიტორიული მოწყობის საკითხი არ იქნება გადაწყვეტილი, დეპუტატთა რიცხოვნობის საკითხს ჩვენ ვერ მივიღებთ. უკულმა ხომ არ დავიწყებთ, ჯერ დეპუტატების რიცხვის განსაზღვრით და შემდეგ ტერიტორიული მოწყობის? ამდენად, ჩემთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტა და დეპუტატების რიცხოვნობის შემცირება იქნება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ - რა ტიპის ქვეყანა გვინდა და როგორი ქვეყანა გვინდა. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ასევე საგადასახადო კოდექსი. უახლოეს მომავალში მთავრობიდან საგადასახადო კოდექსის უკვე საბოლოო ვარიანტს ველოდები.

თქვენ იცით, რომ ჩემი ინიციატივით პარლამენტში ბიზნესისა და პარლამენტის საბჭო შეიქმნა. ჩვენი უცხოელი მეგობრების წყალობით ჩვენ მსოფლიო ბიზნესის და პარლამენტის ასოციაციის წევრი ვხდებით და დეკემბერში საქართველოში ბიზნესისა და პარლამენტის ასოციაციის მსოფლიო კონგრესი გაიმართება. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. ასეთი შემთხვევა ჯერ არ ყოფილა, რომ ქვეყანა, სადღაც, ივლის-აგვისტოში წევრი გახდეს და დეკემბერში უკვე ამ ქვეყანაში კონგრესი ჩატარდეს. ჩემი დიდი სურვილია, საქართველოს პარლამენტს ბიზნესმენებთან ღია და გამჭვირვალე კავშირი ჰქონდეს, რათა კორუფციული ლობირების შესაძლებლობა არ იყოს. ბიზნესმენებმა პარლამენტს ღიად უნდა უთხრან, რა მიაჩნიათ მათ, ვთქვათ, საგადასახადო კოდექსში საინვესტიციო გარემოს განვითარებისათვის ხელშემწყობ რეჟიმად და რა მიაჩნიათ მათ ხელისშემშლელ რეჟიმად.

**- პარლამენტის რეგლამენტი შეიცვალა, გამკაცრდა, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარეს დღესაც ნახევრად ცარიელ დარბაზში უწევს სხდომების ჩატარება... როგორ აპირებთ საპარლამენტო სიზარმაცესთან ბრძოლას?**

- სიმართლე გითხრათ, ამ სამი თვის განმავლობაში, განსაკუთრებული სიმკაცრე არ გამომიჩენია, რადგან ხშირ შემთხვევაში დეპუტატები საპატიო მიზეზების გამო აცდენდნენ სხდომებს. პარლამენტის ძალიან ბევრი წევრი თვეების, კვირეების განმავლობაში ბათუმში იყო, ბევრიც შემდეგ - ოსეთში...

გარწმუნებთ, თუ სექტემბრიდან იგივე განმეორდება, ძალიან მკაცრი ზომები იქნება მიღებული ჩემი მხრიდან და დარწმუნებული ვარ, ამაში მხარს პრეზიდენტიც დამიჭერს. იგი ნამდვილად არ იყო აღფრთოვანებული იმით, რომ დეპუტატები სხდომებზე არ დადიოდნენ. და საერთოდ, დეპუტატები საკმაოდ მაღალ ხელფასს იღებენ იმისათვის, რომ მოსახლეობამ ცარიელ დარბაზს არ უყუროს. ნამდვილად ვერ მოვითმენ იმას, რომ დეპუტატს მხოლოდ პრივილეგიები ჰქონდეს და არ ჰქონდეს ვალდებულებები მოსახლეობისა და ამომრჩევლის წინაშე.

**- საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით ხშირად არ არის ერთიანობა, ეს თუნდაც კონტროლის პალატის შეფის დანიშვნის დროსაც გამოჩნდა, უმრავლესობის ერთიანობა ხელოვნური ხომ არ არის?**

- მე არა მაქვს იმის განცდა, რომ ეს ხელოვნური უმრავლესობაა. ჩვენი გაერთიანება ძალიან ბუნებრივად მოხდა. 2 ნოემბრის არჩევნების დროს იმდენად დიდ უსამართლობას ჰქონდა ადგილი, რომ წინა დღით კონკურენტები, 2 ნოემბრის შემდეგ ერთნი გავხდით.

ის, რომ შიგნით რაღაც განსხვავებებია, ძალიან ბუნებრივად მეჩვენება და პირიქით, ვთვლი, რომ სწორედ ამაშია ჩვენი ძალა. დავუშვათ, მთელმა უმრავლესობამ ერთხმად თავი დაუქნია იმას, რასაც პრეზიდენტი იტყვის, რასაც პარლამენტის თავმჯდომარე იტყვის, მაშინ ხომ შეცდომებს ვერ ავცდებით. ჩვენი ძალა სწორედ ის არის, რომ უმრავლესობის შიგნით არის აზრთა ჭიდილი, დუღილი, სხვადასხვა მოსაზრებები...

თქვენ კონტროლის პალატა ახსენეთ. ამ შემთხვევაში იყო რაღაც გარკვეული პიროვნული ფაქტორები, მაგრამ, მოდით, ახლა ამაზე არ ვისაუბროთ. ზოგისთვის ადამიანური თვალსაზრისით გულდასაწყვეტი იყო, რომ სხვა გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ზოგმა ამით ისარგებლა და, ასე ვთქვათ, ცეცხლი შეუნთო იმ ადამიანებს, ვინც გულწრფელად იყო შეწუხებული... ის პატარა ინტრიგები, რომელიც წამოიჭრა, მალევე ჩაკვდა, რადგან უმრავლესობის რიგებში არავითარი მხარდაჭერა არ ჰპოვა.

**- დღევანდელ პარლამენტში ძალიან სუსტი ოპოზიციაა...**

- იცით, ძალიან ძნელია დღეს ოპოზიციაში იყო. ვფიქრობთ და ამის დიდი იმედი გვაქვს, რომ დღეს ოპოზიციას კრიტიკის ნაკლებ საფუძველს ვაძლევთ. მე პირადად ყოველთვის ვცდილობ, ოპოზიციის გამოსვლას ყური მივადევნო, რომ გონივრული, საღი აზრი და სამართლიანი შენიშვნა არ გამომეპაროს. ყველა ნორმალურ ქვეყანაში და ყველა ნორმალურ პარლამენტში განსხვავებულ აზრს უსმენენ და პატივს სცემენ.

რამდენიმე ხნის წინ დავიწყე ინდივიდუალური შეხვედრები დეპუტატებთან. სამწუხაროდ, ჯერ ყველა დეპუტატს ვერ შევხვდი.. მინდა, ყველა დეპუტატთან ძალიან კონსტრუქციული თანამშრომლობა მქონდეს. მათ პრობლემა არ უნდა შეექმნათ, განსხვავებული აზრი გამოთქვან ან კითხვა დასვან. ყველანაირად ვცდილობ, რომ პარლამენტში კონსტრუქციული და თანამშრომლური ატმოსფერო შევქმნა და კულუარული ინტრიგები მაქსიმალურად აღვკვეთო.

**- ვრცელდება ხმები, რომ პარლამენტის თავმჯდომარე საკუთარი ფრაქციის შექმნას აპირებს, რამდენად რეალურია ეს მოსაზრება?**

- კიდევ ვრცელდება ეს ხმები? ეს ძველი ჭორია. ჩემი მხრიდან ასეთი პირველი ნაბიჯი ნამდვილად არ გადაიდგმება. მე ვარ პარლამენტის თავმჯდომარე და ჩემი მთავარი ამოცანაა, მოხდეს პარლამენტის კონსოლიდაცია, მოხდეს უმრავლესობის კონსოლიდაცია. როგორც უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, მხარში უნდა დავუდგე იმ რეფორმებს, რასაც პრეზიდენტი ატარებს.

ასე რომ, ეს ჭორები ნამდვილად ყველანაირ საფუძველს მოკლებულია. მიხარია, რომ ის ადამიანები, რომლებიც პარლამენტში ე.წ. ბურჯანაძის კვოტით მოხვდნენ, კარგად თანამშრომლობენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებთან, დემოკრატებთან, მაჟორიტარ დეპუტატებთან. მიხარია, რომ ამ ადამიანებზე, მათ ინტელექტზე, კვალიფიკაციაზე, უმეტესად, პოზიტიური აზრია. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მე ყველანაირად ვცდილობ, რომ ეს ადამიანები სხვა დეპუტატებთან ერთად ერთიან ჯგუფს წარმოადგენდნენ.

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ავტომობილი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა




## კინოთეატრები

**"რუსთაველი"**
"სპარტანელი"
დას: 14:30; 19:30; 22:00 სთ.

"ადამიანი ობობა 2"
დას: 17:00 სთ.

## გამოფენები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ უნიკალურ ექსპონატთა ასლების გამოფენა
I დარბაზი

ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა
II დარბაზი

**TMS**
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**"ძველი გალერეა"**
ალი ასლანიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**"ორიენტი"**
ჟურნალ არტ-მარკეტის" საპრეზენტაციო გამოფენა

**"ქარვასლა"**
მამუკა ცეცხლაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ჰობი"**
გამოფენა "კალეიდოსკოპი"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ირინა რაზმაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# შემოდგომაზე - რუსეთის კულტურის დღეები

თამარ სუხიშვილი

რუსეთის ფედერაციის სამუშაო ჯგუფის ოთხდღიანი ვიზიტი დასრულდა. დღეს ჩვენი სტუმრები - რუსეთის კულტურისა და კინემატოგრაფიის ფედერალური სააგენტოს თანამედროვე ხელოვნების სამმართველოს უფროსის მოადგილე ალექსანდრ ზავოლოკინი და რუსეთის სახელმწიფო საკონცერტო კომპანია "სოდრუჟესტვოს" გენერალური მდივნის მოადგილე ანატოლი პილიუგინი მოსკოვში გაემგზავრნენ. თბილისში მათ დატოვეს ხელმოწერილი დოკუმენტი - ოქმი, რომლის თანახმადაც წელს ოქტომბერში ჩვენს დედაქალაქში რუსეთის კულტურის დღეები ჩატარდება.

ამის შესახებ გუშინ საღამოს კულტურის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ, რომელსაც ალექსანდრ ზავოლოკინთან და ანატოლი პილიუგინთან ერთად რუსეთის ელჩი საქართველოში - ვლადიმერ ჩხიკვიშვილიც ესწრებოდა. დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

"მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ რუსეთის მხარე სერიოზულად ემზადება რუსეთის კულტურის დღეებისათვის. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში," - ამბობს კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილი.

"მოხარული ვარ, რომ დიდი შესვენების შემდეგ თბილისში რუსეთის კულტურის დღეები გაიმართება. კულტურული კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის ყოველთვის არსებობდა და ეს კონტაქტები მომავალშიც გაგრძელდება. დიდი იმედი მაქვს, რომ პროფესიონალი ქართველი მაყურებელი ამ ღონისძიებით კმაყოფილი დარჩება," - განაცხადა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა.


*ვლადიმერ ჩხიკვიშვილი, ალექსანდრ ზავოლოკინი და გიორგი გაბაშვილი კულტურის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე.*

კონკრეტიკა ჯერ ნაადრევია. ამგვარი ღონისძიებების დაგეგმვას, როგორც წესი, თავისი ეტიკეტი აქვს და, შესაბამისად, დეტალებს ცოტა მოგვიანებით გავიგებთ. თუმცა, როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე დაგვპირდნენ, ორგანიზატორები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ რუსული კულტურა მთელი თავისი სილამაზითა და ხიბლით წარდგეს ქართველი მაყურებლის წინაშე.

"ცოტათი მაინც ავხდი ფარდას საიდუმლოს," - გვითხრა ალექსანდრ ზავოლოკინმა და იმ სავარაუდო ღონისძიებათა ნუსხა გაგვაცნო, რასაც ოქტომბრის თვეში უნდა ველოდეთ: თეატრალური კოლექტივების წარმოდგენები, მხატვრულ-დოკუმენტური ფოტოხელოვნების, დეკორატიული და აქტუალური ხელოვნების ("რუსეთი დღეს" - რაც უდავოდ დააინტერესებს ქართველ დამთვალიერებელს) გამოფენები, კინოჩვენება, შესაძლოა, ბოლო 20 წლის მანძილზე გადაღებული რუსული კინოფილმების რეტროსპექტივაც (კინოჩვენების მოწყობა ჩვენი კულტურის მინისტრის იდეა იყო), კონცერტები და სხვა. სტუმრებმა ის სივრცეც მონიშნეს, სადაც კულტურის დღეების პროგრამა გაიშლება - "სარდაფი", თუმანიშვილის თეატრი, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი, "ქარვასლა" და კონსერვატორია ("შესანიშნავი დარბაზით, კარგი აკუსტიკით და მშვენიერი რექტორით" - ეს სტუმართა შეფასება გახლავთ).

რუსეთის კულტურის დღეები თბილისში ერთ კვირას გასტანს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე სტუმრების მისამართით ასეთი შეკითხვაც დაისვა: ხომ არ დაუკავშირდება რუსეთის კულტურის დღეები პუტინის ვიზიტს საქართველოში. ვფიქრობთ, რომ დაუკავშირდება, - იყო პასუხი.

## Golden Star-ზე მოპოვებული მეორე ადგილი

### ანრი ჯოხაძე გრან-პრის მოლოდინში

მაია მამულაშვილი

2000 წ. ვლადიკავკაზის საერთაშორისო ფესტივალი - გრან-პრი.

2003 წ. ბულგარეთის საერთაშორისო ფესტივალი - გრან-პრი.

2004 წ. ასტანი - გრან-პრი.

2004 წ. რუმინეთის საერთაშორისო ფესტივალი Golden Star - ჩვენდა გასაკვირად, მეორე ადგილი.

"Golden Star-2004" რიგით 31-ე და ანრი ჯოხაძისთვის მერვე საერთაშორისო ფესტივალი იყო, რომელიც 21-27 ივლისს რუმინეთის ქალაქ ბრაშოვში მიმდინარეობდა. პირველად ფესტივალის ისტორიაში მონაწილეობა მიიღო ქართველმა შემსრულებელმა, რომელიც პროდიუსერულმა და ივენთ კომპანიამ "5 Lines Production-მა წარადგინა.

სასტუმრო "დავითში" გამართულ პრესკონფერენციაზე გაირკვა რუმინელთა უპირატესობები. ფესტივალზე 24 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. 28 კონკურსანტიდან 4 რუმინელი იყო. გარდა ამისა, ისინი ყველა სიმღერას ბენდის თანხლებით ასრულებდნენ, რაც საშუალებას აძლევდათ, მაქსიმალურად გამოევლინათ საკუთარი შესაძლებლობები.

ანრი ჯოხაძე: "ჩემი "იუმორესკა" რომ ორკესტრის თანხლებით მემღერა, გაცილებით მეტი ეფექტი ექნებოდა. ჩვენი აზრით, გრან-პრი უნდა აგვეღო, მაგრამ იყო რაღაც პოლიტიკური მიზეზები".

სად პოლიტიკა და სად ხელოვნება?

საქმე ისაა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ქვეყნად თვლიან, რაც ხშირად ხელს უშლიდა ქართველი შემსრულებლის არა მარტო გამარჯვებას, არამედ ფესტივალში მონაწილეობასაც.

პროდიუსერული და ივენთ კომპანია "5 Lines Production" 4 წელი აწარმოებდა მოლაპარაკებას, რომ "Golden Star"-ზე მონაწილეობა მიეღო მრავალი ფესტივალის გამარჯვებულს ანრი ჯოხაძეს.

მომღერალმა ფესტივალზე ორი სიმღერა შეასრულა, რომელთაგან ერთი მოდერნიზებული კლასიკა "იუმორესკა" იყო. ეს ერთადერთი სიმღერაა, რომლითაც ქართველი მსმენელი ანრი ჯოხაძეს იცნობს, რადგან "იუმორესკა" ხშირად ტრიალებდა სხვადასხვა ტელეარხზე.

მეორე სიმღერა რუმინული შლიაგერი იყო, რომელიც მან ქართულ ენაზე შეასრულა სათაურით "ნუ წახვალ". ეს თვითონ რუმინელებმა მოითხოვეს. სამი შემოთავაზებული სიმღერიდან ერთ-ერთი რეპიც იყო, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ქართველი შემსრულებელი პოპს მღეროდა.

ჟიურიში იყვნენ ევროვიზიის რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალის წარმომადგენლები, ასევე პროდიუსერები და ფესტივალების ორგანიზატორები.

მიუხედავად ფესტივალზე არსებული განსხვავებული განწყობის, მაყურებლის და თვით კონკურსანტების სიმპათიისა, ანრი ჯოხაძეს ფესტივალის პრეზიდენტმა მეორე ადგილი მისცა, რის გამოც მომღერალმა საჭიროდ არ ჩათვალა მათთვის მადლობის გადახდა.

სცენაზე გამოსვლამდე კონკურსანტების მინი-დოსიეები გააცნეს მაყურებელს. ანრი ჯოხაძის დოსიეში ნათქვამი იყო, თუ რა სასმელი და რომელი მომღერალი უყვარს და საერთოდ, არ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ეს ფესტივალი ანრისთვის რიგით მერვე იყო და მანამდე სამი გრან-პრიც ჰქონდა აღებული.

მიუხედავად საქართველოს მიმართ აშკარა არაკეთილგანწყობისა, "იუმორესკა" მაინც დაიტოვეს რუმინეთში და მას რამდენიმე პოპულარულ რადიოში დაატრიალებენ.

უმაღლესი მუსიკალური განათლების საშუალებით მან ყველანაირი ვოკალური შესაძლებლობები გამოავლინა და ჟიურის სიტყვები არ დაუტოვა აღფრთოვანების გამოსახატავად.

საქართველოში ნაკლებად პოპულარულმა ანრი ჯოხაძემ ჩვენს ქვეყანაში შემოქმედების დაუფასებლობაზე ისაუბრა და ამ განწყობით მიდის აგვისტოში ალმა-ატაში, ხოლო სექტემბერში - კრასნოდარში, ასევე საერთაშორისო ფესტივალზე.

წლის ბოლოს გამოვა საფესტივალო სიმღერების კრებული, სადაც, ალბათ, შევა ხორუმის ინტერპრეტაცია, რომელიც სოულის სტილშია და რომელზედაც მომღერალი ამჟამად მუშაობს.

# საფრთხე რეალურად დგას

ინგა ფორჩუა

ხელის ჩრდილების თეატრი "ბუდრუგანა-გაგრა", რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი კინორეჟისორი გელა კანდელაკი გახლავთ, სულ ახლახანს დაბრუნდა გერმანიიდან. თეატრი "ბუდრუგანა-გაგრა" 1996 წელს შეიქმნა. თუ რატომ, რა მიზნით გაემგზავრნენ ისინი გერმანიაში და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ბატონი გელა და აგრეთვე "ბუდრუგანა-გაგრას" დასის წევრებიც.



**- ბატონო გელა, რა მიზნით გაემგზავრეთ გერმანიაში?**

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების, ჰუმანიტარულ სპეციალობათა ფაკულტეტის ექსპერიმენტული კინოჯგუფის სტუდენტები გახლავან ხელის ჩრდილების თეატრის - "ბუდრუგანა-გაგრას" დასის წევრები, რომლებმაც მესამე კურსი დაასრულეს და DAAD-ის ფონდის დახმარებით საშუალება მიეცათ, გაცნობოდნენ გერმანიას, უფრო სწორად, შეხებოდნენ გერმანულ კულტურას. ისინი შეხვდნენ ბერლინის, მიუნხენის კინოსკოლის წარმომადგენლებს, აგრეთვე დრეზდენის სახვითი ხელოვნების აკადემიის სტუდენტებს. ეს იყო გამგზავრების ძირითადი მიზეზი. პარალელურად "ელიზაბეტ გასტის ფონდის" საშუალებით გავმართეთ სპექტაკლები: "დათუნიას თავგადასავალი", "სოფლის მაშენებლები" და დავდგით ბრუბეკის კომპოზიცია Take Five.

**- ვინ დაგაფინანსათ?**

- მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ DAAD-ის ფონდის დახმარებით მოხდა გერმანიაში ჩვენი გამგზავრება, მუზეუმების დათვალიერება, შეხვედრები ბერლინის, დრეზდენის, მიუნხენის კინოაკადემიის სტუდენტებთან. საკმაოდ დიდი დელეგაცია ვიყავით. დაფინანსებაში შედიოდა ხარჯები აეროპორტიდან აეროპორტამდე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიდი დახმარება გაგვიწია. პრინციპულად დიდი მონაწილეობა მიიღო და, ფაქტობრივად, გადაწყვიტა ეს საკითხი საერთაშორისო ფონდმა "ქართუმ", ასევე თანადგომა გაგვიწია "ექსპო-ჯორჯიამ", ბატონმა კახა გველესიანმა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ უფასოდ მოუმზადა ამ ახალგაზრდებს პასპორტები, გერმანიის საელჩომ უფასოდ გაუფორმა ვიზები და ასე შემდეგ. არ მინდა ვინმე გამომრჩეს. მოკლედ, რომ არა ამდენი ადამიანის თანადგომა, ალბათ, ვერც შევძლებდით გამგზავრებას, და მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მათ.

**- როგორ შეგხვდათ გერმანელი მაყურებელი?**

- სითბო, სიყვარული არ დაგვკლებია. რა ვიცი, გერმანელების მსგავსად, იმის ნახევარი სიყვარული აქ რომ ჰქონდეთ, კარგი იქნებოდა...


*გელა კანდელაკი და მისი დასი გერმანიაში.*

**- როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

- იცით, რა არის? მე არ მინდა ვიფიქრო, რომ ხდება ჩვენი მიზანდასახული იგნორირება. მე არ მომერიდება ვთქვა, რომ ეს ახალგაზრდები ხელოვნებაში სერიოზულ გზას ადგანან, პროფესიული მისწრაფებებით, პროფესიული სიღრმისაკენ.

**- ამის მიზეზი ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ხომ არ არის?**

- იცით რა, მე არ მჯერა, რომ ქვეყანაში ისეთი გაჭირვებაა, დავუშვათ, არ შეიძლებოდა, რომ ეს ყველაფერი დამდგარიყო სახელმწიფო ყურადღების ქვეშ. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ვისარგებლო და მივმართო ჩვენს ხელისუფლებას. ეს ახალგაზრდები არიან ფასიან ჯგუფში, რომელიც ფინანსდებოდა "შევარდნაძის ფონდიდან" და თუ სახელმწიფო მათ არ გადაურიცხავს თანხებს, 1 სექტემბრიდან ეს ახალგაზრდები შეიძლება ქუჩაში დარჩნენ.

**- კიდევ დგას ეს პრობლემა?**

- აბსოლუტურად რეალურად. მე არ ვიცი, ვის მივმართო, რა ვუთხრა. სუყველა ისეა დაკავებული... საფრთხე რეალურად დგას. მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რომ შესაძლებელია მოგვარდეს ეს საკითხი, თუ არადა, ჩვენ იძულებული ვიქნებით გავჩერდეთ.

**- ბატონო გელა, მოცარტის ფესტივალზეც იყავით მიწვეული. რატომ ვერ გაემგზავრეთ?**

- დიახ, მიწვეულები ვიყავით მოცარტის ფესტივალზე. ვერ გავემგზავრეთ უფინანსობის გამო. აქვე მინდა აღვნიშნო, ფონდმა - "ღია საზოგადოება - საქართველომ" საშუალება მოგვცა დაგვხმარებოდნენ ტექნიკით, გვაჩუქეს ციფრული ვიდეოკამერა, რომლითაც გადავიღეთ 16-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი ფილმი და გერმანიაში წავიღეთ. აგრეთვე შევძელით მოგზაურობის აღბეჭდვაც. სამომავლოდ ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოსგან" რაღაც დახმარების იმედი გვაქვს, რომ შევძლოთ ფეხზე წამოდგომა. ეს არის ფაქტობრივად აფხაზეთის კინოსტუდია. ისინი რომ მორჩებიან სწავლას, ალბათ, ერთ ჯგუფს კიდევ ავიყვანთ, სადაც იქნებიან მხოლოდ მსახიობები და ანიმატორები.

**- დასი ძირითადად აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებით ამის გამო დაკომპლექტდა?**

- აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდანაც ვაპირებდით ბავშვების შეგროვებას. მხოლოდ ერთი სამაჩაბლოელიც გვყავდა და ისიც გათხოვდა.

**- კმაყოფილი დაბრუნდით გერმანიიდან?**

- როცა ვლაპარაკობ კინოჯგუფზე, მინდა გითხრათ, ეს ჯგუფი ძალიან საინტერესოა. ეს ახალგაზრდები ეუფლებიან კინემატოგრაფიის ყველა პროფესიას. დავუშვათ, ეს ანიმატორია, ის რეჟისორია, ეს ასე არ ხდება. ეს შემდეგ მათი სურვილების და ნიჭის შედეგი იქნება, თუ მოხდება დიფერენცირება... მე შემიძლია გითხრათ ერთი რამ. ცხოვრებაში იშვიათად ვყოფილვარ კმაყოფილი რაღაცით. ამ შემთხვევაში კი შემიძლია გითხრათ, რომ გასტროლების მანძილზე ბედნიერი ვიყავი, ვხედავდი ჩვენი დასის ჩასვლამ, გერმანელი კოლეგების რაოდენ დიდი დაინტერესება გამოიწვია. ეს მათი პირველი გასვლა იყო უცხოეთში. შეხვედრები ევროპული დელიკატურობით იწყებოდა, შემდეგ დელიკატურობას ცვლიდა თავისუფალი, აღფრთოვანებული დამოკიდებულება ჩვენი ჯგუფისადმი... მიხარია, რომ ძალიან საინტერესოდ და კარგად დაგვამახსოვრდა გასტროლები.

**- საინტერესოა, თეატრი "ბუდრუგანა-გაგრას" წევრებს როგორ დაამახსოვრდათ გასტროლები.**

**შოთა თურქია:** იქ ჩასვლით უფრო დავრწმუნდი, რომ საოცრად პუნქტუალური, წესრიგის მოყვარე ხალხია გერმანელები; განსხვავებულად მოწესრიგებული ხალხი. საქართველოში ნაკლებად შეხვდები მსგავსებას. საქართველოში ბევრ რამეს არ ექცევა სათანადო ყურადღება, დავკარგეთ სულიერება, მაღალი მოქალაქეობრივი შეგრძნება. საწყენია, მაგრამ უფრო გულგრილები გავხდით. მე პირადად ძალიან კმაყოფილი ვარ გასტროლებით.

**ინგა კუკულაძე:** მე ვიტყოდი, რომ იქ ყოფნით ჩემი ქვეყანა უფრო მომენატრა. მინდა ისეთივე გაღიმებული სახეები ვნახო საქართველოში, როგორსაც გერმანიაში ვხვდებოდი.

**ჯუმბერ თაკალანძე:** ძალიან სასიხარულო იყო გერმანიაში ჩვენდამი ოვაციები. მინდა იმავეს ვგრძნობდეთ ქართველი მაყურებლისგანაც. მახსოვს, სასტუმრო "მერიოტში" გვქონდა სპექტაკლები, ყველა ინსტანცია ინფორმირებული იყო. არავინ მოსულა. უბრალოდ, გულსატკენია. გერმანელები კი სპექტაკლის დასრულების შემდეგ გვეხვეოდნენ და არ გვშორდებოდნენ.

**ზურა ქვაჩახია:** მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენი თეატრი ერთადერთია საქართველოში, რომელიც არსებობს, მართლაც, ღვთის წყალობით. თავად ხედავთ, როგორ პირობებში გვიწევს მუშაობა. ჩვენი სიყვარული არჩეული პროფესიისადმი ჩვენი პედაგოგის ძალიან დიდი დამსახურებაა.

**პაატა შენგელია:** კულტურა ასაზრდოებდა სულიერებას. კვლავაც ასე იქნება. ჩვენი თეატრიც ამ სულიერების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ქვეყნის ხელისუფლებამ, რომელსაც აქვს პრეტენზია ვიყოთ კულტურული, ცივილიზებული ერი, ჩვენს თეატრს არ უნდა შეაწყვეტინოს სიცოცხლე. ვინატრე, გერმანელების მსგავსი დამოკიდებულება საქართველოშიც ყოფილიყო...

დაბოლოს, დღემდე ხელის ჩრდილების თეატრს - "ბუდრუგანა-გაგრას" საკუთარი შენობა არ გააჩნია. ისინი დროებით შეიკედლა თოჯინების სახელმწიფო თეატრმა. დროებით, მაგრამ უკვე რვა წელია, იქაურობას შემორჩნენ. საკმაოდ არაკომფორტულ პირობებში უწევთ მუშაობა, რეპეტიციები. და მაინც, რა ძალა აძლებინებთ? ალბათ, სიყვარული, რათა არჩეულ პროფესიას ბოლომდე უერთგულო.

ამერიკული ისტორია

# ამერიკული კინოს პირველი მეამბოხე

მაგდა ანიკაშვილი

"მეამბოხე მიზეზის გარეშე" პირველი ფილმია, სადაც გამოჩნდა გმირი, რომელიც ჯერ არ არის რევოლუციონერი, ჯერ არ დგას საპროტესტო დემონსტრაციაზე, მაგრამ მან ნამდვილად იცის, რომ არ უნდა დაემსგავსოს თავის მშობლებს. ის თვლის, რომ არ აქვს სახლი, იმ ადგილს კი, სადაც ცხოვრობს ზოოპარკს ეძახის. ის პირველი ახალგაზრდაა, რომელსაც ვერ უგებენ არა მხოლოდ მშობლები, არამედ თანატოლებიც კი და პირველია, ვინც გარბის სახლიდან. ამ გმირის როლი ამერიკული კინოს ლეგენდარულმა ვარსკვლავმა ჯეიმს დინმა შეასრულა. ისიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ფილმის რეჟისორი ნიკოლას რეია, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადამიანი იმ პერიოდის ამერიკაში. რეი ჰოლივუდში შეიძლება ითქვას შემთხვევით მოხვდა და სულ რამდენიმე, მაგრამ მნიშვნელოვანი ფილმი გადაიღო. მანამდე კი მოძრავ თეატრს ხელმძღვანელობდა და მთელი ქვეყანა შემოიარა. მან ხელახლა აღმოაჩინა, გამოიყენა და პოპულარული გახადა ინდიელების, ბოშებისა და ესკიმოსების ფოლკლორი. ხეტიალის დროს ის სვამს, იკეთებს ნარკოტიკებს, თავგადასავლებში ეხვევა, ერთი სიტყვით, ის ადამიანია, ვისაც შეუძლია გადაიღოს ფილმი მომავალ მეამბოხე თაობაზე, რადგან თავად უპირისპირდება იმ სამყაროს, რომელშიც ცხოვრობს.

50-იანი წლებიდან ნიკოლას რეი ახალგაზრდების საკულტო ფიგურა ხდება. საინტერესოა მისი ფილმები გადაღებული ვესტერნის ჟანრში, მათ შორის ყველაზე გახმაურებული "ჯონი გიტარა", სადაც პირველად ჩნდება ემანსიპირებული ქალი-კოვბოი, მსახიობ ჯოან კროუფორდის შესრულებით.

კინოკომპანია "უორნერ ბრაზერსმა" 1 მილიონ 500 ათასი დოლარი გამოყო ფილმის გადასაღებად. ჩაფიქრებული იყო მისი შავ-თეთრ ფირზე გადაღება, მაგრამ შემდეგ გადაწყდა "ა" კლასის ფილმის შექმნა, შესაბამისი დანახარჯითა და სარეკლამო კამპანიით, ამის გამო ფილმი ფერადი გახადეს. პროექტმა გაამართლა. კინოკომპანიამ დიდი მოგება ნახა, 1956 წელს ამერიკის კინოაკადემიამ ფილმს სამი "ოსკარი" გადასცა: მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის - სალ მინეოს, ქალის მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისათვის საუკეთესო - ნატალი ვუდს, საუკეთესო კინოსცენარისათვის - ნიკოლას რეის. ეს სცენარი რეიმ დოქტორ რობერტ მ. ლინდნერის სამეცნიერო ნაშრომის მიხედვით შექმნა, რომელსაც "მეამბოხე მიზეზის გარეშე" ეწოდებოდა და არასრულწლოვან დამნაშავეთა ჰიპნოანალიზსა და პრობლემებს ეხებოდა. თუმცა, ამბობდნენ, რომ კინოკომპანიას ამ ნაშრომის შეძენა უფრო სახელწოდების გამო მოუხდა, რომელიც რეის ძალიან მოსწონდა და არ ეთმობოდა, თორემ თავად ნაშრომი სცენარის წერისას თითქმის არ გამოუყენებია. ნიკოლას რეი თავადაც კარგად იცნობდა ლოს ანჯელესის ღამის ბანდების ცხოვრებას. გადაღებების დაწყების წინ განსაკუთრებით ხშირად დადიოდა ღამის ქალაქის ქუჩებში და ქუჩის ბიჭებს ხვდებოდა. მსახიობი ფრენკ მაზოლა, რომელიც ფილმში მთავარი გმირის ჯიმ სტარკის მოწინააღმდეგე გუნდის წევრს ასრულებს, მართლაც იყო ლოს ანჯელესის ერთ-ერთი ბანდის წევრი და სწორედ მან ასწავლა ჯეიმს დინს ჩხუბში დანის ხმარება.

ფილმის პირველივე ეპიზოდში ჩნდება სამი მთავარი გმირი და მათი პრობლემები. აღდგომას, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა სადღესასწაულო მეჯლისზე ერთობა ან ოჯახში აწყობს ზეიმს. სამი ახალგაზრდა პოლიციის განყოფილებაში ხვდება. ჯუდი (ნატალი ვუდი), რომელიც მამას ეჩხუბა და სახლიდან გაიქცა, ჯონი (სალ მინეო), რომელმაც რევოლვერით ლეკვები დახოცა და ჯიმ სტარკი (ჯეიმს დინი), რომელიც მთვრალი ეგდო ქუჩაში. სამივე გმირს ოჯახური პრობლემები აქვს.

ამ ფილმმა, რომელიც ერთი შეხედვით ასაკობრივ პრობლემებს ეხება სულ სხვა მნიშვნელობა შეიძინა ეკრანზე გამოსვლისთანავე. მასში თითქოს მთავარი უფროსებისა და უმცროსების დაპირისპირებაა. თემა, რომელიც საერთოა ყველა დროისა და ქვეყნისთვის, რომელიც თავადვე გვარდება, როგორც ამბობს ჯიმის მამა: ათი წლის შემდეგ მოიხედავ და ყველაფერი სხვაგვარად მოგეჩვენებაო ან ჯუდის დედინაცვალი: ყველაფერი ასაკის ბრალიაო, მაგრამ ბევრისთვის ეს ფილმი სულ სხვა შეტყობინების მატარებელი იყო. ახალგაზრდებმა საკუთარი პრობლემები დაინახეს, თავი ჯიმ სტარკთან გააიგივეს. მათაც ხომ ასევე მოსდიოდათ ჩხუბი მშობლებთან, ასევე ვერ უგებდნენ უფროსებსა და ერთმანეთს, ასევე იპარებოდნენ სახლიდან. საზოგადოებაში უკვე მწიფდებოდა პროტესტი, მთელი თაობა თითქოს დამუხტული იყო და ერთი სიტყვა ეკრანიდან, ერთი მინიშნება საკმარისი იყო იმისათვის, რომ მაყურებელს თავისი დასკვნები გამოეტანა. ამ ფილმშიც ამერიკის მოსახლეობამ ბევრად მეტი დაინახა, ვიდრე ზედაპირზე ჩანდა.

ამერიკულ კინოში 50-იანი წლებისთვის ჯერ კიდევ ძალაშია ჰეისის (უილიამ ჰეისი - კონომეწარმეთა და კინოგამქირავებელთა ასოციაციის მეთაური. 1927 წლიდან ჰოლივუდში გარკვეული თემატური აკრძალვები შემოიღო) კოდექსი, ადამიანისა რომელმაც გადაწყვიტა მორალის სადარაჯოზე დამდგარიყო და კინომოღვაწეებს აუკრძალა უცენზურო სიტყვების, სექსუალური სცენების და მთელი რიგი სხვა "საზოგადოებისათის ზიანის მომტანი თემების" გამოჩენა ეკრანზე. ჰეისის კოდექსი 1934 წელს შევიდა ძალაში და მას ჰოლივუდში 60-იან წლებამდე გულმოდგინედ იცავდნენ. არადა, საზოგადოებაში არსებობს და გროვდება გრძნობები, რომლებიც მინიშნებების სახით ეკრანზე იპარება და მაყურებელიც ნახევარი სიტყვით იგებს ყველაფერს. ასეთ აკრძალულ თემებშია მოხვედრილი ჰომოსექსუალიზმი. ჰომოსექსუალები ეკრანზე ჩანან, როგორც მასხარები, რომლებზეც უნდა იხარხაროს მაყურებელმა, გადაჭარბებული მანერულობით და ხაზგასმულად სტილიზებულნი, ჩნდებიან მხოლოდ ეპიზოდებში, როგორც პაუზის შესავსებად გამოყვანილი ჯამბაზები და არც ერთ შემთხვევაში, როგორც ადამიანები, მთავარი გმირები, რომელთა ცხოვრებაზეც შეიძლება ფილმის გადაღება. სწორედ ამის გამო, მაყურებელთა გარკვეული ნაწილისათვის ძალიან საყურადღებო გახდა ჯიმ სტარკისა და მისი უმცროსი მეგობრის ჯონის ურთიერთობა. ერთი შეხედვით, ეს უმცროსი ბიჭის მიერ უფროსი მეგობრის თაყვანისცემაა, თუმცა მაყურებელი აშკარა სექსუალურ ლტოლვას ხედავდა ეკრანზე. ერთი არ გამორიცხავს მეორეს, ხშირად განსხვავებული ასაკის ბიჭების მეგობრობას უდევს კიდეც საფუძვლად ასეთი ლტოლვა, უბრალოდ ამაზე საუბარი არ არის მიღებული. ჯონის დამოკიდებულება ჯიმ სტარკის მიმართ კარგად ჩანს მის ქცევასა და საუბარში. ეს მართლაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მეგობრობა. იმ ადამიანებისათვის კი, რომლებიც იძულებულნი იყვნენ თავიანთი გრძნობები და პირადი ცხოვრება დაემალა საზოგადოებისათვის, ეკრანზე საკუთარი თავის დანახვა მართლაც მნიშვნელოვანი იყო. თუმცა ფილმის ასეთი გააზრებისათვის გადამწყვეტი ალბათ მთავარი როლის შემსრულებლი ჯეიმს დინის ფიგურა გახდა.



დღეს ჯეიმს დინის ცხოვრება მითია, რომელშიც ძნელია გაარჩიო, რა არის სიმართლე და რა არა.

## ფერმერი ბიჭი

ჯეიმს დინი ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი და ამავე დროს საიდუმლოებით მოცული მსახიობია. ასეთი ადამიანების შესახებ ცხოვრებაში ქმნიან ლეგენდებს და რა გასაკვირია, რომ დღეს დინის ცხოვრება მითია, რომელშიც ძნელია გაარჩიო რა არის სიმართლე და რა არა. მისი ბიოგრაფია არა ერთხელ დაიწერა და არა ერთი მსახიობი მოგვიანებით აღიარებდა თუ იბრალებდა მის მეგობრობას ან საყვარლობას, როგორც ქალები, ისე მამაკაცები. უკვე გარდაცვლილ კერპთან ნებისმიერი კავშირი დიდ პატივად ითვლებოდა, განსაკუთრებით კინოკარიერის დასაწყისში. საოცარია, რომ მან სულ სამ ფილმში ითამაშა და მაინც უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. თუმცა, ერთს ყველა აღიარებს - ჯეიმს დინს ძალიან ბევრი რამ ჰქონდა საერთო თავის გმირთან ფილმიდან "მეამბოხე მიზეზის გარეშე" და სწორედ ასეთი დარჩა ის მაყურებლის ხსოვნაში.

ეს მსგავსება, პირველ რიგში, ოჯახურ პრობლემებში გამოიხატებოდა. დინი ადრე დაობლდა, მამა მეორედ დაქორწინდა და ბიჭმა ფაქტობრივად ისიც დაკარგა. ის ჯერ ერთ ნათესავთან გადადის საცხოვრებლად, შემდეგ მეორესთან და ასე მოგზაურობს, სანამ მართლაც მზრუნველ გამზრდელებთან არ ხვდება. მას არასდროს ავიწყდება ის ფერმა, სადაც დედასთან ერთად ცხოვრობდა, იზრდებოდა, ისე, როგორც პროვინციული ამერიკის ათასობით ბიჭი. ჯეიმს დინის უსაზღვრო პოპულარობას ხშირად იმითაც ხსნიან, რომ ის თითქოს ჩვეულებრივი იყო, არაფრით გამორჩეული ფერმაში გაზრდილი სხვა მოზარდებისგან და ეს მატებდა ხიბლს, აძლევდა საშუალებას მილიონობით ადამიანს საკუთარი თავი ამოეცნო მის გმირებში.

ჯეიმს დინის დაღუპვამდე ერთი თვით ადრე გადაღებული უკანასკნელი ფოტოსერია სწორედ ამ მშობლიურ ფერმაში გაიმართა. ცნობილმა ფოტოგრაფმა დენის სტოკმა სუპერმარსკვლავი ბავშვობის ადგილებში ჩაიყვანა და დავალება მისცა ისეთი იერი მიეღო, თითქოს ეთხოვებოდა იქაურობას. დინმა კარგად გაართვა თავი ამ ამოცანას, რაც ცოტა ხანში სიმართლეც გახდა.

დინმა მსახიობობა ადრევე გადაწყვიტა. თამაშობდა სკოლის, კოლეჯისა და უნივერსიტეტის სცენებზე. პედაგოგები მას აქებდნენ და თან ამატებდნენ: ზედმეტად ლამაზია, ბიჭის პირობაზეო. ნიუ იორკში ლი სტრასბერგის სტუდიის დასრულების შემდეგ კომპანია "უორნერ ბრაზერსი" თანამშრომლობას იწყებს დინთან. პირველი ფილმი "სამოთხის აღმოსავლეთით" ჯონ სტეინბეკის რომანის მიხედვით რეჟისორმა ელია კაზანმა გადაიღო. ჯეიმს დინს განსაკუთრებული თამაშის მანერა აქვს. ის ძალიან ექსპრესიულია, ემოციებს ვერ მალავს გადასაღებ მოედანზე. მას არ შეუძლია ორი ერთნაირი დუბლის გაკეთება, მუდმივად ცვლის რეპლიკებს. ელია კაზანი კმაყოფილია და დინს იმპროვიზაციის საშუალებას აძლევს, მაგრამ პარტნიორების უმრავლესობას მისი ქცევის თავისუფალი სტილი აღიზიანებს და დისკომფორტს უქმნის. ამის გამო მსახიობი არაერთ პრობლემას აწყდება.

პირველივე ფილმი წარმატებული აღმოჩნდა. ჯეიმს დინს ქუჩაში ცნობენ, ავტოგრაფებს ართმევენ და თინეიჯერი გოგონები მასზე შეყვარებულნი არიან. კინოკომპანიამ გადაწყვიტა მისგან ვარსკვლავი გაეკეთებინა და შესაბამისად ძლიერი ჰეტეროსექსუალის იმიჯის შექმნაზე დაიწყო ზრუნვა. მისი ფოტოები პოპულარულ ჟურნალებში იბეჭდება, გოგონები ჭკუას კარგავენ, დინს კი ამ დროისთვის უკვე გარკვეული ჰქონდა თავისი სექსუალური ორიენტაცია, რომლის აფიშირება მისი კარიერის დასრულების ტოლფასი იქნებოდა. არჩევენ ოფიციალური მეგობარი გოგონას კანდიდატურას - ეს იტალიური წარმოშობის დამწყები ვარსკვლავი ანა მარია პერანჯელია. წყვილი ჩნდება ფოტოებზე და ჟურნალისტებს პირადი ცხოვრების დეტალებს და სამომავლო გეგმებს უყვება. მათი ნაცნობები კი მოგვიანებით აღიარებენ, რომ ეს ურთიერთობა წმინდა პლატონური იყო. ოფიციალური მეგობრის ადგილს მალე ჰოლივუდის სექს-სიბოლო ურსულა ანდრესიც დაიკავებს, მაგამ ჯეიმს დინს სხვა, საზოგადოებისათვის უცნობი პირადი ცხოვრება აქვს, რომელიც დღეს სკანდალების მოყვარული ადამიანებისათვის ძალიან საინტერესოა. იწერება ვერსიები იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდა ჯეიმს დინი ჰოლივუდის ჰომოსექსუალური მაფიის საშუალებით როლების მიღებას, თუ რა განურჩეველი იყო ის პირად ურთიერთობებში, ხშირად მას ძალადობრივი სექსისადმი მიდრეკილებებს მიაწერენ. ანდერგრაუნდის რეჟისორი კენეტ ენგერი ცნობილ წიგნში "ჰოლივუდის ბაბილონი". წერს, რომ დინს მის წრეში მეტსახელიც კი ჰქონდა "ადამიანი-საფერფლე" (სავარაუდოდ, ამის გამო სკულპტორ უილიამ ფოქსს სურვილი ჰქონდა ჯეიმს დინის საფერფლის ფორმის ქანდაკება შეექმნა მას ხელში სიგარეტი უნდა სჭეროდა, ფეხებით კი საფერფლის კიდეს უნდა შემოხვეოდა. ეს იდეა მსახიობის სიკვდილის გამო ვერ განხორციელდა).

მართალია, ასეთი ფაქტები დღესაც მხოლოდ ვერსიებისა და ჭორის დონეზეა ცნობილი, მაგრამ მაყურებელი თავიდანვე ხედავდა ჯეიმს დინში რაღაც აკრძალულს და დამალულს. იცოდნენ, რომ მას ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. კონკრეტული არაფერი, მაგრამ ჯიმის გამორჩეული ენერგეტიკა ეკრანზე იპარებოდა და ახალგაზრდებზე მოქმედებდა. ცნობილია, რომ "სამოთხის აღმოსავლეთით"-ის პირველ დახურულ ჩვენებაზე პროდიუსერების მოთხოვნით ფილმიდან ამოიღეს სცენა, სადაც წელსზევით შიშველი დინი ლოგინზე ზის, რომელზეც მსახიობი რიჩარდ დავალისი წევს. პროდიუსერებს სცენა უხამსი მოეჩვენათ, თუმცა, ელია კაზანმა და ჯონ სტეინბეკმა აღიარეს, რომ ამგვარი არაფერი ჩაუფიქრებიათ. ეს ჯეიმს დინი აძლევდა კადრებს თავისებურ ელფერს. სწორედ ამის გამო გახდა ის მილიონობით ადამიანის კერპი. თუმცა, დინის საბოლოოდ მითად ქცევაში გადამწყვეტი როლი მისმა ტრაგიკულმა დაღუპვამ ითამაშა.

ჯეიმს დინის ყველაზე სერიოზული გატაცება ავტომობილი და რბოლა იყო. "მეამბოხე მიზეზის გარეშეს" გადაღების დასრულების შემდეგ აღებული ჰონორარით მან თავისი საყვარელი "პორშე-სფაიდერ-550" იყიდა. მესამე ფილმზე, "გიგანტზე" მუშაობა არ იყო იოლი. მას მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა რეჟისორ ჯონ სტივენსონთან, რომელიც ვერ იტანდა ჯიმის იმპროვიზაციული თამაშის მანერას. სამუშაო დღის დასრულების შემდეგ დაღლილი ჯეიმს დინი ლოს ანჯელესის ტრასებზე დაქროდა ახალი მანქანით, ისვენებდა და ხასიათზე მოდიოდა. 1955 წლის 30 სექტემბერს ის ავტოკატასტროფაში დაიღუპა და ეს არანაკლები შოკი იყო ამერიკისთვის, ვიდრე მერლინ მონროს სიკვდილი.

24 წლის ვარსკვლავის ამგვარი სიკვდილი მარადიული დიდების გარანტი გახდა, "მეამბოხე მიზეზის გარეშეს" მანქანებით შეჯიბრის სცენამ კი, სულ სხვა დატვირთვა მიიღო. ჯეიმს დინი ლეგენდად იქცა, მისი ცხოვრება, საუბრისა და ქცევის მანერა, ჩაცმის სტილი, ცისფერი ჯინსის შარვალი, რომელიც მან პირველმა ჩაიცვა და მოდური გახადა, ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის დიდი ნაწილისათვის. ჯეიმს დინი იმ ეპოქის კინოს პირველი მეამბოხეა. სულ რაღაც ათ წელიწადში ის იმ თაობის გმირიც გახდა, რომელმაც უკვე გააცნობიერა ამბოხის მიზეზი, აღარ მოერიდა მშობლების და ხმამაღლა თქვა სათქმელი.

# ენდრიუ ლოიდ ვებერი მორიგი მყვირალა პროექტით

"მოჩვენება ვეგასში მიდის" - "ნიუ იორკ ტაიმსის" წერილი ამ სათაურით ანომალიის გვერდშიც შეიძლება დაბეჭდილიყო, მაგრამ როცა პირველივე სტრიქონებში ენდრიუ ლოიდ ვებერის სახელი გამოჩნდა, საკითხს მაშინვე ნათელი მოეფინა. ჟურნალისტმა ჯესი მაქინლიმ ვებერის მოჩვენება იგულისხმა, მოჩვენება, რომელიც ოპერაში ბინადრობს.

მოკლედ, მაშინ, როცა თბილისს ბული ასდის და ინტერნეტით უცხოური პრესის გადათვალიერება კიდევ უფრო კომფორტული ჰობი ხდება, "ნიუ იორკ ტაიმსი" ბრიტანელ იმპრესარიოზე მოგვითხრობს; იმპრესარიოზე, რომელმაც ბროდვეიზე ხან მომღერალი კატები ათამაშა, ხან მფრინავი შანდლები და ხან სხვა სპეც-ეფექტებით ააჭრელა იქაურობა. ამჯერად ის კიდევ ერთი მყვირალა ჩანაფიქრს ავრცელებს პრესაში და აცხადებს, რომ მალე ყველა დროის უძვირეს თეატრალურ დადგმას გააკეთებს: თავის ბლოკბასტერ მიუზიკლს "მოჩვენება ოპერაში" ლას ვეგასში წაიღებს და პროექტის გადაკეთებას 35 მილიონ დოლარს დაახარჯავს.

დადგმის თანაპროდიუსერი კომპანია "ქლეარ ჩანელ ინთერთეინმენთია", რომლის წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ ახალი "მოჩვენება" დაახლოებით 90 წუთს გასტანს, და მისი პრემიერა 2006 წლის დასაწყისში, სასტუმრო "ვენეციელის" ახალ, 30 მილიონ დოლარად აშენებულ თეატრში გაიმართება.

ეჭვიც არავის ეპარება, რომ პროექტი ფინანსურად წარმატებული იქნება. "მოჩვენებამ" ხომ 1986 წლიდან - ლონდონში პრემიერის დღიდან, დღემდე 3.2 მილიარდი დოლარის მოგება ნახა. ახლა კი ის ბროდვეისა და ლონდონის სცენებთან ერთად, უკვე ლას ვეგასშიც გაართობს კაზინოში სათამაშოდ ჩასულ ტურისტებს.

"ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა ძალა აქვს უნივერსალურ და მომგებიან ბრენდს. ჩვენ იმასაც კარგად ვხედავთ, რომ მთელ ჩრდილოეთ ამერიკაში გართობის ბიზნესისთვის ლას ვეგასი მეორე უდიდეს ცენტრად იქცა ნიუ იორკის შემდეგ. ამიტომ, გვგონია, რომ ლას ვეგასი და "მოჩვენება" მართლაც არაჩვეულებრივი წყვილია", - აცხადებს "ქლეარ ჩანელის" თეატრალური განყოფილების ხელმძღვანელი სკოტ ცაიგერი.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბროდვეიდან ლას ვეგასში ბლოკბასტერი მიუზიკლის ექსპორტირება პირველად არ ხდება. ახლახან, ივლისში ვეგასში ჩასვლის შესახებ "ტონის" მფლობელი მიუზიკლის Avenue Q-ს პროდიუსერებმაც განაცხადეს. მანამდე კი, ჯერ კიდევ 1999 წელს, ლას ვეგასის პუბლიკა მიუზიკლით "ჩიკაგო" იქცევდა თავს, შარშან კი - "მამა მიათი!" - ABBA-ს რეპერტუარზე შექმნილი მიუზიკლით.

"მოჩვენება" ვეგასში არც თავად ვებერისთვის იქნება პირველი სტუმრობა. 90-იან წლებში კაზინოების ქალაქში მან 1984 წელს გაკეთებული მიუზიკლი "სთარლაით ექსპრესიც" ჩაიტანა და ის სასტუმრო "ჰილტონის" დარბაზში მთელი ოთხი წლის განმავლობაში თამაშდებოდა.

ასე რომ, განცხადება - "მოჩვენება ვეგასში მიდის" მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ეს ვოიაჟი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმასაც, რომ ბროდვეი და ლას ვეგასი სულ უფრო დიდი მეგობრები ხდებიან. ამას თავისი მიზეზები აქვს. აი, რას ფიქრობს თეატრებისა და პროდიუსერების ამერიკული ლიგის პრეზიდენტი ჯედ ბერნშტეინი:

"კაზინოში მოთამაშეებს ყველგან, ყველა ქალაქში ერთნაირად მაღალი დონის მომსახურებას სთავაზობენ. ბოლოს და ბოლოს, თვითონ თამაშის პროცესიც ყველგან ერთნაირია. ამიტომ სასტუმრო-კაზინოები თავიანთი ბრენდის ექსკლუზიურობის საჩვენებლად რას აღარ აკეთებენ. თუმცა, ინდივიდუალურობის შენარჩუნებაში მათ ყველაზე მეტად მაინც გასართობი შოუები ეხმარება. ამიტომაც ბროდვეი კაზინო-სასტუმროებისთვის პოპულარული და მომგებიანი ვალუტა ხდება".

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვალუტა "მოჩვენებაა". მას "ინფლაციისგან" ენდრიუ ლოიდ ვებერი იცავს. ავტორი იმედოვნებს, რომ განახლებულ ბლოკბასტერ მიუზიკლს ლას ვეგასში ყოველწლიურად ჩასული 35 მილიონი ტურისტის სოლიდური ნაწილი ნახავს.



"კატები" ენდრიუ ლოიდ ვებერის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მიუზიკლია.

პროდიუსერებიც დიდ ფინანსურ მოგებას ელიან. 90-წუთიანი სპექტაკლი ხომ კვირაში შესაძლოა, ათჯერაც გაიმართოს (როცა ბროდვეიზე ტრადიციულად მხოლოდ კვირაში რვა სპექტაკლი ტარდება ხოლმე). ბილეთის ფასი კი, ალბათ, ბროდვეისასაც გადააჭარბებს - იქ სპექტაკლის ნახვა ას დოლარამდე ჯდება. მოგების გარანტი იქნება ისიც, რომ ლას ვეგასში ე.წ. "კაზინოების კონტრაქტით" მომუშავე მსახიობები გაცილებით უფრო ნაკლებ გასამრჯელოს იღებენ, ვიდრე იგივე როლებში ბროდვეიზე.

პროექტისთვის ერთადერთ ბარიერად შეიძლება თვითონ მიუზიკლის პოპულარობა იქცეს. "მოჩვენება" ხომ ნიუ იორკში 1988 წლის შემდეგ მუდმივად თამაშდება (ვებერის "კატების" შემდეგ ის ბროდვეიზე მეორე ადგილზე იმყოფება უწყვეტი დადგმების რაოდენობით), დადგმულია 110 ქალაქში, 20-მდე ქვეყანაში და 65 ათასზე მეტ წარმოდგენას ითვლის. ახლაც "მოჩვენება" იდგმება ნიუ იორკში, ლონდონში, ბუდაპეშტში, შტუტგარდტსა და სამხრეთ აფრიკაში.

ახლა რაც შეეხება საწარმოო ფასს. როგორც წესი, ბროდვეის მიუზიკლების გაკეთება 10 მილიონი დოლარი ღირს. ამ ეტაპზე უძვირესთა შორის უძვირესად "მეფე ლომი" ითვლება, რომლის დადგმაც 20 მილიონი დოლარი დაჯდა. თუმცა, როგორც "მოჩვენების" პროდიუსერები გვპირდებიან, მათი განახლებული სპექტაკლი ფინანსური თვალსაზრისით გაცილებით უფრო მასშტაბური იქნება.

ასეთი ამბებია ლას ვეგასში. თბილისი კი კვლავაც გრანდიოზული კულტურული პროექტების გარეშე იხუთება; და იხუთება არა მარტო სიცხით...

მოკლედ

## ვიეირა მოხიბლეს



მადრიდის "რეალმა", როგორც იქნა, მოხიბლა "არსენალის" ფრანგი საყრდენი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა და პირადი კონტრაქტის პირობებიც კი გაახმაურა. ახლა "რეალს" ლონდონის "არსენალთან" სატრანსფერო თანხასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმართვა მოუწევს. ამრიგად, დაპირებული უეინ რუნის ნაცვლად, "სამეფო კლუბის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა პატრიკ ვიეირა მიიწვია.

შეგახსენებთ, რომ "რეალი" სულ სხვა მიმართულებით იმზირებოდა და ვიეირასადმი ინტერესი ახლახან გაუღვივდა, მაგრამ ფრანგი ნახევარმცველის გადასაბირებლად ის უკვე მოლაპარაკებას იწყებს. ამის შესახებ ესპანური "მარკა" იუწყება. შეგახსენებთ, რომ პერესი, მას შემდეგ, რაც "რეალის" პრეზიდენტი გახდა, ყოველ წელიწადს უმაღლესი კლასის თითო ფეხბურთელს იძენს "რეალისთვის".

ყველაფერი კი ლუიშ ფიგუთი დაიწყო. მის შემდეგ "რეალის" თეთრი მაისურა ზინედინ ზიდანმა, რონალდომ და დევიდ ბექჰემმა მოირგეს. ყველა ამ შემთხვევაში ესპანელები ჯერ თავად ფეხბურთელზე გადიოდნენ. მას მაღალფასიანი კონტრაქტებით ხიბლავდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდნენ მათ კლუბებთან მოლაპარაკებებს. პერესმა კი, მას შემდეგ, რაც "რეალის" პრეზიდენტის პოსტზე ახალი ვადით აირჩიეს, გულშემატკივრის წინაშე პირობა დადო, რომ ახალ სუპერვარსკვლავს გადაიბირებდა.

იმის შესახებ, რომ "რეალი" ფრანგი ნახევარმცველით დაინტერესდა, ამას წინათ კლუბის სპორტულმა დირექტორმა ემილიო ბუტრაგენიომ განაცხადა. "ეს ფეხბურთელი, მართლაც, ძალიან გვაინტერესებს. უფრო მეტიც, ვიეირა გუნდისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ასეთი ფეხბურთელის გადაბირება ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ, ვფიქრობ, კვირის ბოლოსთვის ყველაფერი გადაწყდება", - განაცხადა ემილიო ბუტრაგენიომ.

შეგახსენებთ, რომ ამ სატრანსფერო დერეფნის პერიოდში "რეალმა" "რომადან" უკვე გადაიბირა არგენტინელი ვალტერ სამუელი. ამ ტრანსფერზე პერესმა 25 მილიონი ევრო დახარჯა. უძლიერესი შეტევითი ხაზის მიუხედავად, "რეალს" დაცვასა და ნახევარდაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს. ვიეირა კი სწორედ ის ფეხბურთელია, რომელსაც შეუძლია, ამ რგოლებს სოლიდურობა შესძინოს.

## რონალდო ცოლს ირთავს

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო მორიგ ქორწინებას აპირებს. ამჯერად მისი რჩეული MTV-ის კეკლუცი წამყვანი დანიელა სიკარელია. აღსანიშნავია, რომ მილენა დომინგესთან გაყრის შემდეგ ერთი წელიწადიც არ გასულა. თუმცა, ამის მიუხედავად, რონალდო მზადაა, კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი გადადგას. ქორწინების ცერემონიალი გაიმართება პარიზში. წყვილი იმედოვნებს, რომ თავიდან აიცილებს ფანების მომაბეზრებელ ყურადღებას.

როგორც გახსოვთ, რონალდომ რიოში ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში მიიღო მონაწილეობა. სწორედ ამ დროს ემთხვევა ჭორები მათი რომანის შესახებ. მაშინ წყვილი არაერთხელ შენიშნეს სხვადასხვა რესტორანსა თუ თავყრილობაზე. ამის შემდეგ რონალდო საცხოვრებლად დანიელა სიკარელისთან გადავიდა. ისინი ერთად დარბოდნენ დილაობით, რაც აუცილებლად წაადგება მოსუქებულ რონალდოს.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლუშ ალბერტუ პარეირამ იხუმრა კიდეც, რომ ნაკრების ფეხბურთელებს ეს კავშირი მოსწონთ, რადგან რონალდოს ეს გამოადგება. "ვერც მკაცრი დიეტა და ვერც მუხლჩაუხრელი ვარჯიში რონალდოს ყოფილ ფორმას ვერ დაუბრუნებს. ერთადერთი, ვინც მას ფეხზე დააყენებს, დანიელაა", - განაცხადა პარეირამ.

არც პრესმდივანი და არც თანაშემწეები არ აღიარებენ, მაგრამ მეგობრები ამბობენ, რომ წყვილი უზომოდ შეყვარებულია. გასულ კვირას დანიელა ლისაბონში იყო, სადაც მორიგი პროგრამა ჩაიწერა. იქ ჩავიდა რონალდოც, რომელმაც უქმეები შეყვარებულთან გაატარა და ამის გამო კოპა ამერიკას ფინალი არგენტინასა და ბრაზილიას შორის გამოტოვა. თუმცა, მატჩის დასრულებისთანავე მან მეგობრებს დაურეკა და გამარჯვება მიულოცა.

## მსაჯი დაისაჯა

ბოლივიელი მსაჯი რაულ ანტიკეირა ორი თვით მოკვეთეს ფეხბურთიდან იმის გამო, რომ მან სათამაშო დროს 16 წუთი დაამატა. ანტიკეირამ ეს ბოლივიის ჩემპიონატის მატჩში გააკეთა და, ამას გარდა, სერიოზული შეცდომებიც დაუშვა.

ბოლივიური გაზეთების ცნობით, ეს "ბლუმინგისა" და "აურორას" მატჩის მსვლელობისას მოხდა. მატჩის ძირითადი დრო - 2:2 მთავრდებოდა, როცა მსაჯმა გადაწყვიტა, სამი წუთი დაემატებინა.

თუმცა, საფინალო სასტვენი 16 წუთის შემდეგ გაისმა. ამ ხნის განმავლობაში მასპინძელმა "ბლუმინგმა" კიდევ ორი გოლის გატანა მოახერხა. მათ შორის ერთი უაღრესად საეჭვო იყო. ნაკლები რეზონანსი არც იმან გამოიწვია, რომ მსაჯმა მეორე ტაიმის ბოლოს "ბლუმინგის" მცველი მინდვრიდან გააძევა და მასპინძელთა კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ახლა რაულ ანტიკეირა ორი თვით დაისვენებს.

## ფიშერს დეპორტაცია არ ასცდება

იაპონიის საიმიგრაციო სამსახურმა უარი უთხრა მსოფლიოს ექსჩემპიონს ჭადრაკში ბობი ფიშერს აპელაციაზე და მიიღო გადაწყვეტილება ფიშერის ქვეყნიდან დეპორტაციის შესახებ. შეგახსენებთ, რომ ფიშერი იაპონიის აეროპორტში დააკავეს. მას სურდა, ფილიპინებზე ვადაგასული დოკუმენტებით გადასულიყო. ფიშერი აპირებს, განმეორებითი აპელაცია შეიტანოს. ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი დაკავებას აფასებს, როგორც მოტაცებას, რომელიც ვაშინგტონისა და ტოკიოს მიერ იყო ორგანიზებული.

ამის შესახებ განაცხადა კანადელმა ჟურნალისტმა ჯონ ბოსნიჩმა, რომელიც მოჭადრაკის მრჩეველია. მისი თქმით, ფიშერი კიდევ ერთხელ აპირებს გადაწყვეტილების გასაჩივრებას. "ის მისი დაკავების ფაქტს ვაშინგტონისა და ტოკიოს მიერ ორგანიზებულ მოტაცებად აფასებს და დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს", - განაცხადა ბოსნიჩმა.

ჟურნალისტი აცხადებს, რომ ვიდრე იაპონიის მთავრობა დეპორტაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს, ფიშერი უნდა გათავისუფლდეს, რადგან ის საშიშროებას არ წარმოადგენს. "მას პასპორტი არა აქვს და, შესაბამისად, ვერსად წავა". ამჟამად 61 წლის ფიშერი ნარიტას საერთაშორისო აეროპორტის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.

ის დაახლოებით ორი კვირის წინათ დააკავეს. სავარაუდოდ, იმის გამო, რომ ამერიკელებმა მისი პასპორტის ანულირება მოახდინეს. ამერიკის დაზვერვის ფედერალური ბიურო მოჭადრაკეს იმის გამო ეძებს, რომ 1992 წელს, აშშ-ის მიერ გამკაცრებული სანქციების მიუხედავად, ფიშერმა ითამაშა ბელგრადის ტურნირში, სადაც ბორის სპასკიზე გამარჯვებისთვის 3 მილიონ დოლარზე მეტი მიიღო. ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ეს მაშინდელი იუგოსლავიის წინააღმდეგ მიღებული სანქციების რეჟიმის უხეში დარღვევაა. სამშობლოში ფიშერს სასამართლო და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ფეხბურთი

# საქმე ბოლომდეა მისაყვანი

მიხეილ აბაიშვილი



იური ლობოდინის ფოტო

იური პუნტუსი: "დავმარცხდით, მაგრამ ფარ-ხმალი ნამდვილად არ დაგვიყრია. მდგომარეობის გამოსწორებას ხვალინდელ მატჩში შევეცდებით".

დღეს თბილისის "დინამო" "ვიტ ჯორჯიას" მიერ ლაფში ამოსვრილი ქართული საკლუბო ფეხბურთის პრესტიჟის აღდგენას შეეცდება. საღამოს 8 საათზე საქართველოს ექსჩემპიონი და თასის მფლობელი უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში ბორისოვოს "ბატეს" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ ამ გუნდების პირველ შეხვედრაში "დინამომ" 3:2 გაიმარჯვა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გადასალახავად ჩვენს გუნდს არა მხოლოდ ფრე, არამედ 0:1 ან 1:2 ანგარიშით მარცხიც კი ხელს აძლევს, მაგრამ გუნდს მოდუნების უფლება არა აქვს. ეს კარგად იცის "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმაც, რომელმაც დილმის ბაზაზე წინასამატჩო პრესკონფერენცია გამართა. გეგუჩაძის თქმით, გუნდი ყველაფერს აკეთებს, რათა ეიფორიით გამოწვეული თავდაჯერებულობა მეტოქის შეუფასებლობაში არ გადაიზარდოს.

"ბორისოვოში გამარჯვების მიუხედავად, "ბატესთან" დაკავშირებით აზრი არ შემიცვლია. ეს საკმაოდ მაღალი კლასის გუნდია, რომელიც ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და სწრაფ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს. საქართველოს ჩემპიონატში რომ ასპარეზობდეს, აუცილებლად საპრიზო ადგილებისთვის, შესაძლოა, ჩემპიონობისთვისაც იბრძოლებდა. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: საერთაშორისო გამოცდილების ნაკლებობა, რამაც პირველ შეხვედრაში შედეგზე გავლენა იქონია. ამიტომ სრული სერიოზულობით ვემზადებით და არ შევეცდებით ანგარიშის შენარჩუნებას. პირველ მატჩში მოპოვებული ჰანდიკაპის იმედზე ყოფნა არ შეიძლება. თუ შეხვედრა ფრედ დასრულდა, უმაყოფილო ნამდვილად არ ვიქნები, რადგან შემდეგ ეტაპზე გავალთ. შეგნებულად კი ნამდვილად არ შევეცდებით ყაიმზე თამაშს. ტაქტიკასა და შემადგენლობაზე დღეს არაფერს ვიტყვი, მაგრამ, მოგეხსენებათ, მე შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ვარ და "დინამო" ხვალ შეუტევს", - განაცხადა გია გეგუჩაძემ.

"გამოირიცხა ლადო ახალაიას ხვალინდელ მატჩში მონაწილეობა. მან კოჭის ტრავმა ვერ მოიშუშა და განაცხადშიც არ გვეყოლება. ცენტრალურმა მცველმა ლევან სილაგაძემ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისიც ვერ დაგვეხმარება. მიკროტრავმა აწუხებს ბრაზილიელ რომეროსაც. რაც შეეხება ირაკლი ზოიძეს, მან დაიწყო გუნდთან ერთად ვარჯიში, თუმცა, დღეს დარწმუნებით ვერ ვიტყვი, ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ მზად იქნება თუ არა", - აღნიშნა მთავარმა მწვრთნელმა.

"ქართულ სპორტულ პრესაში ბევრი დაიწერა ამა თუ იმ დინამოელი ფეხბურთელის უცხოურ კლუბში გადაბარგებისა თუ შესაძლო ტრანსფერის თაობაზე. მხოლოდ ერთს ვიტყვი: არც ერთი ტრანსფერი ჯერ არ განხორციელებულა. თუ რომელიმე ფეხბურთელის გაშვებას გადავწყვეტთ, ამის თაობაზე ოფიციალურად გაცნობებთ და არაფერს დავმალავთ. საერთოდაც, წინააღმდეგი ვარ, ქართველი ფეხბურთელები ახლო თუ შორი საზღვარგარეთის უსახელო კლუბებში გადავიდნენ. ფეხბურთელი "დინამოდან" მხოლოდ მაღალი ევროპული კლასისა და ავტორიტეტის გუნდში უნდა მიდიოდეს. ეს ჩვენს ავტორიტეტსაც გაზრდის. ამისთვის ფეხბურთელი ჯერ აქ უნდა ჩამოყალიბდეს ნამდვილ პროფესიონალად", - ასკვნის გეგუჩაძე.

ჟურნალისტთა კორპუსმა გია გეგუჩაძის ბრიფინგის შემდეგ "დინამოს" ბაზიდან "დინამოს" სტადიონზე სრული შემადგენლობით გადაინაცვლა, სადაც მეორე, ამჯერად "ბატეს" მთავარი მწვრთნელის, იური პუნტუსის პრესკონფერენცია გაიმართა.

"დავმარცხდით, მაგრამ ფარ-ხმალი ნამდვილად არ დაგვიყრია. მდგომარეობის გამოსწორებას ხვალინდელ მატჩში შევეცდებით", - განაცხადა პუნტუსმა.

"ბატე" განმეორებითი მატჩისთვის ორდინარულად ემზადებოდა. ამ გუნდმა "დინამოსთან" შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული თამაში ჩაატარა და 3:0 გაიმარჯვა. ამის შემდეგ 29 ივლისის მატჩისთვის მოსამზადებლად 10-დღიანი შუალედი მიეცა, მაგრამ პუნტუსი ასეთ დიდ პერიოდს დადებითად არ აფასებს.

"ერთი შეხედვით, "დინამოსთვის" მოსამზადებლად წარმოქმნილი 10-დღიანი პერიოდი კარგი უნდა იყოს, მაგრამ მე ასე არ ვთვლი. ბელორუსის ჩემპიონატში უკვე 14 ტური ჩატარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდი გარკვეულ სათამაშო რეჟიმშია. "დაქოქილები" ვართ და ასეთ სიტუაციაში კვირანახევრიანი პაუზა გუნდს უკან წევს. სხვა თვალსაზრისით, მომზადება ჩვეულ რიტმში ჩავატარეთ და არაფერი შეგვიცვლია", - აღნიშნა "ბატეს" თავმა.

"ბორისოვოში "დინამომ" სიურპრიზი შემომთავაზა და განმაცვიფრა. ქართველი ფეხბურთელების ასეთ თამაშს არ ველოდი. პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, ჩვენს მეტოქეს შემდეგ ეტაპზე გასვლის გაცილებით უკეთესი შანსი აქვს. თუმცა, უშანსოდ არც ჩვენ ვართ. ვეცდებით, პირველ მატჩში დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეოროთ. მდგომარეობა გვაიძულებს, ხვალინდელ მატჩში ძირითადი დრო შეტევებში გავატაროთ. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პირველივე წუთებიდან უკანმოუხედავად წინ გავიჭრებით და ზურგს მოვიშიშვლებთ. თამაში 90 წუთს გრძელდება და ეს საკმარისი დროა, რათა ბელორუსში მარცხით გამოწვეული ბურთების დეფიციტი აღმოვფხვრათ. თუ გარისკვა გახდა საჭირო, ამას მატჩის მიწურულს გავაკეთებთ, როცა დასაკარგი აღარაფერი გვექნება", - ფრთხილობს პუნტუსი.

"ჩემთვის ძნელია იმაზე საუბარი, თუ როგორ ტაქტიკას აირჩევს ჩემი კოლეგა. და მაინც, რატომღაც მგონია, რომ "ჩაკეტილ" ფეხბურთს არ ითამაშებს და შეგვიტევს. ამას მისგან ხვალ ტრიბუნებზე მოსული გულშემატკივარიც მოითხოვს. ქართული ფეხბურთის სტილიც ნამდვილად ვერ ჰგუობს დაცვაზე ორიენტაციას და, ტრადიციულად, ყოველთვის შეტევაზე იყო აქცენტირებული. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ხვალ გულშერმატკივარს ლაღი, სანახაობრივი, ლამაზი და შემტევი, ნამდვილი ფეხბურთი ელის", - ასე პროვოკაციულად დაასრულა პრესკონფერენცია იური პუნტუსმა.

ჩემი მხრივ დავძენ, რომ არც მე, არც "დინამოს" გულშემატკივარს დღეს ლაღი, ლამაზი, შემტევი და სანახაობრივი ფეხბურთი არ გვჭირდება. ასეთი ფეხბურთი ორი დღის წინათ ვნახეთ და, რომ ვთქვა, კმაყოფილი დავრჩით-მეთქი, არ ვიქნები მართალი. "დინამოს" შეურაცხყოფას არ მივაყენებ და იმ უთავმოყვარეო გუნდს არ შევადარებ, 27 ივლისს რომ გამოვიდა ეროვნულ სტადიონზე. თუმცა, დინამოელებს ერთს მაინც გავახსენებ: სამი წლის წინათ "ბატემ" "დინამო" 4:0 დაამარცხა და უეფას თასის ტურნირს გამოთიშა. თქვენ ბორისოვოში ლამაზი გამარჯვება მოიპოვეთ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის რევანში. საქმე ბოლომდეა მისაყვანი.

ჩოგბურთი

# ფავორიტები

სანდრო ნავერიანი



მიუხედავად მხცოვანი ასაკისა ანდრე აგასი მაინც ერთ-ერთ ფავორიტად რჩება ნებისმიერი ტურნირისა, სადაც კი მონაწილეობას იღებს.

იმის გამო, რომ კანადასა და საქართველოს შორის დროში დიდი განსხვავებაა, შედეგების გამოქვეყნება ერთი დღით გვიან გვიწევს, მაგრამ ვისაც აინტერესებს, ის, ალბათ, ამ ერთ დღესაც მოითმენს.

როგორც იცით, კანადაში, კერძოდ, ტორონტოში, მიმდინარეობს მასტერსის რიგით მეექვსე გათამაშება. ტორონტოს შემდეგ კიდევ სამი - ცინცინატის, მადრიდისა და პარიზის მასტერსის ტურნირები ჩატარდება. ბოლოს კი ჰიუსტონში შედგება მასტერსის თასის გათამაშება, რაც დაასრულებს კიდეც სეზონს. მადრიდულ და პარიზულ მასტერსებზე მოგვიანებით, ახლა კი გადავინაცვლოთ ტორონტოში, სადაც ჯერ კიდევ პირველი წრის შეხვედრები არ დასრულებულა.

ფედერერი და როდიკი, შესაბამისად, პირველ და მეორე ნომრად არიან განთესილები. მესამე და მეოთხე ფავორიტები არგენტინელი გილიერმო კორია და ესპანელი კარლოს მოია არიან. ბრიტანელი ტიმ ჰენმანი, არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი და ესპანელი ხუან კარლოს ფერერო, შესაბამისად, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ნომრად არიან განთესილები, თუმცა, ფერერო უკვე გამოეთიშა გათამაშებას, რაზეც გუშინ მოგახსენეთ. მერვე, მეცხრე და მეათე ნომრად განთესილები გერმანელი რაინერ შუტლერი, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი და ამერიკელი ანდრე აგასი გახლავთ. ეს ათეული იმიტომ ჩამოვთვალე, რომ, არა მგონია, რომელიმე სხვა ჩოგბურთელმა შეძლოს ამ ტურნირის მოგება. ერთადერთი, ვისშიც ეჭვი მეპარება, ეს გერმანელი ჩოგბურთელია. რაინერ შუტლერმა შარშანდელი, მართლაც, უმაღლეს დონეზე ჩატარებული სეზონის შემდეგ რიგიანი ვერაფერი გააკეთა. ამიტომაც ვთვლი, რომ მას ტურნირის მოგების არავითარი შანსი არა აქვს.

ვერ ვიტყვი, რომ ჩოგბურთის დიდი სპეციალისტი ვარ, მაგრამ რაღაცა ნამდვილად გამეგება. სწორად ამიტომ თავს უფლებას მივცემ, რაღაც პროგნოზები გავაკეთო, მიმდინარე ტურნირის ჩემებური ანალიზი შემოგთავაზოთ.

რა თქმა უნდა, ყველა ის ჩოგბურთელი, რომლებიც ჩამოვთვალე, მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები არიან, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ენდი როდიკს ყველაზე დიდი შანსი აქვს, ტურნირი მოიგოს. ასე ფიქრის საბაბს მაძლევს ის, რომ ტურნირი ჰარდისსაფარიან კორტებზე მიმდინარეობს, ასეთ საფარზე კი როდიკი ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ ითვლება, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია კიდეც. გავიხსენოთ თუნდაც ტორონტოსა და ცინცინატის შარშანდელი მასტერსის ტურნირები, რომლებშიც როდიკმა პირველობა მოიპოვა და მასტერსებს **US OPEN**-იც მიაყოლა. სამივე ტურნირზე ჰარდისსაფარიანი კორტები იყო.

მეორე, ვისაც ჩემპიონობის კანდიდატად ვთვლი, ანდრე აგასია. მას ისეთი დიდი გამოცდილება აქვს, რომ არ შეიძლება, ამან შედეგი არ გამოიღოს. გარდა ამისა, აგასის სამჯერ აქვს ეს ტურნირი მოგებული, მართალია, უფრო ახალგაზრდულ ასაკში, მაგრამ მაინც... და, რაც ყველაზე მთავარია, - ასეთი საფარის კორტებზე აგასიც ძალიან კარგად თამაშობს. ეს თავადაც ხშირად უთქვამს.

დაბოლოს, მესამე და უკანასკნელი (რა თქმა უნდა, ჩემი აზრით), ვისაც ტორონტოს მასტერსის ჩემპიონობის კანდიდატად ვთვლი, ეს არგენტინელი დავიდ ნალბანდიანია. ამის სათქმელად მიზეზებიც მაქვს: პირველი მისი აღდგენილი ფორმაა. თუ გახსოვთ, შარშან ნალბანდიანმა ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა, მაგრამ ბაზელის ტურნირზე, ფინალში გასულმა, მატჩის დაწყებამდე სერიოზული ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც თითქმის ოთხი თვე ფორმიდან ამოვარდნილი იყო. ახლა კი ყველაფერი რიგზე აქვს. მართალია, ჯერჯერობით დიდი არაფერი მოუგია, მაგრამ, ვფიქრობ, სწორედ ახლა დადგა მომენტი, როდესაც მისმა ვარსკვლავმა უნდა გაიბრწყინოს.

კალათბურთი

# იტალიური ტურნეს შედეგები

## რანი ვიყავით და რანი გავხდით

პაატა თოთაძე

იტალიური ტურნედან დაბრუნებული საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები გულშემატკივართა და მედიის წარმომადგენელთა ყურადღების ცენტრში მოექცა. სამწლიანი პაუზის შემდეგ საერთაშორისო არენაზე დაბრუნებულმა ჩვენმა გუნდმა პორტო სან ჯორჯოში მშვენივრად იასპარეზა, სამი მატჩიდან ორში - რუსეთთან და შვედეთთან გაიმარჯვა, მასპინძელ იტალიასთან კი დამარცხდა და საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა.

ქართველთა ამგვარ თამაშს არათუ სხვები, თავად ქართველებიც არ ელოდნენ. იტალიაში მიღწეულმა წარმატებამ ფედერაციას საშუალება მისცა, ტურნირის მსვლელობისას დაეწყო მოლაპარაკებები "ჩემპიონთან" და "ნაიკთან" ნაკრების სრული ეკიპირების თაობაზე და მალე, ალბათ, ამ საკითხსაც მოევლება. გადაიჭრება ბურთების პრობლემაც. ტურნირის მსვლელობისას "მოლტენმა" საკუთარი ინიციატივით საქართველოს კალათბურთის ფედერაციას რამდენიმე ბურთი გამოუგზავნა და სამომავლო თანამშრომლობის სურვილსაც ამჟღავნებს.

ყოველივე ეს ცნობილი გახდა გუშინ, სპორტკაფეში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც კალათბურთის ფედერაციამ წარმოშობილი ინტერესის დასაკმაყოფილებლად მოაწყო. თავდაპირველად მასპინძლისთვის განკუთვნილი მაგიდა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ და გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა დაიკავეს:

- ხანგრძლივი შესვენების მერე ჩვენმა გუნდმა პირველი ნაბიჯი გადადგა საერთაშორისო სარბიელზე და საკმაოდ კარგადაც გამოუვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდი სამი წამყვანი კალათბურთელის გარეშე ჩავიდა იტალიაში, ნაკრების თამაში სპეციალისტებმა დადებითად შეაფასეს. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ საქართველოს ნაკრებს სერიოზული პერსპექტივა აქვს...



გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძე მიიჩნევენ, რომ საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე თამაში შეუძლია

ვახო ბასილიას ფოტო

- ვატო ნაცვლიშვილმა მძიმე ოპერაცია გადაიტანა და ვერ შეძლებდა იტალიაში თამაშს. ვოვა სტეფანია ბრაიკოვიჩს გაესაუბრა და მწვრთნელმა დასვენება ურჩია. ჯობს, ვოვა ოფიციალური მატჩებისთვის იყოს ჯანმრთელად. ცქიტიშვილს კი მნიშვნელოვანი თამაშები ჰქონდა ამერიკაში და ამიტომ ვერ ჩამოვიდა იტალიაში. სექტემბრისთვის ყველა კალათბურთელი ნაკრებში იქნება. ეროვნული გუნდი 1 სექტემბერს დაიწყებს მზადებას. ამ დროისთვის ყველა ჯანმრთელი კალათბურთელი ნაკრებში იქნება...

- შემონდ უილაიმსი ჩინებული კალათბურთელია. მისი ნატურალიზაციის საკითხი გადაწყვეტილია, მხოლოდ ფორმალობაა დარჩენილი მისთვის პასპორტის მისაცემად. იტალიაში ის ტრავმირებული და უვარჯიშებელი ჩამოვიდა, თუმცა, გააცნობიერა, თუ რას ნიშნავდა ეს ტურნირი ჩვენთვის და როგორც შეეძლო, შეეწია ნაკრებს...

- დრაჟენ ბრაიკოვიჩს საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლომდე აქვს კონტრაქტი ფედერაციასთან. ახლა კი, შესაძლოა, ის კიდევ ორი წლით ანუ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ბოლომდე გაგრძელდეს. ამის შესახებ ბრაიკოვიჩის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვისაუბრებთ. მწვრთნელი ამჟამად ხორვატიაშია, ისვენებს და მალე გვეწვევა...

- 30 ივლისი ფიბაში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილე გუნდთა განაცხადების შეტანის ბოლო ვადაა. ბრაიკოვიჩი ყოველდღე რეკავს, კონსულტაციებს გავდივართ და ორ დღეში შემადგენლობასაც შეარჩევს...

- სპორტის სასახლის საფარი შესაცვლელია. ობიექტი მთლიანად მერიის საკუთრებაა, თუმცა, წლევანდელ ბიუჯეტში მისი საფარის შეცვლა გათვალისწინებული არ არის. ჩანს, ჩვენ მარტო მოგვიხდება ამ პრობლემის გადაჭრა, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ეს საკმაოდ რთული იქნება...

- ის ჭაბუკები, რომლებმაც ფინალურ ეტაპზე ითამაშეს, მომავალი წლიდან ახალგაზრდულ ნაკრებში გადაინაცვლებენ. რეიტინგით ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები B ჯგუფშია. ამიტომ მათ მომავალ წელს იმისთვის მოუწევთ ბრძოლა, რომ ნაკრები A ჯგუფში აიყვანონ...

ამის შემდეგ ასპარეზი ნაკრების წევრებს გიორგი ცინცაძეს, მანუჩარ მარკოიშვილს, ვიქტორ სანიკიძესა და შიო ხეცურიანს დაეთმოთ:

- უდავოდ კმაყოფილი ვარ შედეგით და ნაკრების თამაშით. გამოჩნდა, რომ რაღაცის თავი გვაქვს, უფრო სწორად, იმის თავი გვაქვს, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშოთ. შაბათს მოსკოვში გავემგზავრები და იქ, ჩემს კლუბში მოვემზადები მომავალი მატჩებისთვის. 1 სექტემბრისთვის კი ისევ აქ ვიქნები ნაკრებთან ერთად... მთავარია, ნაკრებმა მოიგოს და, თუ არ ვითამაშებ, არანაირი პრობლემა არ იქნება. მე და შემონდი ერთი ამპლუის მოთამაშეები ვართ, თუმცა, სხვაგანაც შემიძლია თამაში. ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც მწვრთნელი გადაწყვეტს, ისე მოვიქცევი, - განაცხადა გიორგი ცინცაძემ.

იტალიური ტურნირით არც სხვები დარჩენილან უკმაყოფილონი. მანუჩარ მარკოიშვილი აგვისტოში წავა იტალიაში და თავისი მომავალი კლუბის ვინაობასაც იქ გაარკვევს. ვიქტორ სანიკიძე კვლავაც საფრანგეთში გააგრძელებს კარიერას. "ალბათ, ისევ "დიჟონში" დავრჩები", - განაცხადა მან. "ის უდავოდ ნიჭიერი კალათბურთელია და მასზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად შეაბიჯებს NBA-ში", - ნათქვამია სანიკიძის ახლანდელი კლუბის "სან ანტონიოს" განცხადებაში. რაც შეეხება შიო ხეცურიანს, ნაკრებში სადებიუტო მატჩში შვედების წინააღმდეგ 10 ქულის მომპოვებელი თბილისის "დინამოში" გააგრძელებს კარიერას.

კრივი

# ტაისონი მოდის. მაშ, მიესალმეთ!

გიგა გურასაშვილი

*ერთი გარემოება რომ არა, მათ დაპირისპირებას, ალბათ, არც მოჰყვებოდა აჟიოტაჟი. საუბარია კრივზე - პროფესიონალურზე, ამასთან, ყველაზე პრესტიჟული დივიზიონის - სუპერმძიმეწონოსანთა მატჩზე. მართალია, ბრძოლა არც სატიტულოა და არც საპრეტენდენტო, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: რინგის ერთ მხარეს ისეთი კაცი დადგება, რომლის სახელის გაგონებაზე მეტოქეთა უმეტესობა შიშისგან წინდაწინვე იფსამდა. ალბათ, მიხვდით, ვისაც ვგულისხმობთ. ამბობენ, "რკინის მაიკი" რინგს უბრუნდებაო. მაშ, მივესალმოთ!*




ტაისონს ხვალაც აწონიან, მერე კი ვნახოთ...

რამდენად რეალურია ის, რასაც გვპირდებიან. დაპირებით კი, ძველ მაიკ ტაისონს გვპირდებიან. როგორც უნდა იყოს, ერთი რამ ფაქტია: თანამედროვეობის ცოცხალი ლეგენდა, რომელთან შესარკინებლადაც მეტოქეები ოდესღაც დაზაფრულები გადიოდნენ რინგზე, 30 ივლისს ლუისვილში იჩხუბებს.

ადამიანი, რომელიც საუკეთესო წლებში შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს, უძლიერესი დარტყმით მომხდურებს ყბებს ულეწავდა და ნაირგვარ ტიტულებზე ერთგვარ მონოპოლიას ფლობდა, საჩემპიონო ორთაბრძოლისთვის შესახურებელ მატჩში ბრიტანეთის თანამეგობრობის ექს-ჩემპიონთან დენი უილიამსთან იჩხუბებს.

ერთი რამ ცხადია: მიუხედავად იმისა, რომ "რკინის მაიკს" მუდმივად თან სდევს სკანდალები, არ უმართლებს პირად ცხოვრებაში და ოდესღაც მილიონერი ახლა ჯიბეგაფხეკილია, კვლავაც უამრავი გულშემატკივარი ჰყავს, გულშემატკივარი, რომელსაც დღესაც აბოდებს ტაისონზე და საჩემპიონო ტახტრევანზე მისი აბრძანება სურს. მაგრამ შეძლებს კი? ნაკლებად სავარაუდოა! ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, რადგან ტაისონის ცხოვრების სტილი თუ რეჟიმი ამის პერსპექტივას ნამდვილად არ იძლევა.

ჯერ ის, რომ მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი მობერდა - რა თქმა უნდა, კრივისთვის. ის, რაც იცოდა, რაც კარგად გამოსდიოდა, წლებმა წაიღო, წლებს, რომელსაც უაზროდ ანიავებდა. აქედან გამომდინარე, საეჭვოა, ტაისონმა ძველი დიდება დაიბრუნოს. ახლა, წელებზეც რომ დაიდგას ფეხი, არაფერი გამოუვა. ჰა, ჰა, უპატრონოდ დარჩენილი ტიტულისთვის ჩხუბს თუ გაუხერხებენ მენეჯერები. მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ მას უფრო კომერციული დატვირთვა ექნება, უფრო სწორად, ეს იქნება წარმოდგენა, რომლის ერთადერთი მიზანიც ტაისონის სახელით სპეკულირება იქნება. ისე, "რკინის მაიკს", სხვებისგან განსხვავებით, ეს უპირატესობა მაინც აქვს. სულ რომ არაფერი, მისი ნახვის წყურვილი მილიონებს ჰკლავს. ასე რომ, პრომოუტერებს ცოტა ხანს კიდევ ექნებათ ფულის კეთების საშუალება, მაშინაც კი, თუ ორთაბრძოლა უმნიშვნელო აღმოჩნდება. მაგრამ იქ, რინგზე ხომ მაიკ ტაისონი იქნება?! აი, ესაა მთავარი. ამიტომაცაა, რომ ბრიტანელთან ლუისვილის ორთაბრძოლა ყურადღების ცენტრში მოექცა. თუმცა, გამვლელ-გამომვლელს რომ ჰკითხონ, დღეს რას წარმოადგენს ტაისონიო, ყველა მხრებს აიჩეჩავს, რადგან, მართლაც, არავინ იცის, თუ როგორ ფორმაშია იგი ამჟამად. ბუნებრივიცაა, რადგან კარგა ხანია, მუშტი არ მოუქნევია. შესაძლოა, ვინმემ იკითხოს, კი მაგრამ, შარშან, 22 თებერვალს არ იყო, კლიფორდ ეტიენი 45 წამში რომ დააჩაქუჩაო. პასუხი ასეთი იქნება: განა შეიძლება, მოკრივის ფიზიკური მზადყოფნა 45 წამში შეფასდეს, თანაც, ისეთ მეტოქესთან, რომელსაც უფრო საცდელი ვირთხის ფუნქცია ეკისრა, ჰა?!

რაც შეეხება ახლანდელ შერკინებას, არა გვგონია, ისიც ერთი გაელვებით დასრულდეს. მართალია, აქაც, ისე როგორც ადრეულ ორთაბრძოლებში, ყოჩად მაიკ ტაისონი მიაჩნიათ, მაგრამ მეტოქე გაცილებით სახიფათოა, ვიდრე, ვთქვათ, ეს 2003 წლის 22 თებერვალს იყო.

დენი უილიამსი რამდენიმე წლის წინათ სუპერმძიმეწონოსანთა დივიზიონის პერსპექტიულ მოკრივედ ითვლებოდა. ეგ კი არა, ზოგიერთები მასში დიდი ჩემპიონის ლენოქს ლუისის მემკვიდრესაც ხედავდნენ. მაგრამ მერე და მერე იმდენი მარცხი იწვნია, რომ პერსპექტივა რინგზე გაჟღერებულ გონგის ხმაზე ბაბუაწვერასავით გაიფანტა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ წლეულს ბრიტანეთის თანამეგობრობის უმთავრესი ტიტული დაკარგა. თუმცა, ამბობენ, მსაჯთა მეტად უცნაური გადაწყვეტილების წყალობითო. ტიტულის დაკარგვიდან ცოტა ხანში კიდევ ორჯერ ავიდა რინგზე და ორივე მატჩი მოიგო, მაგრამ იმასაც ამბობენ, ბოლო ორთაბრძოლაში არადამაჯერებლად ჩხუბობდაო.

და მაინც, 30 ივლისს დენი უილიამსსაც "ტომრის" როლში მოიაზრებენ, რამაც, ბუნებრივია, მისი გაღიზიანება გამოიწვია: "ტაისონი ახლა მხოლოდ აჩრდილია იმ მოკრივისა, როგორიც ის ოდესღაც იყო. ჩემთვის ეს ბრძოლა მთელი ცხოვრების შანსია და მისი ხელიდან გაშვებას არაფრით არ ვაპირებ...

დადგა დრო, დენი უილიამსმა საკუთარ თავზე განაცხადოს. ყველას ჰგონია, რომ ტაისონი ორ რაუნდში ნოკაუტით დამამარცხებს. ასე რომ, დასაკარგი არაფერი მაქვს. ტაისონი საბრძოლველადაა განწყობილიო, მაგრამ მე უფრო მეტად ვარ განწყობილი. ის იმისთვის ჩხუბობს, რომ ვალები გაისტუმროს, მე კი იმისთვის გავდივარ რინგზე, რათა საკუთარი სახელი გამოვაწრთო".

საშუალო მოკრივედ მიჩნეული ბრიტანელისთვის ტაისონთან შერკინებას ერთგვარი ფანჯრის როლიც აკისრია დიდ საკრივო სამყაროში, მაგრამ საკმარისია, "რკინის მაიკმა" ერთი მოზომილად და ზუსტად მოარტყას მიზანში, რომ უილიამსი რინგზე გაიშხლართება. თუმცა, მაინც მიაჩნიათ, რომ ტაისონისა და უილიამსის შეხლა უფრო დიდხანს გაგრძელდება, ვიდრე ეს ტაისონ-ეტიენის შემთხვევაში იყო.

მოკლედ

# მარკ უებერი "უილიამსში"?




"იაგუარის" ავსტრალიელი პილოტი მარკ უებერი 2005 წლიდან "უილიამსის" ღირსებას დაიცავს. ამის შესახებ ცნობა "იაგუარმა" გაავრცელა და იქვე დაადასტურა, რომ უებერი სეზონის ბოლომდე გუნდში დარჩება. რაც შეეხება "უილიამსს", გუნდს მომავალ სეზონში ერთბაშად ორი პილოტი დატოვებს - კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია და რალფ შუმახერი.

მონტოიამ "მაკლარენთან" გააფორმა შეთანხმება, ხოლო რალფ შუმახერი "ტოიოტაში" გადაინაცვლებს. 23 წლის მარკ უებერი "იაგურაში" "მინარდიდან" გადავიდა. "შეთანხმება, რომელიც "უილიამსთან" გავაფორმეთ, ამჟამად ჩემი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია. "უილიამსთან" სამომავლოდ დიდი იმედები მაკავშირებს, - განაცხადა პილოტმა, - გარდა იმისა, რომ საჯინიბოს წარსულში დიდი მიღწევები აქვს, აქ რბოლების მიმართ მუდმივად საქმიანი მიდგომაა, რაც მე სავსებით მაკმაყოფილებს".

"უილიამსისა" და უებერის შეთანხმების დეტალები არ გამომზეურებულა, მაგრამ გუნდის მფლობელმა განაცხადა, რომ მარკ უებერთან საკმაოდ ხანგრძლივი შეთანხმება არსებობს. "მარკი ნიჭიერი პილოტია, - განაცხადა ფრენკ უილიამსმა, - ის ჟინიანია და მას მოტივაცია აქვს. ეს კი ის თვისებებია, რომლებსაც ჩვენ ვაფასებთ".

თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში მარკ უებერი 44-ჯერ გავიდა სტარტზე და 23 ქულა დააგროვა. მისი საუკეთესო მიღწევა იყო 2002 წლის ავსტრალიის გრან-პრი, სადაც მან მეხუთე ადგილი დაიკავა.

შარშანდელ სეზონში "იაგუარის" მიერ დაგროვილი 18 ქულიდან 17 სწორედ მარკ უებერის ანგარიშზეა. გასულ უქმეებზე გერმანიის გრან-პრიზე უებერმა მეექვსე ადგილი დაიკავა, ხოლო მარტში, მალაიზიაში, კვალიფიკაციაზე მეორე იყო და წინ მხოლოდ მიხაელ შუმახერი გაუშვა.

# ათენში მშენებლობები და გამოსვლებია

ცნობები, რომლებიც მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ათენიდან მოდის, შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ. იმ ინფორმაციის გვერდით, რომ ათენში ექსპლუატაციისთვის მზად არის მორიგი ობიექტები და თავად ქალაქიც ოლიმპიადისთვის უმჯობესდება, ისმის ინფორმაციები გაფიცვების შესახებ, რომლებსაც ესა თუ ისე პროფკავშირები აწყობს.

ამჯერად თავიანთი მოთხოვნები ექიმებმა წამოაყენეს. ათენსა და მის მახლობლად, პირეიში, გაიმართა ექვსსაათიანი გამაფრთხილებელი აქცია. ქალაქის საავადმყოფოები პაციენტს სამედიცინო დახმარებას მხოლოდ ექსტრემალურ შემთხვევაში აღმოუჩენენ, ხოლო ავადმყოფს, რომელსაც მწვავე ტკივილი არ აწუხებს, შინ გაუშვებენ.

ექიმები ოლიმპიადის დღეებში ხელფასის მომატებას ითხოვენ. პროფკავშირებმა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს,ეიძულებინათ მთავრობა, საავადმყოფოს ექიმებისთვის ხელფასი მოემატებინათ, თუმცა, ექიმები საპასუხოდ იმუქრებიან, რომ აქციებს ოლიმპიური თამაშების მსვლელობის პერიოდში მოაწყობენ.

მთავრობას, რომელსაც არ შეუძლია, ასეთი დონის შეჯიბრების დროს მსგავსი აქციები დაუშვას, ზოგიერთ პროფკავშირთან დათმობაზე წავიდა. მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლების მიმართ - აქციების შეწყვეტის სანაცვლოდ მათ მიიღეს დაპირება, რომ ოლიმპიადის მსვლელობისას ხელფასზე დანამატს მიიღებენ.

ამასობაში ათენში საექსპლუატაციოდ მზად არის მეტროს ახალი სადგურები. ოთხშაბათს ჩაირთო ათენის მეტროპოლიტენის სადგური "დუკისის პლაკენტიასი". ამიერიდან ქალაქის ცენტრიდან ჩრდილოეთ რაიონებამდე, სადაც მთავარი ოლიმპიური სტადიონი მდებარეობს, მეტროთი 17 წუთში შეიძლება მისვლა.

ვარაუდობენ, რომ ახალი სადგურით ყოველდღიურად 50 ათასი ადამიანი ისარგებლებს. უქმეებზე კი დასრულდება სხვა სადგურების მშენებლობა, რომელიც ქალაქის ცენტრს საერთაშორისო აეროპორტთან დააკავშირებს.

TV-სპორტი

## ხუთშაბათი. 29 ივლისი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "ORLANDO MAGIC" - "PHILADELPHIA 76 ERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კორინთიანსი" - "კრუზეირო"
14:00 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ სიტი" - "ფულჰემი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 "დარტყმა გოლისთვის"
16:15 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" - "დეპორტივო"
18:00 "დარტყმა გოლისთვის"
18:30 "FUTBOL MUNDIAL"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კორინთიანსი" - "კრუზეირო"
21:05 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. მეოთხედფინალი. "ბავარია" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
22:50 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "ბორუსია"
00:35 თავისუფალი დარტყმა
00:50 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
01:20 "FUTBOL MUNDIAL"
01:50 01:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "PHOENIX SUNS" - "SEATTLE SUPERSONICS"
05:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ

**НТВ+СПОРТ**

10:00, 16:15, 18:30, 21:00 პრესცენტრი
10:20, 18:45 "ოლიმპის შვილები"
10:25, 14:00 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ტორონტოში. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
14:20 "ათენის გზაზე"
15:20 "შავი ოქრო". მორის გრინი
16:30 "საუკუნის ათლეტები". "ორტერის გული"
17:05 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
17:35 "ოლიმპიური ისტორია". მელბურნი, 1956 წელი. პირველი ნაწილი
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
18:55 ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო სერიათა გრან-პრი იტალიაში. ფინალური ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 კანადის თასი 1987. "კანადის თასიდან მსოფლიო თასამდე"
21:15 "საუკუნის ათლეტები". ვერა ჩასლავსკა
21:55 ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო სერიათა გრან-პრი იტალიაში. ფინალური ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
00:00 "სპორტის აკვატორია"
00:30 ახალი ამბები
00:45 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
01:15 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
01:45 კანადის თასი 1987. "კანადის თასიდან მსოფლიო თასამდე"

**EUROSPORT**

10:30 თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი რუსეთში
11:00 ცხენოსნობა. სუპერლიგა დიდ ბრიტანეთში
12:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
12:30 ფეხბურთი. აზიის თასი ჩინეთში. იაპონია - ირანი
14:15 ფეხბურთი. ალპური თასი იტალიაში
16:15 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი შვედეთში
18:15 ფეხბურთი. აზიის თასი ჩინეთში. იაპონია - ირანი
20:00 ფეხბურთი. ალპური თასი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება გერმანიაში
00:00 ბილიარდი. პული. საერთაშორისო შეჯიბრება ჰოლანდიაში
01:30 ახალი ამბები
01:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი

# "ტოიოტა" "სელიკასა" და MR2-ის წარმოებას აჩერებს

იმ დროს, როდესაც იაპონური ავტოგიგანტი "ტოიოტა" აღმავლობას განიცდის და მსოფლიო ლიდერობას ეშურება, მისმა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 2005 წლის შემდეგ შეწყვიტოს თავისი ორი პოპულარული სპორტული ავტომობილის, "სელიკასა" და MR2-ის წარმოება.

ორივე ეს ავტომობილი "ტოიოტას" მსოფლიო ლიდერობისკენ სვლის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ფაქტობრივად, "სელიკა" კომპანიის ერთ-ერთი პირველი ფსევდოსპორტული ავტომობილია, რომელიც პირველად იაპონიის ბაზარზე გამოჩნდა 1970 წელს და ერთი წლის შემდეგ აშშ-შიც შედგა ფეხი. 15 წლის შემდეგ კომპანიამ MR2-ის წარმოებაც დაიწყო, რომელიც, ჟურნალ "ქარ ენდ დრაივერის" სიტყვებით, წარმოადგენდა "ეგზოტიკურ ავტომობილს ყველა ჩვენთაგანისთვის" (არა მდიდრებისთვის).

კუპე "სელიკას" ბაზარზე გამოჩენა იაპონური კომპანიის ამბიციების ზრდის შედეგია. ამერიკელებს (აშშ "ტოიოტას" ავტომობილების უდიდესი იმპორტიორია) მობეზრებული ჰქონდათ ერთფეროვანი იაპონური ავტომობილები, რომლებიც მხოლოდ სიიაფით თუ იზიდავდნენ მყიდველს და ერთობ უსახური გარეგნობით გამოირჩეოდნენ. თუ იაპონური ავტომობილების დიზაინში რამე საინტერესო და მიმზიდველი გამოჩნდებოდა, ესეც ამერიული სტილის უხეირო კოპირება იყო...

"ტოიოტას" სამოდელო რიგში პირველი სპორტული ავტომობილი 1967 წელს გამოჩნდა მოდელ 2000GT-ს სახით, რომელიც მოტოციკლების მწარმოებელ კომპანია "იამაჰას" კონსტრუქტორებმა მოამზადეს. ეს ავტომობილი მალე ჯეიმს ბონდის ერთ-ერთ სერიაშიც გადაიღეს, მოგვიანებით კი მას "სუპრა" ეწოდა და ამ სახელით დღემდე მოაღწია. "სელიკა" კი ოდნავ მოგვიანებით გამოჩნდა, რაც ფაქტობრივად "ტოიოტას" პასუხი იყო კონკურენტი "დაცუნ 240Z"-ისადმი (ეს მარკა მალე "ნისანს" შეუერთდა).

ჰოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კლასში მოდას "დაცუნ 240Z" და "ფორდ მუსტანგი" აწესებდნენ, მალე ეტალონად სწორედ "სელიკა" მოგვევლინა, რაც 1976 წელს ჟურნალ "მოტორ ტრენდის" მიერ ამ კუპეს წლის საუკეთესო იმპორტულ (აშშ-ის ბაზარზე) ავტომობილად დასახელებით აღინიშნა. იმავე წლიდან ავტომობილის დასახელებას დაერთო აბრევიატურა GT (გრან ტურიზმო). ორი წლის შემდეგ, პირველი თაობის "სელიკა" მეორე თაობისამ შეცვალა. იმავე წელს ბაზარზე გამოჩნდა სრულიად ახალი ავტომობილი სახელად "სუპრა".



მისტერ ორი და ...



... სელიკა ბოლო თვეებს ითვლიან

1980 წელს "სელიკას" დიზაინმა კიდევ ერთი მოდიფიკაცია განიცადა, დეკადის შუაწელში კი მისი პლატფორმის კლასიკური (წინ განლაგებული ძრავითა და უკანა წამყვანი თვლებით) შეთანწყობა იმ დროისთვის პოპულარული, წინაწამყვანთვლიანით შეიცვალა. 1988 წლიდან კი შედგა ყველა წამყვანთვლიანი (სრულმოდებიანი), ტურბოკომპრესორით აღჭურვილი "სელიკას" დებიუტი და სწორედ მას უკავშირდება ავტომობილის მიღწევები რალის მსოფლიო ჩემპიონატში.

ესპანელმა კარლოს საინსმა (1990 და 1992 წლებში), ფინელმა იუჰა კანკუნენმა (1993 წელს) და ფრანგმა დიდიე ორიოლმა (1994 წელს) "სელიკათი" მსოფლიო ჩემპიონის ოთხი ტიტული მოიპოვეს კლასიკურ რალიში, 1993 და 1994 წლებში კი "ტოიოტამ" კონსტრუქტორთა პირველობაზე გაიმარჯვა (კომპანიამ 1999 წელსაც მოიგო კონსტრუქტორთა პირველობა, მაგრამ მაშინ გუნდი მოდელ "კოროლათი" ასპარეზობდა). ამ მიღწევებმა პირდაპირი გავლენა იქონია გაყიდვებზე.

1985 წელს შედგა ორადგილიანი "მისტერ ორის" (ასე მოფერებით ეძახდენ MR2-ს) დებიუტი. ეს იყო კლასიკური სპორტული შეთანწყობის მქონე კუპე, რომელსაც ჟანრის შესაბამისად, ძრავი ბაზაში (მძღოლის სავარძლის უკან) ჰქონდა მოთავსებული და წამყვანი თვლებიც უკანა ჰქონდა. ეს ავტომობილი ათი წელი დარჩა ბაზარზე, მაგრამ შემდეგ მისი წარმოება ხუთი წლით შეწყდა, 2000 წელს კი კომპანიამ მესამე თაობის "მისტერ ორი" გამოუშვა. ყველა პარამეტრით (სიმძლავრის და სიჩქარის გარდა) ეს იყო ჩვეულებრივი ეგზოტიკური ავტომობილი, ოღონდ სუპერებისგან განსხვავებით, მისი ფასი არ იკბინებოდა.

2000 წელს გაიარა ბოლო (მეშვიდე) მოდერნიზაცია "სელიკამაც", რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ "ტოიოტას" ხელმძღვანელობისგან ყურადღება მოაკლდა. წინამორბედებისგან განსხვავებით, ეს ავტომობილი არც მიმზიდველი დიზაინით გამოირჩეოდა და არც ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლებით. პარალელურად, ბაზრის მის სეგმენტში რამდენიმე ახალი კონკურენტი (მათ შორის, საკუთრივ "ტოიოტასიც") გამოჩნდა, რამაც სავალალოდ იმოქმედა ამ ორი ავტომობილის გაყიდვებზე. შედეგად, 2004 წლის პირველ ნახევარში "ტოიოტამ" იმაზე მესამედით ნაკლები "სელიკა" გაყიდა, რაც შარშანდელ იმავე პერიოდში, "მისტერ ორს" კი ივნისში სულ 263 მყიდველი გამოუჩნდა. თანაც, მათი უმეტესობა ისევდაისევ "ტოიოტას" თანამშრომელია. არადა, მესამე თაობის "მისტერ ორის" დებიუტით "ტოიოტამ" სპორტული ავტომობილების მოყვარული ბევრი ამერიკელი მყიდველის ყურადღება მიიპყრო. ეს იყო პირველი ავტომობილი ამერიკულ ბაზარზე, რომელსაც 6-საფეხურიანი, ნახევრადავტომატური, სეკვენტალური სისტემის გადაცემათა კოლოფი აქვს, რომელიც არ საჭიროებს გადაბმულობის სატერფულს.

"ამერიკულ ბაზარზე გამოჩენის დღიდან, ეს ორი ავტომობილი სპორტული ავტომობილების მოყვარულთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ბაზრის ამ სეგმენტში კონკურენცია იმდენად გამკაცრდა, რომ ჩვენს კომპანიას უფრო ახალგაზრდული მოდელების შექმნა მოუხდა", - ასე განმარტა კომპანიის გადაწყვეტილება "ტოიოტა დივიჟნის" გენერალურმა მენეჯერმა დონ ესმონდმა.

მაშ ასე, "ტოიოტამ" თავის ორ პოპულარულ მოდელს, "სელიკასა" და "მისტერ ორს" სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, მათ ადგილზე კი ოთხ სპორტულ მოდელს - "მატრიქსს", "კოროლა XRS"-ს, ახალი თაობის "სოლარასა" და სრულიად ახალი მარკის, "სციონის" კუპე tC-ს ტოვებს.

# ახალი „ბეემვე M5" - სიჩქარის მოყვარულთა გულთამპყრობელი

კომპანია "ბეემვეს" თავისი ახალი სპორტული სედანის, M5-ის დებიუტი სექტემბრის დასაწყისში, პარიზის ავტოსალონზე აქვს დაგეგმილი, მაგრამ მის შესახებ პირველი ოფიციალური ინფორმაცია და ფოტოები უკვე გაავრცელა.

პირველად M5 სერიის ავტომობილი ბავარიულმა კომპანიამ 1985 წელს გამოუშვა და თითქმის 20 წლის მანძილზე ამ აღნიშვნის მქონე დაახლოებით 33 000 ავტომობილი გაყიდა.

ავტომობილი, რომელიც ბავარიული კომპანიის ფლაგმანის სპორტული ვარიანტია, ბაზარზე 2005 წლის დასაწყისიდან გამოჩნდება. მისი მთავარი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ იგი პირველად, ამ სერიის ავტომობილების ისტორიაში, აღიჭურვება ათცილინდრიანი ძრავით (მისი მუშა მოცულობა 5 ლიტრია), რომლის ცილინდრების რიგებს შორის გაყრის კუთხეც 90 გრადუსს შეადგენს.

ძრავის შექმნისას კონსტრუქტორებმა გამოიყენეს ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატში დაგროვილი უზარმაზარი გამოცდილება. აგრეგატი მაქსიმალურ სიმძლავრეს (507 ცხენის ძალა) მაშინ ავითარებს, როცა მისი მუხლა ლილვის ბრუნთა რიცხვი 7 750-ს აღწევს წუთში. გაცილებით ადრე (6 100 ბრ/წუთზე) აღწევს მაქსიმუმს მაბრუნი მომენტი, რომელიც 520 ნმ-ს შეადგენს.

ძრავი შეწყვილებულია 7-საფეხურიან, ნახევრადავტომატურ სეკვენტალურ გადაცემათა კოლოფთან SMG, რომლის დამზადებისას ასევე გამოყენებულია ფორმულა ერთში დაგროვილი გამოცდილება. საფეხურების შეცვლა შეიძლება როგორც ხელით (გადასართველი ბერკეტები განლაგებულია საჭის რგოლზე, როგორც ფორმულა ერთში), ასევე ავტომატურ რეჟიმში. გარდა ამისა, ავტომობილის ტრანსმისია აღჭურვილია ეგრეთ წოდებული ლაუნჩ-კონტროლის სისტემით, რომელიც ავტომობილის ადგილიდან დაძვრას აადვილებს და რომლის ტექნოლოგიაც ასევე ფორმულა ერთიდანაა ნასესხები.

ახალი M5 ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას 5 წამზე ნაკლებს ანდომებს, 200 კმ/სთ-იან ზღვარს კი 15 წამში აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ძრავს უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია, ავტომობილის სიჩქარე მაინც 250 კმ/სთ-ითაა შეზღუდული (ეს გერმანული ავტომობილების სიჩქარის ზღვარია). თუმცა, ტექნიკური შესაძლებლობები იმის საშუალებას იძლევა, რომ ეს შეზღუდვა მოიხსნას და მაშინ ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე ადვილად ასცდება 300 კმ/სთ-ს.



ასეთი ტემპერამენტის მოსათვინიერებლად ავტომობილს შესაბამისი მუხრუჭებიც გააჩნია. ეს სრულიად ახალი სისტემაა, რომელსაც თითოეულ თვალზე წყვილცილინდრიანი მექანიზმი გააჩნია. მათი საშუალებით ავტომობილს 100 კმ/სთ-იდან სრული გაჩერებისთვის სულ 36 მეტრი, 200 კმ/სთ სიჩქარიდან სრულ გაჩერებამდე კი თითქმის 110 მეტრი სჭირდება.

ისევე როგორც თითქმის ყველა თანამედროვე სპორტული ავტომობილი, ახალი M5-იც ეგრეთ წოდებულ ადაპტირებად შასიზეა აგებული. ამ შასის დაკიდების სისტემის რეგულირების სამი ტიპის პროგრამა გააჩნია - კომფორტული, ჩვეულებრივი და სპორტული. დაკიდების სიხისტის გარდა, ეს პროგრამები ცვლიან საჭის ჰიდროგამაძლიერებლის მგრძნობელობასაც - კომფორტულ რეჟიმში მოძრაობისას, საჭის რგოლზე თითქმის არ იგრძნობა დატვირთვა. სამაგიეროდ, სპორტული რეჟიმით მოსახვევის სწრაფად გავლისას მძღოლს კარგი ძალა სჭირდება მანქანის დასამორჩილებლად. სამაგიეროდ, იგი სრულად აკონტროლებს საბურავების გზის საფართან ჩაჭიდულობას და საჭიროების შემთხვევაში, საჭის რგოლით ახდენს კორექტირებას.

თანამედროვე ტექნოლოგიებით მინიჭებული მთელი ამ პოტენციალის რეალიზებაში ავტომობილს ეხმარება უზარმაზარი, ვიწროპროფილიანი საბურავები, რომლებიც 19-დუიმიან თვლებზეა ჩაცმული. წინა საბურავების ზომებია 255/40, უკნასი კი - 285/35.

ავტომობილი გარეგნულადაც საგრძნობლად განსხვავდება საბაზო, მე-5 სერიის სედანისგან, რასაც, პირველ რიგში, განსხვავებული აეროდინამიკური პაკეტი უზრუნველყოფს, რომელიც ავტომობილს არამხოლოდ აგრესიულ გარეგნობას აძლევს, არამედ მის გარშემო მოძრავი ჰაერის ნაკადის ოპტიმიზებასაც (მისი დანიშნულება სწორედ ესაა) ახდენს. წინა ფრთებში ყურადღებას იქცევს ერთგვარი ლაყუჩები, რომლებიც უბრალოდ დეკორატიული ელემენტი კი არაა, არამედ ხელს უწყობს კაპოტქვეშ ჰაერის ნაკადის მოძრაობას და ამით მძლავრი ძრავის უკეთ გაგრილებასაც უზრუნველყოფს.

სალონში (გინდა კოკპიტში) ყველაფერია გაკეთებული იმისათვის, რომ მძღოლს მაქსიმალურად გაუადვილდეს საქმე. ხელსაწყოთა დაფაზე განლაგებულია შავ-შკალიანი მაჩვენებლები, რომლებზეც ციფრები თეთრადაა აღნიშნული, ისრები კი წითელია, რაც მაღალი სიჩქარით მოძრაობისას ოპტიმალური ვარიანტია ინფორმაციის მიღების გასაადვილებლად. რაღა თქმა უნდა, ავტომობილმა სრულიად ახალი, ერგონომიული სავარძლები მიიღო, რომლებიც კომფორტის გარდა, მძღოლისა და მისი მგზავრების მაქსიმალურ უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ახალი M5-ის სერიულ აღჭურვაში შედის დისპლეი, რომელზე გამოტანილი ინფორმაციაც საჭიროების შემთხვევაში, წინა საქარე მინაზე პროეცირდება.

ევროპაში ახალი M5-ის ღირებულება იქნება 86 200 ევრო, რაც 28 000-ით მეტია მე-5 სერიის ტოპვერსია 545i-ს ღირებულებაზე. ტრადიციისამებრ, ახალ M5-ს ქალაქ დინგოლფინგის ქარხანა დაამზადებს. ახალი M5-ის დებიუტიდან ერთი წლის შემდეგ შედგება ახალი M6-ის პრემიერა, რასაც კიდევ ერთი წლის შემდეგ ახალი M3-იც მოჰყვება, რომელიც 400-ცხენისძალიანი V8 ძრავით აღიჭურვება.

# "მერსედეს CLS 55 AMG" - შტუტგარტელთა ახალი შედევრი

როგორც წესი, ავტომწარმოებლები ჯერ საბაზო მოდელს უშვებენ, რომელსაც, თუ პოპულარობას მოიხვეჭს, ერთი ან ორი წლის შემდეგ ტოპ-ვერსიის წარმოებაც მოჰყვება, რომელიც ამ კონკრეტული მოდელის ყველაზე ძვირფას ვარიანტს წარმოადგენს.

როგორც ჩანს, მალე ეს ინტერვალი საგრძნობლად შემცირდება. ყოველ შემთხვევაში, ამის პრეცედენტი ივლისის დასაწყისში უკვე შემოგვთავაზა გერმანულმა კომპანია "მერსედეს-ბენცმა", რომელსაც ჯერ არ დაუწყია თავისი ოთხკარიანი კუპე CLS-ის გაყიდვები, მაგრამ ამის მიუხედავად, უკვე გაავრცელა ინფორმაცია ამ ავტომობილის ტოპ-ვერსიის შესახებ, რომლის შექმნაც კომპანიის ფრთის ქვეშ შეფარებულ სატიუნინგო ატელიე AMG-ს კონსტრუქტორებს დაევალათ.

თუ სტანდარტული CLS-ის გაყიდვების დაწყება მიმდინარე წლის შემოდგომიდანაა დაგეგმილი, მისი ტოპ-ვერსიის შეძენას მსურველი უკვე 2005 წლის დასაწყისიდანვე შეძლებს. ამასთან, სიახლის სრული სახელი იქნება "მერსედეს CLS 55 AMG".

როგორც წესი, AMG-ს მიერ მოდერნიზებული ავტომობილების მთავარი სიახლეები კაპოტქვეშაა მოთავსებული და ამ მხრივ გამონაკლისი არც CLS 55 AMG იქნება. მისი მთავარი აგრეგატია 5.5-ლიტრიანი V8, რომელიც მექანიკური დამჭირხნითაა აღჭურვილი. AMG-ს სპეციალისტების მიერ ჩატარებული სამუშაოების შემდეგ ძრავის სიმძლავრე 476 ცხენის ძალამდე, მაბრუნი მომენტი კი 700 ნმ-მდე გაიზარდა.

ამ მონსტრის წყალობით, ავტომობილი სულ 4.7 წამში ახერხებს ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას. სამწუხაროდ, ისევე როგორც თითქმის ყველა "ჯიშიან" გერმანულ ავტომობილს, CLS 55 AMG-საც სიჩქარის ელექტრონული შემზღუდველი აქვს, რომლის წყალობითაც, კუპეს მაქსიმალური სიჩქარე მხოლოდ 250 კმ/სთ-ია.

AMG-ს კონსტრუქტორთა ხელი შეეხო ძრავთან შეწყვილებულ ნახევრადავტომატურ გადაცემათა კოლოფს, რომელსაც მუშაობა შეუძლია როგორც მექანიკურ (ხელით გადართვის), ასევე ავტომატურ რეჟიმში და მხოლოდ ხუთი საფეხური გააჩნია. ამასთან, მექანიკურ რეჟიმში მუშაობისას მძღოლი თავად ირჩევს, გამოიყენოს გადასართავი ბერკეტი (კლასიკური ვარიანტი), თუ საჭის რგოლზე განთავსებული ღილაკები.



ძრავისა და გადაცემათა კოლოფის გარდა, AMG-ს ინჟინრებმა იმუშავეს ავტომობილის დაკიდებისა და სამუხრუჭე სისტემებზეც. ნახევრადაქტიური დაკიდება გზის საფარისა და მოძრაობის სიჩქარის შესაბამისად ცვლის რეჟიმებს. მას შეუძლია როგორც სპორტულ, ისე ჩვეულებრივ და კომფორტულ რეჟიმებში მუშაობა. ახალ ავტომობილს საბაზო მოდელისგან ასევე განასხვავებს გაზრდილი რადიუსის მქონე სამუხრუჭე დისკები, რომლებიც სიმსუბუქისა და უკეთესი გაგრილების უზრუნველსაყოფად, პერფორირებულია.

საბაზო მოდელისგან AMG-ს ავტომობილს, პირველ რიგში, აეროდინამიკური პაკეტი განასხვავებს. აქ თვალში საცემია დიდი ზომის თვლების რკალები, წინა და უკანა ელერონები, მცირე ზომის უკანა ანტიფრთა, რადიატორის გაზრდილი ზომითა და მასზე სამი ქრომირებული ზოლით. ასევე მას უკან აწერია V8 KOMPRESSOR.

ინტერიერის გაფორმებისთვის გამოყენებულია ძვირფასი ტყავი და ხის დეკორატიული პანელები. ამასთან, თვალში საცემია ალუმინის დეტალების სიმრავლე, რაც ავტომობილის სპორტულობას უსვამს ხაზს. სავარძლების დამზადებაც AMG-მ იკისრა, ისევე როგორც ხელსაწყო-მაჩვენებელთა დაფის გადაკეთება. სხვა თაშორის, მასზე მოთავსებული სპიდომეტრის (სიჩქარის მზომი) დანაყოფთა შკალაზე, მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე ხელოვნურადაა შეზღუდული, დატანილია მაქსიმალური სიჩქარე 320 კმ/სთ.

გერმანიაში ასეთი ავტომობილის ფასი 96 164 ევრო იქნება.

*გვერდი მოამზადა*
*მერაბ ლორთქიფანიძემ*

# ქერათმიანების სამყარო


მერილინ მონრო


ქორტნი ლავი

### ჭკვიანები

1. შერონ სტოუნი: "ძირითადი ინსტინქტის" ვარსკვლავისთვის მას ძალიან მაღალი ინტელექტუალური კოეფიციენტი აქვს - 154

2. დაიდო: ექვსი წლის ასაკში გილდჰოლის მუსიკალურ სკოლაში შევიდა; თინეიჯერულ ასაკში უკვე პიანისტის და მევიოლინეს დიპლომი ჰქონდა

3. ანა ნიკოლ სმიტი: მან 14 თვეში 60 მილიონი გირვანქა სტერლინგი გააკეთა

4. მარგარეტ თეტჩერი: ალბათ, საუკეთესო ლიდერი იყო, ვინც კი ოდესმე ჰყოლია ბრიტანეთს

5. ჯეი კეი როულინგი: დღესდღეობით ყველაზე პოპულარული წიგნის ავტორი

6. ჯოდი ფოსტერი: აქვს იელის უნივერსიტეტის ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი ლიტერატურაში

### მიდრეკილებები

1. პოლა იეტსი: მას უამრავი გატაცებები ჰქონდა

2. პეტსი კენსიტი: აქვს მიდრეკილება ცოლად გაჰყვეს პოპ-ვარსკვლავებს

3. კორტნი ლავი: ძალიან უყვარს ყავისფერი

4. დრიუ ბერიმორი: სამი წლისამ უკვე ყველაფერს მიაღწია

5. მერიენ ფეიტფული: წლების განმავლობაში ჰეროინთან ჰქონდა პრობლემა

6. რობერტ პალმერი: ძალიან უყვარდა სიყვარული

### თვითმკვლელები

1. მერილინ მონრო: 1962 წელს გარდაიცვალა დამამშვიდებელი აბების დიდი დოზის მიღების გამო

2. პოლა იეტსი: 2000 წელს გარდაიცვალა ჰეროინის ჭარბი დოზის მიღების გამო

3. მარგო ჰემინგუეი: 1996 წელს, ბაბუამისის თვითმკვლელობის 35-ე წლისთავზე გარდაიცვალა ნარკოტიკების დიდი დოზის მიღების გამო

4. სილვია პლატი: 1963 წელს თავი დაიხრჩო გაზის ღუმელში

5. პეგი ენტვისტლი: ინგლისელმა მსახიობმა 1932 წელს თავი მოიკლა Hollywood-ის სარეკლამო ნიშნის ასო H-დან ჩამოხტომით

6. კერტ კობეინი: გააცნობიერა რა, რომ ქორტნი ლავის ქმარი იყო, 1994 წელს თოფი დაიხალა

7. ჯულიეტა კაპულეტი: ეგონა რა, რომ მისი შეყვარებული რომეო მკვდარი იყო, დანა ჩაირტყა

8. ევა ბრაუნი: ჰიტლერის საყვარელმა 1945 წელს თავი ციანიდის ინექციით მოიკლა

9. ოფელია: ჰამლეტის შეყვარებული გაგიჟდა და მდინარეში გადახტა.

10. მაიკლ ჰატჩინსი: მართალია ქერა არ იყო, მაგრამ დაწერა სიმღერა თვითმკვლელ ქერათმიანზე (Suicide Blonde) და 1997 წელს თავი ჩამოიხრჩო.


დრიუ ბერიმორი


შერონ სტოუნი


ჯოდი ფოსტერი


დაიდო

## სკანვორდი



## TV პროგრამა

29 ივლისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "საჰარის საიდუმლო" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "საით მივყავართ ოცნებებს" (გ) **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "საჰარას საიდუმლო" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "დაიცავი სიცოცხლე". მთ. რ-ში: ალბერტ ბრუკსი, მერილ სტრიპი (18)

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 01.55(შვეიცარია), 02.25(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** მუსიკა შუა ზაფხულში. **08.30** ტელედილა. **10.25** ტელეტურიზმი. კორსიკა. ფლანდრია. **12.15** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი. **15.30** გადაცემა: შუქ-ჩრდილი. **16.25** გადაცემა: წითელი ფარდა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.45** გადაცემა: ეს მე გადამხდა თავს. **23.00** გადაცემა ლიტერატურის მოყვარულთათვის. **04.20** კოლეტი. თავისუფალი ქალი. ტელესერიალი.

### ISTI

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ნოსტალგია მამილოზე". მთ. რ-ში: დირკ ბოგარტი. **03.00** პაუზის გარეშე

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ბოტერო" **15.20** სერიალი "რვაფეხა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **17.30** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. სერიალი "ჩემი სახლი" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** სერიალი "ფსიქფაქტორი" (12) **22.25** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ათასი მილიარდი დოლარი" (12)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "სიყვარულის ისტორია" (გ) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "მისტერ ბინი" (რ. ატკინსონი) (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "მანიტუს მოკასინები" (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** ანიმ. ფილმი "დარდუბალა 2" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "შიში და სიძულვილი ლას-ვეგასში" (ჯონი დეპი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "მოგზაურობა დედამიწის გულში" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "მკაცრი დროება" **13.10** მხ. ფილმი "შანჰაის რაინდები" (ჯეკი ჩანი) (გ) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "მარტორქის მოგზაურობა" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "უკუსვლა" (15) (რობერტ პატრიკი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **22.00** მხ. ფილმი "რემბო-3" (15)

### კავკასია

**13.00** მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" 23-24 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 16.50, 17.20, 01.30** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **09.10** სერიალი "რელიკვიების მაძიებელი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** არტ-ბულვარი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.00** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.40** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ბეოვულფი" **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** "მუღამები" **20.00** ფეხბურთი. "დინამო" (თბილისი)-"ბატე"(ბორისოვო). შესვენებისას "ქრონიკა". **23.00** მხ. ფილმი "მძიმე ფული" (კ. სლეიტერი) (15)

### იბერია

**18.00** მინისერიალი "პედიატრები" **19.50** დოკ. ფილმი **21.20** მხ. ფილმი "მგლების საძმო" (18)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.20** საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** მუსიკა **09.00** მულტფილმი **10.15** ფანტასტიკა "მეათე სამეფო-2" **11.40** დოკუმენტური ფილმი **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია "თავქარიანები" **14.05** მუსიკა **14.15** ვესთერნი "ომი ველურ დასავლეთში" **16.45** მულტფილმი "მილიონერი ძაღლები" **18.05** დოკუმენტური ფილმი **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** მისტიკური თრილერი "წინასწარმეტყველება" **21.00** კომედია "გაანალიზე ის!" **23.00** "ექსკლუზივი" **23.40** დრამა "ქარაფშუტობა" **01.45** კომედია "ტკბილ-მწარე სიყვარული" **03.30, 05.45** მუსიკა **04.00** თრილერი "მეექვსე გრძნობა"

### ОРТ

**06.00** Телеканал "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 10.20, 19.00 Сериал "Клон" 11.20** Мультсериал "Кошки-мышки" **11.40** Дисней-клуб: "Утиные истории" **12.10** Александр Пороховщиков в детективе **"Город принял" 13.40** Теория невероятности. "Живая вода" **14.10 Сериал "Женщины в любви" 15.20** Алексей Гуськов в фильме **"Подозрение". 4-я с. Закл. 16.30** Док. детектив. "Вердикт охранников". 2-я серия **17.00** "Слабое звено" **18.20** "Анекдоты" **20.00 Сериал "Черный ворон" 21.00** Время **22.40** "Человек и закон" **23.30** Ударная сила. "Супертанк Т-90" **00.00** "Место действия - Россия". "Окраина" **00.50** Любовь и измена в боевике **"Темные цели" 02.30 Фильм "Становление маленького индейца" 04.30 Сериал "Уровень 9" 05.15** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Последний барьер"

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.50 Сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 10.00** Сегодня утром. **10.25** Квартирный вопрос: спальня от Святого Валентина. **11.20** Ток-шоу "Страна советов" **12.00, 15.00, 17.00, 19.00, 00.55** "Сегодня" **12.30 Худ. фильм "Д'АРТАНЬЯН И ТРИ МУШКЕТЕРА". 3-я с. 14.05** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30 Сериал "ОХОТА НА ЗОЛУШКУ" 18.35** Протокол. **19.40 Сериал "МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ" 20.55 Сериал "ЧУЖОЕ ЛИЦО" 22.00** "Страна и мир" **22.35 Сериал "ДЖЕЙК 2.0". 23.40 Триллер "АТАКА ПАУКОВ"**

# მსოფლიოს ყველაზე მაღალი შენობა

## თაიპეი 101



2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკის "ტყუპების" დაქცევის შემდეგ ვარაუდობდნენ, რომ ცათამბჯენების ეპოქა წარსულს ჩაბარდა. მაგრამ ირკვევა, რომ ეს პროგნოზი ნაჩქარევი იყო. მართალია, დასავლეთში მაღლივი შენობების წამოჭიმვის ტემპი შედარებით შეფერხებულია, სამაგიეროდ, აღმოსავლეთ აზიაში ეს პროცესი ძალიან სწრაფად ვითარდება.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ნათელი მაგალითია "101 ბილდინგი", რომელიც ტაივანის დედაქალაქ თაიპეიში ააშენეს. ეს ქალაქი ისედაც ცნობილი იყო თავისი თანამედროვე არქიტექტურით. შემოდგომიდან თაიპეიში ყველას შეეძლება მსოფლიოს ყველაზე მაღალი ნაგებობა დასრულებული სახით იხილოს. ტაივანელი ხუროთმოძღვრები და მშენებლები ძალიან ჩაქრობდნენ, რადგან ცნობილია, რომ ჰონკონგი უფრო მაღალი სახლის აშენებას გეგმავს.

მეტროპოლიებს შორის დიდი კონკურენცია არსებობს. თაიპეი, შანხაი და ჰონკონგი იმისთვის იღწვიან, რომ სავაჭრო ცენტრის, "ჩინეთის კარიბჭის" ადგილსამყოფელი გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უშველებელი შენობის არანაირი ეკონომიკური აუცილებლობა არ არსებობს, თაიპეის მაინც უღირს შანხაისთან "დაჭიდება", რომელშიც უკვე აღმართულია ერთი გოლიათი, "წინ-მაოს შენობა".

თავისთავად, ცათამბჯენები ძალიან საინტერესო მოვლენაა. კუალა ლუმპურის Petronas Towers, ისლამური ქვეყნის სიმბოლო, არგენტინაში დაბადებულმა, ნიუ იორკელმა და თან კათოლიკე არქიტექტორმა, სეზარ პელემ დააპროექტა, "წინ-მაოს შენობა" კი ამერიკული არქიტექტურის კონცერნის, SOM-ის ნახელავია. აი, თაიპეის ცათამბჯენის ავტორმა, ბატონმა ლიმ კი ბრძანა: "კმარა ინტერნაციონალური სტილი!" ის თავად თაიპეელი გახლავთ და მშობლიურ ქალაქშიც და ტაივანის სხვა მხარეებშიც უკვე მრავალი პოსტმოდერნული შენობის ავტორი ბრძანდება.

შესაბამისად, მისი ყველაზე მაღალი შენობის, "101 ბილდინგის" ფასადიც ჩინური დეკორაციითაა მორთული: ცათამბჯენის ძირში ძვირფასი ლითონისგან დამზადებული, ძველი ჩინური ხურდაფულის ფორმის თილისმაა დამაგრებული, კუთხეებს დრაკონები იცავენ. შანხაის გოლიათის არტ-დეკოს მოტივებისა და კუალა ლუმპურის ისლამისტური ორნამენტების შემდეგ უმალვე გეცემათ თვალში, რომ თაიპეის კოშკი წმინდა წყლის აზიური ცათამბჯენია.

თავის უჩვეულო სახელს ახალი ცათამბჯენი სართულების რაოდენობას უმადლის. აქ ზუსტად 101 სართულია, რაც თურმე რაღაცნაირად (ჩემთვის გაუგებარია, როგორ - ა.კ.ს.) ციფრულ ერას ეხმიანება - ტაივანი ახალი დროის დადგომაში შეტანილი წვლილით ძალიან ამაყობს. 508 მეტრის სიმაღლის შენობა 400 მილიონ ევროზე მეტი დაჯდა, რაც თვით შეძლებული ტაივანისთვისაც კი საკმაოდ შთამბეჭდავი თანხაა.

ამჟამად დამთვალიერებლებს თაიპეის ცათამბჯენის მხოლოდ 89-ე სართულზე ასვლის საშუალება აქვთ. მიწის ზედაპირიდან ამ სიმაღლემდე ასვლა სულ ოცდაცხრამეტ წამში ხდება. საგანგებო მოედნიდან მთელი თაიპეი ხელისგულზე მოჩანს. მართალია, საკმაოდ ერთფეროვანი სანახაობა ყოფილა, ამბობენ, თვალი მხოლოდ იმავე არქიტექტორ ლის მიერ თორმეტი წლის წინათ აშენებულ ცათამბჯენზე ჩერდებაო, - ის ქალაქის მთავარი სადგურის სიახლოვეს დგას.

ამრიგად, შემოდგომიდან თაიპეის ახალი "სავიზიტო ბარათი" და ახალი ტურისტული ატრაქციონი ექნება: ტაივანური ტაძრის ხუროთმოძღვრებისა და 21-ე საუკუნის არქიტექტურის ნაერთი. მისი წყალობით ტაივანი იმედოვნებს, რომ მას არა მარტო "დიდი სამშობლოდან", ჩინეთიდან დაინახავენ, არამედ იაპონია, ევროპა და ამერიკაც მიაპყრობენ მზერას.










საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- MS Word,
- MS Excel.
- Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ფ.ჯუხნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mzuiri.ge




## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.